

# ბიულეტენი

№ 66  
2002  
მარტი

საქართველოს  
სტრატეგიული კვლევებისა  
და განვითარების ცენტრი



ISSN 1512-0813

თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა  
და საზღვრეთი კავშირები

თანამედროვე ინდოეთის როლი მსოფლიო  
გეოპოლიტიკაში (რეგიონული პროცესების  
მაგალითზე)

FRIEDRICH  
EBERT  
STIFTUNG

C 03 - 00409

---

**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა  
და განვითარების ცენტრი**

მამუკა კომანია

**თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა და სამხრეთი კავკასია** \_\_\_\_\_ 3

ვახტანგ მაისაია

**თანამედროვე ისლამის როლი მსოფლიო გეოპოლიტიკაში  
(რეგიონული პროცესების მაგალითზე)** \_\_\_\_\_ 25



თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა რეგიონში მწვავე დაპირისპირებით გამოირჩეოდა. დღეისათვის ორი თანამედროვე სახელმწიფოს წინაპარი იმპერიები ერთმანეთს ეცილებოდნენ ისეთ საპირისპირო მხარეს მდებარე რეგიონებში, როგორებიცაა ბალკანეთი და კავკასია. გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე დაპირისპირება თითქმის მთელი XX საუკუნის განმავლობაში სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა რუსეთის პეგემონობით აღინიშნებოდა.

ცივი ომის დასრულების შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა. თურქეთში ვიზიტად მყოფმა მიხეილ გორბაჩოვმა ანკარაში ერთ-ერთი თავისი გამოსვლისას განაცხადა, რომ: „რუსეთს კვლავ სურს თურქეთის გავლით ხმელთაშუა ზღვის თბილ წყლებამდე მიაღწიოს, მაგრამ მხოლოდ რუსი ტურისტებით“. მოსკოვს უკვე აღარ ჰქონდა რეალური შესაძლებლობები სამხრეთ კავკასიაში და სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში უცხო სახელმწიფოების შემოსვლისთვის ხელი შეეშალა.

90-იან წლებში სამხრეთ კავკასიაში შემოსვლას იწყებს დასავლური და თურქული კაპიტალი, რაც თანდათანობით რუსული გავლენის შესუსტებას იწვევს. დღეისათვის რეგიონში მიმდინარე პროცესები დიდი სახელმწიფოების მიერ პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლის გამოხატულებაა. ამ მხრივ, სამხრეთ კავკასიაში საერთო ინტერესების დაცვისათვის, რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება გამოირჩევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ რუსეთი და თურქეთი აქტიურ ეკონომიკურ პარტნიორებად მოგვევლინენ. მათი ეკონომიკური თანამშრომლობის დონე ყოველწლიურად იზრდება. თუმცა, ამავე დროს ორ ქვეყანას შორის სერიოზული დაპირისპირებაც არის. უკანასკნელ ათწლეულში ორმხრივი და რეგიონული პოლიტიკის საკითხებზე თურქეთისა და რუსეთის პოზიციებში მკვეთრი განსხვავებაა. მათგან აღსანიშნავია:

- ეთნიკური სეპარატიზმის მხარდაჭერა: რუსეთი თურქეთს ჩეჩნეთის, თურქეთი რუსეთს კი, ქურთისტანის მუშათა პარტიის (ქმპ) მხარდაჭერაში ადანაშაულებს;
- დაპირისპირება მილსადენების მარშრუტების გამო: რუსეთი ბაქო-ნოვოროსისკის, თურ-

ქეთი კი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენს უჭერს მხარს;

• თურქეთი საქართველოსა და სომხეთში რუსული სამხედრო ბაზების მოღვაწეობას საფრთხის წყაროდ განიხილავს;

• თურქეთი სამხრეთ კავკასიის კონფლიქტურ ზონებში დსთ-ის სამშვიდობო ძალების, რომელიც ფაქტობრივად მხოლოდ რუსი სამხედროებისგან შედგება, საერთაშორისო ძალებით ჩანაცვლებას მოითხოვს, რაც მოსკოვის მხრიდან რუსეთის გავლენის სფეროში შეჭრის ტოლფასად აღიქმება;

• რუსეთი შემოთავაზდა შავ ზღვაში თურქეთის საზღვაო ფლოტის გაძლიერებით, მას შემდეგ, რაც შავი ზღვის ყოფილი საბჭოთა ფლოტი შესაშინვად დასუსტდა;

• რუსეთი ირანს სამხრეთ კავკასიაში თურქეთის კონტრაქტულად მოიზარებს, რაც თურქეთის უკმაყოფილებების მიზეზია;

• რუსეთი წინააღმდეგეა თურქეთის სრულტეზებზე ანკარას მიერ შემუშავებული პოლიტიკით, რაც კასპიური ნავთობით დატვირთული ტანკერების გასვლას წელუდას.

ქვეყნებს შორის მრავლად არის სხვა სახის დაპირისპირებაც, რაც ხელს არ უშლის მათ ეკონომიკურ თანამშრომლობას. სწორედ ამით არის აღსანიშნავი ორი ქვეყნის ურთიერთობა. მაგრამ, უდავოა, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში თურქეთთან რაიმე სახით თანამშრომლობის პერსპექტივით არ იხიბლება. მოსკოვი სამხრეთ კავკასიას დღესაც თავისი მონოპოლიური გავლენის სფეროდ მიიჩნევს, სადაც სხვა სახელმწიფოების შესვლა რუსეთის მხრიდან სერიოზული საფრთხის წყაროდ განიხილება. თუმცა, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ რუსეთს სამხრეთ კავკასიაში სერიოზული კონკურენტები გამოუჩნდა. სამხრეთ კავკასიაში გავლენისათვის ბრძოლა უკვე მხოლოდ რუსეთითა და თურქეთით აღარ შემოიფარგლება. როგორც მოვლენების განვითარება გვიჩვენებს, კავკასიაში აშშ-ის სახით ახალი ძალა იწყებს დამკვიდრებას.

ოსმალეთ-რუსეთის იმპერიების შტამი (თბილისი) ზა სამხრეთი კავკასია

შავსა და კასპიის ზღვებს შორის მდებარე კავკასია საუკუნეების განმავლობაში რეგიონული



იმპერიის სასიცილო ინტერესების რეგროსი შედგოდა. XVI-XVIII საუკუნეებში სვედონის კონტროლისათვის ერთმანეთს ძირითადად ოსმალთა და სპარსეთის იმპერიები ეცილებოდნენ. ეს პერიოდი სამხრეთ კავკასიაში გავლენის მოპოვებისათვის, ირანელებსა და ოსმალებს შორის გაუმდებელი ბრძოლებით აღინიშნებოდა, რაც გარდამავალი უპირატესობით ხასიათდებოდა.

თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოს წინაპარი ოსმალთა იმპერიის კავშირები კავკასიაში მას შემდეგ იწყება, რაც თურქ-სელჯუკებმა ანატოლიის სრული დაკავება და ბიზანტიის იმპერიის დამოხობა შეძლეს. 1461 წელს ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ ოსმალები სამხრეთ კავკასიაში საკუთარი ძალაუფლების შეუფერებელ დამპყრობთან ბრძოლას იწყებენ. ოსმალიეთისთვის საქართველოსა და საერთოდ სამხრეთ კავკასიაში ბატონობა მთლიანად კავკასიის რეგიონის კონტროლს გულისხმობდა. ამიტომაც საქართველოზე კონტროლის მოპოვება კავკასიის სხვა თურქულენოვან და მუსლიმ ხალხებთან შეუფერებელ დამპყრობებულ ზნად აღიქმებოდა. 1737 წელს სეფიანთა დინასტიის დამხობამ სამხრეთ კავკასიაზე ირანის პრეტენზიებს ბოლო მოუღო.

XVI საუკუნიდან კავკასიისაკენ სულ უფრო მონივნეს რუსეთის იმპერია, რომელმაც კავკასიაში გავლენის მოპოვებამდე მიზნად, პლაცდარმის სახით, ყირიმის ნახევარკუნძულის დამატრონება განიზრახა. 1552 წელს ყაზანის თურქული ხაკანატისა და 1556 წელს ასტრახანის დაკავება რეგიონში რუსეთის ექსპანსიისა და რუსეთის ისტორიაში ახალი ერის დასაწყისის მანიშნებელი იყო. ყაზანი კასპიის ზღვისკენ რუსეთის ექსპანსიას ყოველთვის აფერხებდა. ყაზანისა და ასტრახანის დაკავებები მოკლე პერიოდში რუსეთის საზღვრები სულ უფრო უახლოვდება ჩრდილოეთ კავკასიას. რუსეთი სულ უფრო მრავალეროვნულ იმპერიად ჩამოყალიბებას იწყებს.

1556 წლის შემდეგ, ივანე მრისხანის მიერ ასტრახანის დაპყრობით, ჩრდილოეთ კავკასია საერთაშორისო კონფლიქტებისა და რუსეთის, ირანისა და ოსმალიეთის იმპერიებს შორის დავის საგანი გახდა. რეგიონი სტრატეგიულად სასიცილო იყო ფაქტობრივად და სამხედრო მიზნებისათვის. მოსკოვისათვის კავკასიის კონტროლი სამხრეთისაკენ გასასვლელის მოპოვებას ნიშნავდა. ოსმალებისათვის კი იგი სამხედრო ბაზა იყო, რომელიც ირანთან ომის შემთხვევაში, საქირი დახმარებას უზრუნველყოფდა.

1550-იან წლებში ჩერქეზთა ზოგიერთი ლიდერი მოსკოვში ჩადიოდა და რუსეთის პროტექტორატს ითხოვდა. ამ ეტაპზე მოსკოვი მსგავს ნაბიჯისათვის მზად არ იყო, რადგან არ სურდა ოსმალთა იმპერიასთან ურთიერთობაში პრობლემები შექმნილა. ყაზანისა და ასტრახანის დაპყრობის შემდეგ რუსეთი და ოსმალიეთი უშუალო მეზობლები გახდნენ.

XVIII საუკუნიდან ოსმალიეთ-სპარსეთის ტანდემს სამხრეთ კავკასიაში რუსეთის იმპერიის შეუერთდა, რომელიც ნელ-ნელა კავკასიისაკენ მოინედა. რუსეთი კასპიის ზღვისკენ ნაინა და ბაქო დაიკავა. ოსმალებმა, თავის მხრივ, საქართველოდან სამხრეთის მიმართულებით სამხედრო კამპანია წამოიწყეს და განჯა, ქერმანშაში, შამადანი და თავრიზი დაიპყრეს. 1724 წელს სტამბოლში ოსმალებსა და რუსებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ორმა იმპერიამ დასუსტებული სპარსეთის კავკასიური სამფლობელოები გაიყო. ამ შეთანხმებით რუსეთის კავკასიაში ყოფნა დაკანონდა, რითაც რეგიონში გავლენის მოპოვებისთვის მებრძოლი იმპერიების სამკუთხედი შეიკრა. შემდგომ წლებში იმპერიებს შორის დაპირისპირება გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობს, თუმცა რუსეთის იმპერიის წარმატებები კავკასიის რეგიონში აშკარაა. ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში ოსმალთა პოზიციები კი ნელ-ნელა სუსტდება.

1740-იან წლებში ნადირ შაჰმა, რომელიც ირანში სეფიანთა დინასტიის დამხობის შემდეგ მოვიდა, ოსმალებსგან აზერბაიჯანის დაბრუნება შექმლო. ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ აზერბაიჯანის ხანმა ოსმალებთან კავშირები აღადგინა და პორტან რუსეთისა და ირანის წინააღმდეგ მხარდაჭერა აღუთქვა. ოსმალებისთვის ეს რეგიონში გავლენის დამყარებისათვის კარგი შანსი იყო.

1774 წელს ოსმალებმა ყირიმი დაკარგეს და სტრატეგიული მნიშვნელობის ნახევარკუნძული რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. ამით ოსმალთა იმპერიის ინტერესებს დიდი საფრთხე დაემუქრა, რადგან ყირიმი იმპერიის აღმოსავლეთი და დასავლეთი საზღვრების დამცავი ფორპოსტი იყო. ქუჩუქკაინარჯის ზავით რუსებმა ოსმალიეთის ქრისტიანული უმცირესობების დაცვის უფლებაც მოიპოვეს. მოგვიანებით გავლენისათვის ბრძოლა უფრო აქტიურ ფაზაში შევიდა.

XIX საუკუნე რუსეთსა და ოსმალიეთს შორის კავკასიისათვის ბრძოლით ხასიათდება. იმპერიებს შორის დაპირისპირება დაადასტურა, რომ რუსეთის იმპერიის წინსვლა შეუქცევადი პროცესი იყო. მრავალი ომებისა და ომების შემდეგ გაფორმებული შეთანხმებების ძალით, რუსეთმა ოსმალთა იმპერიისა და სპარსეთის შეიარაღებული ძალები სამხრეთ კავკასიიდან დიდი ხნით გააძევა.

რუსეთ-ირანის მეორე ომის შედეგად და 1828 წლის შეთანხმებით რუსეთის კავკასიაში ბატონობა განმტკიცდა. შეთანხმებით დადგენილი საზღვრები დღემდე უცვლელია, რომელიც აზერბაიჯანი ორ ნაწილად გაყო. რუსეთის შემადგენლობაში შევიდა ჩრდილოეთ აზერბაიჯანი, ყარაბაღი, ნახიჩევანი და სომხეთის ნაწილი. რუსეთმა კასპიაში ფლოტის განთავსების უფლება და განსაკუთრებული კომერციული პრივილეგ

გიები მიიღო. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ რუსეთმა სომხები ირანისა და ოსმალიეთის იმპერიიდან ყარაბაღის ტერიტორიაზე დაასახლა. 1829 წლის ადრიანოპოლის შეთანხმებით ოსმალიეთმა რუსეთს კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმო.

სამხრეთ კავკასიაში რუსეთის მიერ უზურპირებული ხელისუფლება ადგილობრივი მოსახლეობის სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდებოდა. 1783 წლიდან კავკასიის მუსლიმები რუსეთის წინააღმდეგ იბრძვიან. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალიეთმა მათ დახმარებას ვერ ახერხებდნენ, კავკასიის მუსლიმებმა 1877-78 წლის ოსმალიეთ-რუსეთის ომში ოსმალებს მხარი დაუჭირეს. ოსმალები კავკასიის მუსლიმ მოსახლეობას კულტურული და ეკონომიკური კავშირების შენარჩუნებას მაინც ახერხებდნენ. XIX საუკუნეში გაიხსნა ოსმადენიერ საკონსულტო. 1870-იან წლებში კი ოსმალთა იმპერიაში კავკასიის მუსლიმი მოსახლეობის დიდი მგრაცია მოხდა. შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის მინურულითვის რუსეთმა რეგიონში გავლენის მოპოვებაში კონკურენტი იმპერიების დამარცხება დაასრულა.

მოსკოვის რუსთაშვილთა საზოგადოებრივი უმცირესობის სახმარებო კამპანია

1917 წელს რუსეთის იმპერიის დამხობის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში ახალი ძალები გამოიღიან. გერმანია სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების მხარდაჭერას იწყებს, რაც მსოფლიო ომში გერმანიის მარცხის გამო, ამ სახელმწიფოებისათვის მათთვის სასარგებლო შედეგის გარეშე მისურდება. საგარეო დახმარებაზე გარეშე დარჩენილი სამხრეთ კავკასიის სუსტი დამოუკიდებელი სახელმწიფოები საბჭოთა არმიის მსხვერპლნი გახდნენ.

მსოფლიო ომის მინურულს ბოლშევიკების მხარდაჭერით სომხები თურქეთის ტერიტორიებში შევიდნენ.

XX საუკუნის განმავლობაში თურქეთის საზღვრები სამხრეთ კავკასიისათვის უახლოვდა იმის გაქვილი რაც იწინა ათასი წლის განმავლობაში უცვლელი იყო. ამ რეგიონისათვის.

ბში, მზარდი ნაციონალიზმის ფონზე, კავკასიაზე გავლენის დაბრუნების მოწოდებები გაიხსნა. ამ მხრივ, განსაკუთრებით ენერგიულა აქტიურობდა, რომელიც ცენტრალურ აზიაში ანტიბოლშევიკურ მოძრაობებსაც მხარს უჭერს. თუმცა, ათათურქის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ციხარება შეიცვალა. ათათურქის რეალისტური პოლიტიკის მიხედვით, ახლად ჩამოყალიბებულ თურქეთის რესპუბლიკას აღმოსავლეთის საზღვარზე საიმედოს საზღვრები უნდა ჰქონოდა.

1920 წელს საბჭოთა ჯარებმა ავღივანსა და ბაქოში ბოლშევიკური რეჟიმი სავალდებულოდ დაამყარეს. ამის შემდეგ საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების საფრთხეა შკარა გახდა. საქართველოს მენშევიკური მთავრობა ცდილობს თურქეთთან გარიგებაზე წავიდეს და ბათუმში ნიეთლი არმიის შესვლას შეენიანაღმდეგოს. 1921 წლის 11 მარტს თურქეთის ჯარებმა ბათუმს იკავეებენ. თუმცა, უკვე 25 მარტს მენშევიკური მთავრობა საბჭოთა მთავრობას დაუზავდა. ორი დღის შემდეგ ბათუმში საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს. 1921 წლისათვის კი ბოლშევიკებმა სამხრეთ კავკასიის განითქვამა დაასრულეს.

ამავე დროს, 1921 წლის 16 მარტს, მოსკოვში, თურქეთსა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის მეგობრობის ხელშეკრულება გაფორმდა. თუმცა, ათათურქმა და ბოლშევიკურ რუსეთს შორის „ტკპილი ურთიერთობა“ დიდხანს არ გაგრძელებულა. თურქეთში ანტიბოლშევიკური ლეგიონი იზრდებოდა, რაც საბჭოთა რუსეთის მხრიდან თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ტერიტორიების შესაძლო ოკუპაციის საფრთხეს უკავშირდებოდა. იმ ეტაპზე ათათურქის მოსკოვთან შეთანხმება თურქეთისათვის საკავსიის საზღვრებზე სტაბილურობას ნიშნავდა. ამ პერიოდის მთელი XX საუკუნის განმავლობაში თურქეთის საზღვრები სამხრეთ კავკასიისთან უმკაცრესად იყო ჩაკეტილი, რაც წინა ათასი წლის განმავლობაში ასე უცხო იყო ამ რეგიონისათვის.

მსოფლიო ომის პერიოდში თურქეთი, ისეთ ინიოტს ხელმძღვანელობით ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ატარებდა. ანკარა ომის მხოლოდ ბოლო ფაზაში ჩაერთო. ომის დამთავრების შემდეგ კი სტალინის ექსპანსიონისტური გეგმები თურქეთის შემოთავაზების მიზნით გახდა. ამიტომაც ანკარა სულ უფრო აქტიურ პროდასავლურ კურსს იღებს და დასავლეთური ალიანსების წევრი ხდება. სტალინი თურქეთის სრულყოფილ განსაკუთრებულ უფლებებს მოითხოვს და საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა სომხეთის რესპუბლიკების სახელით

ოსმალთა იმპერიის არსებობის ბოლო წლებში

თურქეთს ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებს. ანკარა, ბუნგარივი, უარყოფს მოსკოვის მოთხოვნებს და დასავლეთის უსაფრთხოების „ქოლგის“ ქვეშ მკვიდრდება. თურქეთი საბჭოთა აგრესიის შესაჩერებლად ამერიკული დახმარებების მიღებას იწყებს. 1953 წელს კინატო-ში წვერიანდება.

1950-იან წლებში თურქეთის საზღვარი სამხრეთ კავკასიასთან უაღრესად მილიტარიზებული იყო. 1980-იან წლებამდე საბჭოთა კავშირს თურქეთთან სასაზღვრო კონტროლის მთელი კომპლექსი ჰქონდა შექმნილი. ყოველდღიურად თურქეთთან საზღვარზე ვერტმფრენი საბატრული ფრენა ანარეობდა. თურქეთის მოქალაქეების კონტაქტი კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში მცხოვრებლებთან შეზღუდული იყო. მიმდინარეობდა მხოლოდ დაბალი დონის პოლიტიკური და კულტურული გაცვლები. საქართველოში, სარფისა და სომხეთში, გუუმრის გამშვები სასაზღვრო პუნქტები ღია იყო მხოლოდ დიპლომატთა ტრანზიტისა და პროდუქციის მინიმალური გაცვლისთვის.

1980-იან წლებში თურქეთის ლიდერები დანარჩენი მსოფლიოსადმი უფრო გახსნილები გახდნენ. დაიწყო თურქულენოვან ხალხებთან კავშირების დამყარება, მათ შორის იყო კავკასიის ხალხებიც. საბჭოთა კავშირის დაშლამ და საზღვრების გახსნამ კი, ეს კავშირები უფრო ინტენსიური გახდა.

სამხრეთ კავკასიის ახლად განთავისუფლებულ რესპუბლიკებთან თურქეთის ლიდერმა, თურგუთ ოსულმა ოფიციალურ ურთიერთობებს საფუძველი მას შემდეგ ჩაუყარა, რაც სამივე რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1991 წლის სექტემბრისათვის თურქეთის დიპლომატიური დელეგაცია უკვე ესტუმრა ბაქოს, ერევანსა და თბილისს. ამით ფორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისათვის მოსაძებნადებელი სამუშაო შესრულდა. სომხეთ-აზერბაიჯანის ომის გამო ერევანთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება შეუფერხდა, ბაქოსა და თბილისს ში კი თურქეთის საელჩოები მალევე გაიხსნა.

თურქეთის რესპუბლიკა-რუსეთის ურთიერთობის უმთავრესი საკითხი 90-იან წლებში და სამხრეთი კავკასია

ცივი ომის დასრულების შემდეგ თურქეთი სრულიად ახლად გარემოში აღმოჩნდა, რაც ანკარას საგარეო პოლიტიკის ძირეული გადახედვისკენ უბიძგებდა. გაქრა საბჭოთა კავშირიდან მომავალი საფრთხე, რამაც თურქეთ-რუსეთის ურთიერთობაზე თავისი პოზიტიური გავლენა მოახდინა. საბჭოთა-თურქული დაძაბულობა შენელებას ჯერ კიდევ 1985 წელს საბჭოთა კავშირის სათავეში

მიხეილ გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ იწყებს. ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ თანამშრომლობაში შესაძენი პროგრესი იგრძობა. ეს პროცესი 1991 წლის მარტში თურქეთისა და საბჭოთა კავშირის პრეზიდენტების, ოხალისა და გორბაჩოვის მიერ მეგობრობისა და კეთილშობილობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით დასრულდა.

1991 წელს საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის შემდეგ მოსკოვის ხელშეწყობით რეგიონული კონფლიქტების „კანდორის ყუთი“ გაიხსნა, ძირითადად სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში: საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. კონფლიქტებში თურქეთი და რუსეთი სხვადასხვა ბანაკებში აღმოჩნდნენ. ამის მიუხედავად, თურქეთი სტრატეგიული და ეკონომიკური ფაქტორების გამო მოსკოვთან დაპირისპირებას ერიდებოდა. შედეგად თურქეთი იძლეოდა იყო რუსეთთან ურთიერთობაში დიპლომატიური პოლიტიკა გატარებისა, რათა ბალანსი დაეცვა კავკასიისა და ცენტრალური აზიის მუსლიმური და ძირითადად თურქულენოვანი ხალხების მიმართ სიმპატიისა და ანკარას სურვილს შორის, მოსკოვი რუსეთის „ახლო საზღვარგარეთში“ მონაპოლის დაბრუნებაში შეეჩერებინა. თურქეთის პოლიტიკის

**თურქეთის ურთიერთობები**

ამოცანა იყო რუსეთში საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მხარდაჭერა და რუსეთის სამხედრო ძალასთან პირდაპირი შეტაკების თავიდან აცილება. თუმცა, რუსეთის საგარეო პოლიტიკის გაურკვეველობა და ცვალებადი მიმართულებები თურქეთის საგარეო პოლიტიკის მესვერებს და მათ დასავლეთელ კოლეგებს პრობლემებს უქმნიდა.

სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისითაც, რუსეთის ფედერაცია გაცილებით სუსტი სახელმწიფოა, ვიდრე საბჭოთა კავშირი, მაგრამ მისი მნიშვნელობა კვლავაც ანგარიშგასაწევი, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიაში, სადაც ყველა წარმოქმნილ კონფლიქტში მთავარი ფარული თუ აშკარა აქტიორი რუსეთია. ვარშავის პაქტის დაშლის მიუხედავად, რუსეთი კიდევ ფლობს უზარმაზარ ჩვეულებრივ შეიარაღებულ ძალებს, ბირთვულ რაკეტებსა და უშიშროების საბჭოში მუდმივი ადგილის უკავია. ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, რომელიც ახლა ნომინალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობაშია (დსთ) გაერთიანებულია, რუსეთი კვლავაც წამყვანი „მოთამაშეა“. ექსპერტების აზრით, რუსეთის მხრიდან თურქეთზე პირდაპირი რისკი შეიძლება გაქრას, მაგრამ თურქეთს ახლაც ესაჭიროება რუსეთთან პოზიტიური კონფლიქტი აიცილოს, სადაც კი ეს შესაძლებელია,

განსაკუთრებით კი იქ, სადაც გაურკვეველია ნატო-ს დანარჩენი ნევრები და უტყერენ თუ არა მას მხარს.

თურქეთ-რუსეთის ერთობლივი ეკონომიკური კომისიის პირველი შეხვედრა 1992 წლის 2-6

ეკონომიკური ურთიერთობები. ეკონომიკური შესაძლებლობების მხრივ თურქეთი და რუსეთი რეგიონში ორი ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოა. ეკონომიკური ექსპერტების გაანგარიშებით, მიუხედავად იქნება, რომ 90-იანი წლებიდან ყველაზე უფრო მეტ პერსპექტივას უქმნის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებით სავსე ურთიერთხელსაყრელი გარემო რუსეთში ჩატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა შექმნა.

90-იან წლების დასაწყისში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა საკრედიტო სფეროშიც გამოიხატა. თურქეთის „ექსიმბანკმა“ 1989-91 წლებში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის საექსპორტო კრედიტის სახით 600 მილიონი ამერიკული დოლარი გამოუყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთმა საბჭოთა კავშირის ფინანსური ვალდებულებების გადახდა იკისრა, რაც მას მძიმე ტვირთად დააწვა. მოსკოვმა ანკარას ვალის გადახდის პერიოდის გადავადება თხოვა. ორ-შვიდი მოლაპარაკებების შედეგად, 1994 წლის 19 ივნისსა და 1995 წლის 15 დეკემბერს ორ ქვეყანას შორის ხელი მოეწერა ვალის გადავადების შეთანხმებები. თურქეთთან მიღწეული შეთანხმებების ძალით, რუსეთი თურქეთის ვალს პერიოდულად დაბრუნებს. ვალის ბოლო ნაწილი კი 2011 წლისათვის უნდა დაიფაროს.

გარდა ამისა, 1995 წლის 15 დეკემბერს ხელი მოეწერა კიდევ ერთ შეთანხმებას, რომლის ძალითაც, თურქეთის „ექსიმბანკმა“ რუსეთის თურქული საქონლისა და მომსახურების ექსპორტის დაფინანსებისათვის 350 მილიონი დოლარის მოცულობის ახალი კრედიტი გამოუყო. შედეგად, რუსეთმა თურქეთისაგან კრედიტის სახით, საერთო რაოდენობით 950 მილიონი ამერიკული დოლარი მიიღო. მომდევნო წლების განმავლობაში გამოყოფილი კრედიტი სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად დაიხარჯა, რამაც ხელი შეუწყო ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას.

ნომებრს ანკარაში გაიმართა. ამ შეხვედრამ ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას შეუწყობი ხელი, რასაც 1994 წლის 1-6 აპრილის მოსკოვი კომისიის მეორე შეხვედრა მოჰყვა. უკვე სამი წლის შემდეგ კი, 1997 წლის 4-7 ნოემბერს ანკარაში თურქეთ-რუსეთის ერთობლივი ეკონომიკური საბჭოს შესაძენი შეხვედრა გაიმართა, სადაც ასევე მომზადდა რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტორ ჩინოშიორდინის პირველი ოფიციალური ვიზიტი თურქეთში, რომელიც დეკემბერში შედგა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობა პირველი ეტევის წლის განმავლობაში ოფიციალური მონაცემების მიხედვით მყარდებოდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის რუსეთის მიმართ ყოველთვის უაწყობო საკვაჭრო ბალანსი ჰქონდა. მსგავსი ტენდენცია გრძელდებოდა დღესაც.

თურქეთ-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობები (მლნ. აშშ დოლარი)

წელი	ექსპორტი	იმპორტი	საერთო მანქანები	ბალანსი
1991	610	1960	2,570	- 1,350
1992	438	1,040	1,478	- 602
1993	499	1,542	2,041	- 1,043
1994	820	1,045	1,865	- 225
1995	1,238	2,082	3,320	- 844
1996	1,482	1,846	3,328	- 364

რუსეთსა და თურქეთს შორის 1984 წელს ხელმოწერილმა სავაჭრო შეთანხმებამ მუშაობა 1974 წელს შეაჩერა, როდესაც რუსეთის საკუთარი საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაცია დაიწყო. ამ პოლიტიკის შეცვლამდე რუსეთი თურქეთისაგან საქონელსა და მომსახურებას ყიდულობდა გაზის ექსპორტის სანაცვლოდ. ეს შეთანხმება თურქეთს საშუალებას აძლევდა გაზის 30% სამშენებლო პროექტებით დაეფარა, რომელსაც თურქი კონტრაქტორები რუსეთში ახორციელებდნენ, დანარჩენი 70%-ის დაფარვა რუსეთისთვის საქონელი მიყიდვით ხდებოდა. ორი ქვეყნის ოფიციალური პირები ყოველწლიურად იკრიბებოდნენ, რათა განესაზღვრათ

რუსული გაზის სანაცვლოდ რუსეთში გასაცვავანნი თურქული საქონლის რაოდენობა და სახეობა. ეს სისტემა რუსეთის ეკონომიკის დეცენტრალიზაციამდგომუშაობდა. ამის შემდეგ კინეზიმიერ რუსულ კომპანიათა თუ ინსტიტუტს, რომელსაც საკუთარი სავალუტო შემოსავლები ჰქონდა, შეეძლო თავად დაემარტებინა საიმპორტო შეთანხმებები, რაც თურქეთ-რუსეთის ბარტერული ვაჭრობის დასასრულს ნიშნავდა.

თურქეთის სავაჭრო დეფიციტი რუსეთთან 1997 წელს 118 მილიონი ამერიკული დოლარი იყო. მაგრამ იგი 807 მილიონით გაიზარდა, როდესაც 1998 წლის ფინანსური კრიზისის დროს რუსეთმა იმპორტი მკვეთრად შეამცირა. ეს ზღვარი ყოველწლიურად კიდევ უფრო იზრდება. 1999 წელს რუსეთის იმპორტი თურქეთიდან და რუსეთის ექსპორტი თურქეთში შესაბამისად 588 მილიონ და 2,37 მილიარდი დოლარი იყო.

1998 წლისათვის თურქეთის ვაჭრობა დსთ-თან 12.7%-მდე გაიზარდა. დსთ-ის შიგნით კი რუსეთი თურქეთის ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი იყო. 1998 წელს რუსეთში ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, თურქეთის ექსპორტი რუსეთში, „ჩემოდენებით ვაჭრობის“ ჩათვლით, 3 მლრდ ამერიკულ დოლარს აღწევდა, ანუ მთლიანი ექსპორტის 11%-ს. აღსანიშნავია, რომ კრიზისისას ბევრი ქვეყნის კომპანიებმა დატოვეს რუსეთი, მაშინ, როცა თურქეთის კომპანიებმა რუსეთში მოღვაწეობა გააგრძელეს. მართალია კრიზისის დროს თურქეთის მხარეც მიიარადა, საბაგიროდ მათ ბაზრის გარკვეული ნაწილის დაკარგვას შეძლეს.

90-იან წლებში რუსეთი თურქული პროდუქციის გასაღების მნიშვნელოვანი ბაზარი იყო. რუსეთში ძირითადი საქსპორტი საქონელია ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საკვები, ქიმიური და ელექტრო საქონელი. 1997 წლისათვის მხოლოდ თურქეთის სამშენებლო ფირმებმა რუსეთში 5 მლრდ ამერიკული დოლარის ღირებულების კონტრაქტები გააფორმეს. ამის გამო, თურქულმა პრესამ თურქეთის ზოგიერთ დიდი კომპანია თურქეთში რუსეთის ბიზნეს-ინტერესების ლობირებაში დაადანაშაულა. მასმედისი აზრით, ისინი ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური კონფლიქტების თავიდან აცილებით ცდილობდნენ, რათა საკუთარი ბიზნეს-ინტერესების არ შეეღახათ.

იმპორტის თვალსაზრისით თურქეთის ვაჭრობა რუსეთთან გაცილებით დაბალია, 2,2 მლრდ. ამერიკული დოლარი ანუ მთლიანი იმპორტის 4,7%. თუმცა, მისი დიდი ნაწილი ბუნებრივ გაზზე მოდიოდა, რომელიც თურქეთში ბულგარეთის გავლით მილსადენით თაერქობდა. მილსადენი 1987 წელს აშუშავდა. რუსეთი თურქეთის ყოველწლიურად 8 მლრდ. კუბურ მეტრ გაზს აწვდიდა, რაც თურქეთის მიერ მოხმარებული მთლიანი ბუნებრივი გაზის 60% იყო. ამ იმპორტის გარეშე, თურქეთი სერიოზული ენერგოკრიზისის წინაშე

დადგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ცდილობს ბუნებრივი გაზის წყაროს დივერსიფიცირება მოახდინოს, რუსეთი ახლო მომავალში გაზის მთავარ მიმწოდებლად დარჩება. 1997 წლის აპრილს ხელმოწერილი შეთანხმებით ორი ქვეყნის მთავრობა შეთანხმდა არსებული მილსადენის გამტარუნარიანობა 2002 წლისათვის 14 მლრდ. კუბურ მეტრამდე გაზარდოს.

**პოლიტიკური ურთიერთობები.** 1994-96 და 1999 წლებში რუსეთის სამხედრო კამპანიებმა ჩეჩნეთში თურქეთ-რუსეთს შორის პოტენციური კონფლიქტის წყარო წარმოქმნა. ამ ომში თურქი საზოგადოების სიმპატიები ჩეჩნების მხარეს იყო, რადგან ჩეჩნები მუსლიმები იყვნენ. მიახლოებით მოსაწვევებით, ჩეჩნური წარმოშობის 25 ათასი ადამიანი თურქეთის მოქალაქეა. გარდა ამისა, თურქეთის მოსახლეობის 5 მილიონამდე მცხოვრები წარმოშობით ჩრდილოეთ ან სამხრეთ კავკასიიდან (ჩეჩნები, ჩერქეზები, აფხაზები, აზერბაიჯანლები და სხვები) არიან. ეს ჯგუფები მხარს უჭერენ რამდენიმე კულტურულ ორგანიზაციას თურქეთში, რომლებსაც კავშირები აქვთ ულტრანაციონალისტებთან და ისლამურ პარტიებთან. გავრცელებული მოსაზრებით, ისინი აგროვებდნენ ფულს და მოხალისეებს და არაოფიციალურად ჩეჩნეთში საბრძოლველად აგზავნიდნენ. მსგავსი რამ აფხაზეთში და მთიან ყარაბაღშიც ხდებოდა, რაც კავკასიური დიასპორის უმუხლო მონაწილეობით მიმდინარეობდა.

მათ განსაკუთრებული ყურადღება 1996 წლის იანვარში მიიქცის, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიური წარმოშობის თურქეთის მოქალაქეებმა ტრაპიზონის პორტში გემი „ავრაზია“ დაატყვევეს. იმავე წელს თურქეთმა ასევე მიიღო არაოფიციალური „იჩქერის ჩეჩნური რესპუბლიკის წარმომადგენლობა“. თუმცა, თურქეთის მთავრობები ძალიან ფრთხილდნენ რომელიმე ამ ჯგუფისთვის ღია დახმარება გაეწიათ, რადგან ამას შეეძლო რუსეთის მხრიდან ქმპ-ის ფინანსური და ტექნიკური დახმარება გაეაქტიურებინა. 1995 წლის თებერვალში ორმა ქვეყანამ ხელი მოაწერა უსაფრთხოების პროტოკოლის ტერიტორიებისა და ორგანიზებული დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლაში. ფაქტობრივად მხარეები თანხმდებოდნენ, რომ ისინი არ ჩაერევიდნენ ქურთულ ან ჩეჩნურ კონფლიქტში. მსგავსი ვალდებულება გარკვეულწილად 1921 წელს თურქეთ-საბჭოეთს შორის დადებული შეთანხმების ანალოგიური იყო, ცოტა განსხვავებულ გარემოებებში.

შემდეგში თურქებს საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვი ჰქონდათ, რომ მოსკოვი ხელშეკრულების გათვალისწინებულ პუნქტებს მკაცრად არ იცავდა. ქმპ-ს მიმართ რუსეთში ოფიციალურ დონეზე საკმაოდ ტოლერანტული დამოკიდებულება სუფევდა, ისევე როგორც პროჩეჩნური ჯგუფებისადმი თურქეთში. უფრო მეტიც, 1998 წლის

ოქტომბერსა და 1999 წლის თებერვალში, აბდულა ოჯალანის „ოდისეის“ პერიოდში რუსეთმა ოჯალანი რამდენჯერმე შეიფარა, თუმცა რუსები ამას ლიად არასოდეს აღიარებდნენ, მისთვის პოლიტიკური თავშესაფარიც არ მიუციათ. მეორე მხრივ, ორივე მხარე ფრთხილობდა ერთმანეთის შიდა საქმეებში ლიად ჩარევაზე და ერთმანეთის ტერიტორიებზე აჯაყებულუების მთავარი მხარდაჭერები არასოდეს ყოფილან.

ეს საკითხი აქტუალური გახდა, როდესაც 1999 წლის ნოემბერში ბულენთ ევგეითი მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. თურქეთის პრემიერ-მინისტრის ბულენთ ევგეითის რუსეთში ვიზიტს დიდი ხანია ელოდებოდნენ. ერთი პერიოდი ევგეითის მოსკოვში ჩასვლა სათუოც კი იყო, რადგან თურქეთი უარს უცხადებდა „ცისფერი ნაკადის“ გაზის პროექტზე პროტოკოლის ხელმოწერაზე, რასაც მოსკოვი დაფინანსებთ მოითხოვდა. ამ საკითხის მოუგვარებლობის მიუხედავად, ვიზიტი მაინც შედგა, რადგან ორივე მხარე მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ევგეითის მოსკოვში თან ახლდა თურქეთის საქმიანი წარმომადგენლები. რუსეთის ეკონომიკური კრიზისის დროს თურქეთმა მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა, რადგან, რუსეთი, თურქეთის სიდიდით მეორე სავაჭრო პარტნიორია. ევგეითის განცხადებით, თურქეთი ვერ შეძლებდა თავისი ეკონომიკური პრობლემების გადარეგება მანამ, სანამ რუსეთი საკუთარ კრიზისს ვერ გადალახავდა. რუსეთის ფედერაციის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის პუტინის განცხადებით, ორ ქვეყანას შორის ყოველწლიური ვაჭრობა ოფიციალური მაჩვენებლით 3 მლრდ. დოლარი იყო, მაგრამ რეალურად ის გაცილებით უფრო მაღალი იყო. პუტინის თქმით, სავაჭრო ბალანსი უნდა განიხილას ორეულიყო, რამიც გადამწყვეტ როლს „ცისფერი ნაკადის“ პროექტის განხორციელება შესაძლებელია.

„ცისფერი ნაკადის“ გაზსადენის პროექტის ხელმოწერა ევგეითის მოსკოვში ვიზიტის მთავარ პრემიერმა უნდა ქვეულოყო, მაგრამ თურქეთის პრემიერმა თავი შეიკავა ამ საკითხზე შედეგით გამოათქვამებისაგან და ბუნდოვანი განცხადებებით მომავალში პროექტის ხელმოწერაზე ისაუბრა. ხელმოწერისაგან თავის შეკავება მიზეზად ევგეითმა ტექნიკური მიზეზები დაასახლა.

საყურადღებოა ამ ვიზიტითან დაკავშირებით თურქი ბიზნესმენების მიერ გამოთქმული შეფასებები. მოსკოვში პრემიერს თურქ ბიზნესმენთა მთელი კოორგაცია ახლდა, მაგრამ მათი განცხადებით, ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ისინი პრემიერისაგან რუსეთის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ შექმნილი ვითარების შედეგად თურქული კომპანიებისათვის მიყენებული ზიანის გამო წარმოშობილ პრობლემების განხილვას მოელოდნენ, მაგრამ ამ მხრივ,

პრემიერებმა ნაკლები ენთუზიაში გამოიჩინეს. პრემიერები პირისპირ შეხვედრისას შეთანხმდნენ, რომ თურქეთ-რუსეთის ურთიერთობაში თანამშრომლობა დაპირისპირებას შეეცვლიდა. ხელი მოეწერა რამდენიმე მნიშვნელოვან შეთანხმებას. ხელმოწერილ შეთანხმებებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პროტოკოლი ტერიტორიების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ. ანკარა ვერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მოსკოვს ქურთისტანის მუსულმანური შექმნასა და მფარველობაში ადანაშაულებდა და ამიტომაც, მოსკოვის მხრიდან ქურთი ტერიტორიების წინააღმდეგ მიმართული ერთობლივი ღონისძიებების გატარება ანკარისათვის მნიშვნელოვანი იყო. თავის მხრივ, რუსეთმა მამინ, როცა ჩეჩნეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციას ატარებდა, ანკარას მხრიდან პროტოკოლის ხელმოწერა დადებითად შეაფასა. ანკარას კეთილ ნებას მოსკოვმა მოულოდნელი ნაბიჯით უპასუხა და თურქეთის წითელ ნახევარმთავარს ჩეჩნეთში ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნის უფლებაც კი მისცა.

მოსკოვში ვიზიტისას ევგეითი საკმაოდ ფრთხილ განცხადებებს აკეთებდა და ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენების გამო მოსკოვის კრიტიკას თავს არიდებდა. თურქეთის პრემიერის განცხადებით, ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენები რუსეთის საშიშრო საქმე იყო და მოსკოვს მხოლოდ კონფლიქტის მშვიდობიანი დადასყვეტისაკენ მოუწოდებდა.

საკმალოო ჯამში თურქმა ანალიტიკოსებმა, მოსკოვში ხელმოწერილი რამდენიმე შეთანხმების მიუხედავად, ევგეითის ვიზიტი წარუმატებლად შეაფასეს. ექსპერტების აზრით, პრემიერ-მინისტრმა აგრ გამოხატა თურქეთის საზოგადოებრივი აზრი და რუსეთის პრემიერის წინაშე ფრთხილ განცხადებების გაკეთებით შემოიფარგლა. ანტიტერორისტული შეთანხმება კი ვერ ჩითვლებოდა იმ მნიშვნელობის მოვლენად, რომლის გამოც ვიზიტი წარმატებულად შეიძლება შეფასებულყო. განიცხადებული დარწმუნება პრობლემა. რუსეთის მოთხოვნის მიუხედავად თურქეთმა „ცისფერი ნაკადის“ პროექტის განხორციელებისაგან თავი შეიკავა. ამ საკითხში ანკარაზე აშშ-ის ზენოლა აშკარა იყო. თურქეთისათვის მოცემულ ტანაშუ ვაშინელოვთან შეგობობა გაცილებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე „ცისფერი ნაკადის“ პროექტი, რომელიც გარდა აშშ-ის ინტერესებისა, უდიდეს დარტყმას მიაყენებდა ტრანსკასპური დერეფანის მონაწილე სახელმწიფოების ინტერესებს.

1990-იანი წლების დასაწყისში თურქეთის ოზალი ევგეითმა განვიტარებინა თურქეთის მზარდი ეკონომიკური კავშირები შეზობულ ექსკომუნისტურ სახელმწიფოებთან რეგიონული ორგანიზაციების შექმნით, როგორც იყო შავი

ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (ბისეკი) პროექტი. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ერთ რეგიონულ ორგანიზაციაში გაერთიანდა თურქეთი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. თუმცა, ნევრი ქვეყნები იმდენად განსხვავებულ პოლიტიკურ პოზიციებზე დგანან, რომ ორგანიზაციაში ვერ შეძლო ეფექტური განვითარება, ეკონომიკური მიმართულებითაც კი. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ბისეკის თავმჯდომარეობის პერიოდში ცდილობდა თანამშრომლობას რეალურად ემუშავა, მკვეთრი აზრთასხვადახეობის გამო, თურქეთის დიპლომატიურმა აქტიურობამ შედეგი ვერ გამოიღო.

1998 წლისათვის თურქეთის ვაჭრობა ბისეკის ქვეყნებთან მისი საერთო ექსპორტის 12%-მდე და იმპორტის 9%-მდე გაიზარდა. მაგრამ მთელი ამ ვაჭრობის ნახევარი რუსეთზე მოდიოდა. ბევრი მიიჩნევდა, რომ პროექტს უფრო პოლიტიკური მიზნები ჰქონდა, ვიდრე ეკონომიკური, რადგან იყო იდეა, რომ თურქეთის ქვეყნები ეკონომიკურად ურთიერთდამოკიდებულები იქნებოდნენ, ისინი უფრო მეტად თანამშრომლებდნენ პოლიტიკურად. თუმცა, ბისეკის თითქმის ყველა წევრს შორის იყო ისეთი დაპირისპირება, რაც მსგავს მოსაზრებას ეჭვის ქვეშ აყენებდა. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მალაჩინოსანის განცხადებით, ბისეკის პროექტს არ ჰქონდა სამშვიდობო მისია და არ იყო აღჭურვილი პრევენტიული დიპლომატიისა და რეგიონული განაარაღების მექანიზმებით. ყველაფრის მიუხედავად, იგი ნევრი ქვეყნებისათვის ფორუმში იყო ერთმანეთს შორის არსებული განსხვავების გადაწყვეტილების ცდა.

რეგიონულ სახელმწიფოს შორის სხვადასხვა ომებიდან, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიმდინარე კონფლიქტი ყველაზე მძიმე იყო თურქეთისათვის, რადგან იგი ერთადერთი ომი იყო ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის, ისევე როგორც ბოსნია-ჰერცეგოვინას კონფლიქტში, რომლის დროსაც ანკარა დადგა შიდა პოლიტიკური ზნეობისა და საგარეო რეალობის შეთანხმების რთული ამოცანის წინაშე. მაშინ, როდესაც თურქეთის საზოგადოებრივი აზრი ცალსახად აზერბაიჯანელებს უჭერდა მხარს, მთავრობამ არ შეეძლო აზერბაიჯანისათვის მორალურ და ეკონომიკურ მხარდაჭერაზე მეტი გაენა, სომხეთთან პირდაპირი სამხედრო კონფლიქტის პროვოცირების შიშით, რაც

ტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომლის ძალითაც მონაწილე ქვეყნებმა ერთმანეთს დახმარების პირობა დადეს, თუმცა დსთ-ის არანაირი ნებისმიერი ქვეყანა შეუტევდა. ამან საშუალება მისცა რუსეთს ჯარები განეთავსებინა სომხეთში (1993 წელი), მოგვიანებით კი საქართველოში (1994 წელი). ასე, რომ თურქეთი სომხეთთან სამხედრო კონფლიქტში აღმოჩნდებოდა, მაშინ ანკარა რუსეთთანაც დაპირისპირებაში ჩაებმებოდა. საქართველოსა და სომხეთში რუსეთის ჯარის განთავსებით, ფაქტობრივად აღსდგა ცივი ომის დროინდელი მდგომარეობა. თურქეთი და რუსეთი სამხედრო თვალსაზრისით კვლავ დამეზობლებდნენ.

თურქეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირებამ საერთაშორისო მასშტაბები მას შემდეგ შეიძინა, რაც საბჭოთა მმართველობის დასრულების შემდეგ კასპიის აუზის ნავთობისა და გაზის რესურსების საერთაშორისო ექსპლუატაცია დაიწყო. აზერბაიჯანი, კასპიის აუზის სხვა ქვეყნების, ყაზახეთისა და თურქმენეთის მსგავსად, შეუნებულნი იყვნენ საკუთარი ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარებაში რუსეთზე ერთობ უკიდურესად. ამისგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება ახალი ალტერნატიული მილსადენების მშენებლობა იყო, რაც მეზობლებთან სტაბილურ და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს მოითხოვდა.

კასპიის აუზის ქვეყნების მიერ ექსტრარეზერვების მოპოვებისა და მოსკოვის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის გარეთ საქსპორტო მილსადენების მშენებლობის პერსპექტივა რუსეთის ლიდერებს აფიქრებინებდა, რომ ეს ქვეყნები შეიძლება მოსკოვის გავლენის სფეროდან გამოსულიყვნენ დასავლეთის ქვეყნების, ისევე როგორც თურქეთის ინტერესების სასარგებლოდ. ამიტომაც, მილსადენების პროექტებმა იგივე როლი შეიძინეს, რასაც რკინიგზის ხაზები მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის დიპლომატიაში ასრულებდნენ, როგორც იარაღი პოლიტიკური ძალაუფლების მიღწევისა და ეკონომიკური დომინირებისათვის.

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტი 1990 წლის იანვარში დაიწყო, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, როდესაც საბჭოთა ჯარებმა აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ასობით აზერბაიჯანელი მოკლეს. ამ ეტაპზე, თურქეთი კიდევ იმედოვნებდა და ელოდებოდა, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც ტერიტორიული ერთობა, შენარჩუნდებოდა. თურქეთი მხარს უჭერდა გორბაჩოვის რეფორმების პროგრამას და კონფლიქტს შიდა საბჭოთა პრობლემადაც ხედავდა.

თუმცა, მოვლენებმა მსგავსი პოლიტიკა რეალბასთან შეუთავსებლად აქცია.

1991 წლის 30 აგვისტოს აზერბაიჯანმა დამოუ-

კიდებლობა გამოაცხადა, რასაც 21 სექტემბერს სომხეთის მიერ იგივე ნაბიჯი მოჰყვა. ამავე დროს, 2 სექტემბერს მთიანმა ყარაბაღმა, აზერბაიჯანის ძირითად დასახლებულ ანკლავმა, ცალკე რესპუბლიკა გამოაცხადა. 26 ნოემბერს აზერბაიჯანის პარლამენტმა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური სტატუსი გააუქმა, რაც მას საბჭოთა კონსტიტუციით ჰქონდა მინიჭებული. დამოუკიდებლობის ეფორიის პერიოდში აზერბაიჯანელებმა და სომხებმა აშკარად წინააღმდეგობით აღსავეს პოლიტიკა აირჩიეს. ანკარაში, მესული მაზის „დედასამშობლოს“ პარტიის ადმინისტრაციამ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა 9 ნოემბერს აღიარა, სულემან დემირელის მთავრობამ კი, ეს აღიარება 1991 წლის 19 დეკემბერს კვლავ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაზე გაავრცელა.

ექსპერტების განცხადებით, გრძელვადიან პერსპექტივაში თურქეთს კავკასიაში მშვიდობა და სტაბილურობა და რეგიონის ყველა ქვეყანასთან ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება სჭირდება. ოპტიმისტური პროგნოზებით, 90-იან წლებში თურქეთს რეგიონული არბიტრის როლი უნდა შეესრულებინა. თურქეთის ეს ამბიციები აღიქმავდა შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან თურქეთს ამისთვის არ ჰქონდა საკმარისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო რესურსები. ასევე დიდ სირთულეს წარმოადგენდა რეგიონული კონფლიქტების გავრცელება. თურქეთი შეეცადა სომხეთთან კონტაქტები დაემყარებინა და აზერბაიჯანი მთიანი ყარაბაღისთვის ავტონომიის აღდგენაში დაერწმუნებინა, მაგრამ 1992 წლის თებერვალში ანკლავის ირეკლივ სრულმასშტაბის ბრძოლები დაიწყო. სომხეთის მთავრობა აცხადებდა, რომ ომში ყარაბაღელი სომხები მონაწილეობდნენ მხოლოდ და არა თვითონ სომხები, მაგრამ მსგავსი განცხადება არ შეიძლება სერიოზულად განხილულიყო, რადგან ყარაბაღელი ძებნაოლები დიდად იყვნენ დამოკიდებულნი სომხეთის მხარდაჭერაზე, რომლებსაც თავის მხრივ რუსეთი უჭერდა მხარს.

26 თებერვალს სომხეთის ჯარებმა მთიანი ყარაბაღის დედაქალაქში, სტეპანაკერტში, აზერბაიჯანელებით დასახლებული გარეუბანი ხოჯალი აიღეს, 500 სამოქალაქო პირი განდევნეს და ამით თურქეთში საყოველთაო სახალხო პროტესტი გამოიწვიეს. პრეზიდენტი ოზალი უფრო მკაცრ კურსს უჭერდა მხარს და მიიჩნევდა, რომ თურქებს „სომხები ცოტათი უნდა შეეშინებინათ“, მაგრამ მას მხარი არ დაუჭირა დემირელმა, რომელიც აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის კონფლიქტის გადანაცვლების მშვიდობიან გზას უჭერდა მხარს. ეს იმედები ფუჭი გამოდგა.


1992 წლის 28 თებერვალს, თურქეთის აქტიურობით, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონვენენციამ საზღვრების

შეცვლის ძალისმიერი მეთოდები გაკიცხა და მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის ნაწილად აღიარა. ამას სომხები არ შეუკვებია, რომლებმაც 11 მაისს მთელი მთიანი ყარაბაღი დაიპყრეს და ანკლავსა და უშუალოდ სომხეთს შორის, ლაჩინის გაუქმდა, დერეფანი შექმნეს. გარდა ამისა დაბომბეს ნახიჯვანის დასავლეთის ნაწილი, რომელიც ეგოგრაფიულად აზერბაიჯანს მონყვეტილია და თურქეთის ტერიტორიას ესაზღვრება.

სომხების შეტევა ნახიჯვანზე თურქეთისათვის კრიტიკულ საკითხს გახდა, რადგან ბრძოლები უკვე თურქეთის საზღვარს მიუახლოვდა. სომხების მიერ ნახიჯვანის დაპყრობა 1921 წლის თურქეთ-საბჭოეთის შეთანხმების დარღვევა იქნებოდა, რომელიც ნახიჯვანს აზერბაიჯანის ნაწილად აცხადებდა და მისი რომელიმე სახელმწიფოსთვის გადაცემა არ შეიძლებოდა. თურქეთის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლების მოთხოვნის შესაძლებლობა, ნახიჯვანში სტატუს-კვოს დასაცავად სამხედრო ინტერვენციის შესახებ, ლია საკოთხად რჩებოდა. სახმელეთო ჯარების ხელმძღვანელმა, გენერალმა მიუქითინ ფისონოღლუმ გამოაცხადა, რომ შესაძლო სამხედრო მოქმედებისთვის „ყველა შესაძლებელი მოსამზადებელი სამუშაო“ შესრულებული იყო. ამ განცხადების შემდეგ მოსკოვში, დსთის შეიარაღებული ძალების მეთაურმა, გენერალმა შამოშვიტოვმა გაფრთხილება გააკეთა, რომ ნებისმიერი სახის ინტერვენცია შესაძლო ქვეყნის (ამ შემთხვევაში იტალიისგან) თურქეთში მხრიდან, შეიძლება დიდი ომში გადაზრდილიყო. მსგავსი გაფრთხილება გააკეთა რუსეთის ელჩმა ანკარაში ალბერტ ჩერნიშევმა.

აშკარა იყო, რომ თურქეთი და რუსეთი პირდაპირ დახმედრო შეტაკებათა ახლოს იყვნენ. ფრთხილად დემოკრატია დიპლომატიური საშუალებები აირჩია, რამაც შედეგიც გამოიღო. დემირელსა და რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს შორის 25-26 მაისს გამართულ საგანგებო შეხვედრაზე ორმა ლიდერმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, სადაც გაკვიცილი იყო ლაჩინის ოკუპაცია და სომხებისა და ნახიჯვანის საზღვარზე ბრძოლები, რამაც სომხები აიძულა ორ დღეში შეეყრებიან.

ამის შემდეგ ორ მხარეს შორის დაძაბულობა შენედა. ამავე დროს იზრდებოდა თურქეთის გავლენა ბაქოში, რადგან 1992 წლის ივნისში აზერბაიჯანის პრეზიდენტად ანკარას მიერ მხარდაჭერილი აბულფაზ ლჩინივი აირჩიეს. 1993 წლის მარტში თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის შეთანხმების პროექტს მონერა ხელი, რომელიც ბაქოსა და თურქეთის ხმელთაშუაზღვისპირა პორტ ჯეიჰანს შორის ნავთობსადენის მშენებლობას ითვალისწინებდა. ეს კავკასიაში თურქეთის პოლიტიკის ქვაკუთხედი გახდა, რადგან ის



შეიძლება რუსეთ-თურქეთის უფრო ფართო ომში გადაზრდილიყო.

1992 წლის მაისში ტაშვენტში დსთ-ის კოლექ-

თურქეთის კასპიის ნავთობის ირგვლივ მიმდინარე დიდ თამაშში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და აზერბაიჯანის საექსპორტო მილსადენის რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით, კასპიისპირა სახელმწიფოებზე რუსეთის ზენოლის ბერკეტებს მნიშვნელოვნად ამცირებდა.

ამავე დროს, სომხეთის პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანი თურქეთისა და აზერბაიჯანის მიმართ სომხეთის პოლიტიკის შერბილებას მიესწრაფოდა. 1992 წლის ივნისში მან სომხეთში ულტრანაციონალისტური და მწკრივების პარტიის შტაბ-ბინები დახურა და ისტორიკოსებს ანტითურქული განწყობით ცნობილი საგარეო საქმეთა მინისტრი, რაფი ჰოვანიანი გადააყენა საპასუხოდ, თურქეთმა 1992 წლის აგვისტოში სომხეთში დიპლომატიური მისია გააგზავნა. მისივე განსაკუთრებული ყურადღება იმ ეკონომიკურ უპირატესობაზე გაამახვილა, რომელითაც სომხეთს შეეძლო თურქეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებისას ესარგებლა. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, პიქმეთ ჩეთინმა კი გამოთქვა აზრი, რომ თურქეთის სომხეთთან შედგომი სრული დიპლომატიური ურთიერთობები დაეყარებინა, თუკი სომხები დაიბრუნებდნენ აზერბაიჯანის სხვა ოკუპირებულ ტერიტორიებს დატოვებდნენ, მთიანი ყარაბაღიდან გამოსვლის გარეშე. 1992 წლის ნოემბერში თანხა ჩილერის მთავრობამ თანხობა განაცხადა სომხეთისათვის ხორბლის, ისევე როგორც კვლევე ტრონიტოგის მინოდებაზე, რომელიც აზერბაიჯანის მხრიდან ძლიერი ზენოლის შედეგად არ განხორციელდა.

თურქეთში სამშვიდობო განწყობის მიუხედავად, აზერბაიჯანლებსა და სომხებს შორის ომმა 1992-93 წლებში ხელახლა იფეთქა, სადაც სომხებმა მნიშვნელოვანი წარმატებებს მიაღწიეს. 1993 წლის სექტემბრისათვის სომხებმა მთიანი ყარაბაღსა და სომხეთის შორის მდებარე თითქმის ყველა ტერიტორია დაიკავეს, ისევე როგორც აზერბაიჯანი ირანის საზღვართან ანკლავის სამხრეთ ტერიტორიები. 100 ათასობით აზერბაიჯანელი დევნილად იქცა. სომხებმა აზერბაიჯანის მთლიანი ტერიტორიის 20% დაიკავეს. 1993 წლის ივნისში თურქეთი შეურთდა სხვა 10 ერს, მათ შორის აშშ, გერმანია, რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი, ე.წ. „მინსკის ჯგუფში“, რომელიც კონფლიქტის გადნაყვეტისათვის ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციამ დაარსა.

1993 წლის დასაწყისში რუსეთი ერთი შეხედვით თანხმა იყო თურქეთთან ერთად კონფლიქტის გადნაყვეტის გზები ერთობლივად მოეძია, მაგრამ მოგვიანებით რუსეთმა უარყო მსგავსი მიდგომა, რადგან სამხრეთ კავკასიაში ერთადერთ აზერბაიჯანის როლის შესრულება სურდა, რითაც რეგიონში მოსკოვის ყოფილი მონოპოლისა აღდგენას ცდილობდა. გაეროს სპარლის რეზოლუციის შემდეგ, რომელიც სომხურ ჯარებს ოკუპირებული აზერბაიჯანული მიწების დატოვებას მოუწოდებდა, თურქეთი შეურთდა აზერბაიჯანს და სომხეთზე სრული ეკონომიკური ემბარგო დაანერგა.

პირებული აზერბაიჯანული მიწების დატოვებას მოუწოდებდა, თურქეთი შეურთდა აზერბაიჯანს და სომხეთზე სრული ეკონომიკური ემბარგო დაანერგა.

1993 წლის ივნისში თურქეთმა აზერბაიჯანში გასაგზავნად გაეროს სამშვიდობო ძალებში საკუთარი ძალების გაგზავნის ნინაღდეგა ნამოყვესა, რომელიც სომხეთის, რუსეთისა და ირანის უარყოფისა. ამავე დროს, ახალი რუსული პოლიტიკა ბაქოში რეჟიმის ძალადობრივ შეცვლაში გამოიხატა. 1993 წლის 4 ივნისს ახლად შექმნილი ერთ-ერთმა მონინალმდევე, ექსპოლკოვნიკმა სურეტ ჰუსეინოვმა, რომელიც აშკარა იყო, რომ რუსეთის ფარული მხარდაჭერით სარგებლობდა, საბჭოთა ფარის მიერ დატოვებული დიდი რაოდენობით შეიარაღება მიითვისა. მან აზერბაიჯანის ჩრდილოეთი ქალაქი განჯა აიღო, საიდანაც ბაქოსკენ დაიძრა და ელჩების მთავრობა დააბო. მან კერძოდ აზერბაიჯანში პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება, თუმცა ეს გააკეთა ჰილდარალიევმა, რომელიც საბჭოთა პოლიტიბუროს ყოფილი წევრი და 1991 წლიდან ნახიჩევანის ლიდერი იყო.

აზერბაიჯანში მომხდარ გადატრიალებაზე თურქეთის რეაქცია მწვავე იყო. ანკარამ ბრიტანეთთან და აშშ-თან ერთად განაცხადა, რომ ბავარძელბე და ელჩების მთავრობა, როგორც აზერბაიჯანის ლეგიტიმურად არჩეული პრეზიდენტი იქნება. თუმცა, ოზალის შემდეგ არჩეული თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა აღიარა, რომ თურქეთს არ ჰქონდა ისეთი ბერკეტები, რომელიც მას ელჩების ხელისუფლებაში დაბრუნების საშუალებას მისცემდა. ყველაფრის მიუხედავად, აგვისტოს ბოლოს თურქეთმა და დასავლეთის ქვეყნებმა აზერბაიჯანში მომხდარი გადატრიალების ფაქტი მხარს. თურქეთში ეს ადვილად მიიღეს, რადგან ხელისუფლებაში მოსული ჰილდარალიევმა ქმედებები იძლეოდა იმის ნიშანს, რომ იგი რუსეთის მარინენტი არ იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 1993 წლის სექტემბერში აზერბაიჯანი ოფიციალურად შეურთდა დასთ., ალიევი რუსეთის ჯარების მის ტერიტორიაზე განლაგებაზე უარი თქვა. ამავე დროს, ალიევი განაცხადა, რომ იგი ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობაზე მიღწეულ შეთანხმების პროექტზე უარს იტყოდა ბაქო-ნოვოროსიის კის მარშრუტის სასარგებლოდ, თუმცა მოგვიანებით ალიევი პოზიციას შეიცვალა და თურქეთის მარშრუტის უპირატესობაზე განაცხადა. თურქეთმა კასპიური ნავთობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეიძინა.

თურქეთის ხედვით, ალიევის პრეზიდენტობას ელჩიბეიზე მეტი უპირატესობა ჰქონდა, რადგან ალიევი თავის დიპლომატიაში უფრო ფრთხილი იყო. ალიევი ნაკლებად პროეკოკაციული იყო რუსეთისა და ირანის მიმართ, რომლებთანაც თურქეთი სერიოზულ კონფლიქტს ვერ დაუწყებდა.

1994 წლის მარტში რუსეთის ძალისხმევით აზერბაიჯანის, სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის თავდაცვის მინისტრებმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება მოაწერეს ხელი. შეთანხმება ხელი მოაწერა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა. შედეგად რუსეთი რეგიონში მშვიდობის დამყარებაში ეფექტურ მედიატორად მოგვეყენა. ცეცხლის შეწყვეტამ ვითარების სტაბილიზაცია მოახდინა, თუმცა სომხები უკეთესი პოზიციისაში ჩააყენა. ამის შემდეგ თურქეთი აცხადებდა, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტისთვის, რეგიონში ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ევროპის უშიშროებასა და თანამშრომლობის კონფერენციის მექვიდრე) ეგიდით სამშვიდობო ძალები უნდა გაგზავნილიყო, რომელშიც თურქეთი ძალებიც მიიღებდნენ მონაწილეობას, და არა მხოლოდ დასთ-ს ჯარები, ისევე ფაქტობრივად მხოლოდ რუსი სამხედროები იქნებოდნენ. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ძლიერი პოზიციებიდან გამომდინარე, თურქეთის მოთხოვნა, რა თქმა უნდა, არ დაკმაყოფილდა. ეს საკითხი სერიოზულად იქნა განხილული.

რუსეთისგან იმედგაცრუებული ბაქო კვლავ ანკარასკენ მიმართავს მზერას. 1994 წლის თებერვალში ალიევი ანკარაში ობხედლიანი ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა, რაც ორი ქვეყნის ურთიერთობაში ახალი ფაზის დასაწყისი გახდა. ეს ვიზიტი და ხელშეწყობილი შეთანხმებები ნიშანი იყო იმისა, რომ ბაქო ანკარასთან ხელახალ დაახლოებას იწყებდა. თუმცა, რუსეთთან და ირანთან ბალანსის პოლიტიკის დაცვა ალიევს მაინც უნებდა. ალიევი ამის შემდეგ დემირელის პრეზიდენტობის დროს ბევრჯერ ჩავიდა თურქეთში, თუმცა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში მორალური მხარდაჭერის გარდა ვერაფერი მიიღო. თურქეთის როლი კვლავ სამხედრო სფეროში თანამშრომლობაში გამოხატებოდა, რაც კონფლიქტის შეწყვეტაში სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობას არ გულისხმობდა.

**მოსკოვში აღმასკომის მიერ კომპანია**

ნავთობსადენები. 1994 წლის მაისისათვის მთიანი ყარაბაღში ბრძოლების დასრულების შემდეგ, საერთაშორისო ყურადღება კასპიის ნავთობსადენების მომავალმა განვითარებამ და ენის მსოფლიო ბაზრებამდე მილსადენების მარშრუტების უსაფრთხოების საკითხებმა მიიპყრო. ამ რთულ ბრძოლაში რუსეთი, საქართველო და ირანი, ისევე როგორც თურქეთი და ენერჯორესურსების მთავარი რეგიონული მწარმოებელი ქვეყნები - აზერბაიჯანი, ყაზახეთი და თურქმენეთი - მნიშვნელოვანი რეალური თუ პოტენციური მონაწილენი არიან. გამომდინარე იმ ფაქტობრივად, რომ უმრავლესობა მრავალეროვნული კომპანიებისაა, რომლებიც ამ

რესურსებს მოიპოვებენ, ნაწილობრივ ან მთლიანად ამერიკული წარმოშობისაა, აშშ-ის მთავრობა და ნავთობკომპანიები, თავის მხრივ, გადნაყვეტის მიზლის პროცესში მნიშვნელოვანი მონაწილენი გახდნენ.

1993 წლის ივნისში ელჩიბეის დამხობის პერიოდში მისი მთავრობა ბრიტანულ კომპანია BP-ის ლიდერობით შექმნილ საერთაშორისო კონსორციუმთან შეთანხმების ხელშეწყობას აპირებდა. მოსკოვში, რადიკალი ნაციონალისტები ევგენი პრიმაკოვის ლიდერობით (იმ დროისათვის რუსეთის საგარეო და უცვრვის სახაზურის მეთაური) და საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი აცხადებდნენ, რომ რუსეთი ხელს შეუშლიდა აზერბაიჯანს დასავლურ კომპანიებთან ნავთობის ექსპლუატაციაზე სეპარატისტული შეთანხმებები გაფორმებისა. მათი პოზიცია ეფუძნებოდა არგუმენტს, რომ კასპიის ზღვა შიდა ტბა იყო, რომელშიც ყველა სახაზრო სახელმწიფოს წყლის შიგნით არსებული რესურსების ექსპლუატაციაზე თანაბრი უფლებები ჰქონდათ და არა საერთაშორისო ტბა, რომელიც გეოგრაფიულად თითოეული ქვეყნისათვის ოფორმულ ზონებად იქნებოდა დაყოფილი. მსგავსი პოზიციას ეწინააღმდეგებოდა ზომიერები, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ვიტალი ჩერნომირდინი ედგა სათავეში. იგი მეორე მიდგომას უჭერდა მხარს, რომელიც რუსეთს აზერბაიჯანის კონსორციუმში წილის ადების შესახებ მოლაპარაკებებს მისცემდა.

1994 წლის სექტემბერში ალიევის მთავრობამ ქვეყნის ოფორმული ველების განვითარებაზე აზერბაიჯანის საერთაშორისო ნავთობის კონსორციუმთან შეთანხმებას მოაწერა ხელი. კონსორციუმის ორი ნაშევანი ფირმა: ბრიტანული კომპანია BP და ამერიკული კომპანია „Amoco“ გახდა (მოგვიანებით ისინი გაერთიანდნენ და „BP Amoco“ შექმნეს). გარდა ამისა, კონსორციუმის მონაწილეები იყვნენ ამერიკული, ნორვეგიული და იაპონური კომპანიები, თურქეთის სახელმწიფო ნავთობის კომპანია და მისი აზერბაიჯანული ექვივალენტი SOCAR. მოსკოვისათვის მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ის, რომ რუსული კომპანია „ლუკოილი“ კონსორციუმის 10% წილის მფლობელი გახდა. რუსეთი პარადოქსულ მიდგომარეობაში აღმოჩნდა. მაშინ როდესაც იგი სამხრეთ კავკასიაში დასავლეთის რაიონ სახით შელენვას ეწინააღმდეგებოდა, მან თავისთვის აიღო წილი დასავლური კომპანიებით დაკომპლექტებულ კონსორციუმში, რომელსაც აზერბაიჯანული ნავთობი უნდა მოეპოვებინა. მოსკოვმა ფაქტობრივად ვერ შეძლო დასავლური ნავთობკომპანიებისთვის ეფექტური ნინაღდეგა გაენა.

1992 წლიდან მოყოლებული ბაქოში მსოფლიო ბაზრებამდე მთავარი საექსპორტო მილსადენის მარშრუტის არჩევა ღია და „ცხელი“ საკითხი იყო. განხილული იქნა ვარიანტები.

პირველი, არსებული მილსადენი ბაქოდან რუსეთის შავიზღვისპირა პორტ ნოვოროსიისკამდე, რომელიც ჩვენთვის გადართობს. ამას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ იგი დაფუძნებული იყო უკვე არსებულ საშუალებებს, განსაკუთრებულად უფრო იაფი იქნებოდა და მას მხარს უჭერდა რუსეთი. მისი მთავარი ნაკლი აზერბაიჯანისა და კონსორციუმის ხედვიდან ის იყო, რომ ნებისმიერი მარშრუტი ჩვენთვის გავლით რისკის ზონაში გაივლიდა. ასევე, არსებულ მილსადენს მოედრინაცვლიდა სჭირდებოდა. გარდა ამისა აზერბაიჯანელებისთვის ეს ფაქტორი რუსეთზე დამოკიდებულების გაზრდას ნიშნავდა. უფრო მეტიც, შავი ზღვიდან ხელთაშუაზღვაში ტანკერების გასვლის რაოდენობის კაზრდა, ბოსფორის სრუტეში სერიოზული ეკოლოგიურ საფრთხეს შექმნიდა და შესაძლოა ამას თურქეთი შეინახაღმდეგებოდა. მილსადენის გადართობის ტერიტორიაზე, დასავლეთის გავლით და ჩვენთვის გვერდის ავლით (ეს იდეა რუსეთმა წამოაყენა), შეამცირებდა პირველ რისკს, მაგრამ არ გააქრობდა დანარჩენ ბარიერებს.

სრუტეებში ეკოლოგიური საფრთხის შესაძლებლობას თურქეთი აქტიურად იყენებს ნებისმიერი იმ პროექტის წინააღმდეგ, სადაც ანკარას მოსაზრებები, თურქეთის ინტერესები, სათანადოდ არ არის დაცული. წლების განმავლობაში სრუტეში მრავალი შემთხვევა მოხდა, ზღვაში სხვადასხვა მანვე ნივთიერება ჩაიდგარა, რამაც სტამბოლის მოსახლეობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა. თურქეთი ეფექტურად იყენებს მის ხელთ არსებულ ეკოლოგიურ კოზრს. ამ საკითხში სხვა სახელმწიფოებს ანკარის ოპონირებაც უძნელდებათ. ფაქტობრივად, თურქეთს შეუძლია ყველა დიდი ენერგოპროექტის განხორციელებას შეუშალოს ხელი, თუკი ენერგოპროექტებში თურქეთის ეკონომიკური ინტერესები არ იქნება დაცული. რუსეთი და დასავლური კომპანიები იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ თურქეთის პოზიციას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხში თურქეთის ამერიკული მხარდაჭერაც აქვს, რომელსაც კასპიური ენერგორესურსების ტრანსპორტირებაში რუსეთის როლის გაზრდა არ სურს.

მეორე ვარიანტი ბაქო-სუფსას მილსადენი, რომელიც სათავეს ცარიისტული პერიოდიდან იღებდა, შეკეთებასა და გაფართოებას საჭიროებდა. მას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ შედარებით იაფი დაჯდება მისი მშენებლობა (აზერბაიჯანული ხედივით) და რუსული კონტროლისგან მტკნარად თავისუფალი იქნებოდა. ბოსფორის გავლით ტრანზიტის პრობლემა ამ შემთხვევაში არ გამოქრულა. ბაქო-სუფსა და ბაქო-ნოვოროსიისკი ადრეული ნავთობის ექსპორტისათვის გამოიყენება, რაც რუსეთის მხრიდან საზრეთ კავკასიაში ახალი რეალობის შექმნის აღიარება იყო. საქართველოს მიერ ერთ-ერთი მილსადენის მარშრუტის „მასპინძლობა“ რეგიონში ახალი

„აქტიორების“ გამოჩენის მაუნყებელია. ბაქო-სუფსას მილსადენის მარშრუტი, თავდაპირველად რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად დასავლეთის პოზიციის შედეგი იყო. მოსკვი ყველაწიანად ეცადა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მილსადენს არ გაეკეთა, რადგან მილსადენის ერთი მარშრუტის საქართველოზე გატარება, მომავალში უფრო ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელების წინაპირობა იქნებოდა. მოსკოვის ვარაუდები მართლებად და დღეს, რუსეთის გვერდის ავლით, საქართველომ სხვა მილსადენებსაც უნდა „უმასპინძლოს“.

მესამე ვარიანტი რუსეთმა წამოაყენა, რომელსაც მხარი საბერძნეთმაც დაუჭირა. იგი ბოსფორის წერილი ყელის გვერდის ავლით, ბულგარეთის პორტ ბურგასიდან საბერძნეთის ეგეოსის ზღვისპირა პორტშიმდე, ალექსანდრიპოლისამდე მილსადენის გაყენას გულისხმობდა. ტანკერები ნავთობს ნოვოროსიისკიდან და სუფსიდან ბურგასამდე ჩაიტანდნენ. დანარჩენი ტანკერები ნავთობს მსოფლიო ბაზრებამდე უკვე ბერძნული პორტიდან გაიტანდნენ. ამ მარშრუტის ნაკლი ის იყო, რომ მშენებლობა დიდ დროს წაიღებდა და შეიძლება საკმარისი ფინანსებიც არ მოძიებულყოფი. ამ პროექტს საერთაშორისო ნავთობკომპანიებისაგან საკმარისი მხარდაჭერაც არ აღმოჰქმნა.

თეორიულად, თურქეთის პოზიცია, რაც სრუტეებში ტანკერების გატარების შესულებას ითვალისწინებს, რუსეთს უბიძგებს ალტერნატიული მარშრუტები იპოვოს, რათა კასპიური ნავთობი თურქეთის სრუტეების გვერდის ავლით გაატაროს. თუმცა, ანკარა რეალურად აფასებს ვითარებას და კარგად იცის, რომ რუსეთის მიერ წამოყენებულ ინიციატივას, რომელსაც საბერძნეთიც იზიარებს, მომავალი არა აქვს, თუნდაც მხოლოდ მარშრუტის სიძირის გამო, რომ არაფერი ვთქვათ მარშრუტის პოლიტიკურ ნაკლებზე.

მეოთხე ვარიანტი მილსადენი შავი ზღვის გვერდის ავლით მარშრუტით ირანზე უნდა გასულყოფი, რომელიც ბაქოს სპარსეთის ყურეს დააკავშირებდა. ეს იქნებოდა უბოკლესი და ასაშენებლად და საექსპლუატაციოდ იაფი, ვიდრე შემოთავაზებული ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტი. სპარსეთის ყურეში ნავთობის ჩატანით, ასევე შემოკლდებოდა აღმოსავლეთ აზიის ბაზრებზე ტანკერების მარშრუტი. ამ პროექტის მთავარი ხელისშემშლელი პოლიტიკური ფაქტორი იყო და იგი აშშ-სგან მომდინარეობდა.

1995 წელს კლინტონმა პიდარა აღივითან სატელეფონო საუბრისას ალივი ირანულ მარშრუტზე უარის თქმაში დაარწმუნა. ირანს საკუთარი ძალისხმევით მილსადენის დაფინანსებას და აგებაშიისრთულებები შეგნდებოდა, თუნდაც მესამე მხარის დახმარების შემთხვევაში. ამიტომაც, ამერიკელთა მკვეთრმა პოზიციამ ირანული მარშრუტი გამორიცხა, სანამ ირანის რეჟიმს და მის სა-

გარეო პოლიტიკაში რადიკალური და საბოლოო ცვლილებები არ მოხდებოდა. ამის შემდეგაც კი, ნავთობკომპანებს შეიძლება ირანის მარშრუტზე უარი ვთქვათ, რათა ირანის არაპირდაპირად დასაშვებზე ზედმეტად დამოკიდებულნი არ აღმოჩნდნიყვნენ. ირანის მარშრუტის თემა განსაკუთრებით მაშინ ამოტივტივდება, როდესაც აზერბაიჯანი თურქეთისა და აშშ-ის მხარდაჭერით უკმაყოფილებას გამოთქვამს.

მეხუთე ვარიანტი ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტია, რომელიც საქართველოს გადის და მას მხარს უჭერს თურქეთი, აზერბაიჯანი, საქართველო და აშშ. თურქეთისათვის მილსადენისაგან მისაღები მოგება, ყოველწლიურად 100 მილიონი ამერიკული დოლარი, ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე ის პოლიტიკური როლი, რომელსაც თურქეთი კასპიის ნავთობის მრეწველობაში მნიშვნელოვან მონაწილედ გახდომის შემთხვევაში შეიძენს, კერძოდ, გაიზრდება მის სტრატეგიული მნიშვნელობა დასავლეთისა და მწარმოებელი სახელმწიფოებისათვის. რამდენაც თურქეთი ნატოს წევრია, მას შეუძლია დაამტკიცოს, რომ პროექტი სხვა მხარეებისათვის ყველაზე ნაკლებ პოლიტიკურ რისკს შეიცავს. აზერბაიჯანისათვის და შესაძლოა ყაზახეთისთვის, პროექტი რუსეთზე დამოკიდებულებას მნიშვნელოვნად შემცირებს. ერთადერთი ხელისშემშლელი ფაქტორი პროექტის მისაღებიერთი ფასია 2,4 და 3,3 მლრდ ამერიკულ დოლარამდე მერყეობს, რითაც იგი სხვა ალტერნატივებთან შედარებით ყველაზე გრძელი და ძვირია. მილსადენი ეკონომიურად მომგებიანი რომ იყოს, დღეს ერთი მილიონი ბარელი უნდა გაატაროს, თუმცა კონსორციუმში 2007 წლისათვის, წარმოების პიკის წინდების დროს, დღეს 700 ათასი ბარელის გატარებას იმედოვნებს. მილსადენის შესასვლელად 400 ათასი ბარელი დღეში სხვა წყაროებიდან უნდა იყოს, შესაძლოა ყაზახეთიდან. თუმცა, ამას უსაბიზო ზღვის ფსკერზე ყაზახურ ნავთობსაბადოებამდე მილსადენის გაფართოება სჭირდება. ყაზახეთმა 1996 წელს ყოველი შემთხვევისათვის ნოვოროსიისკამდე ალტერნატიული მილსადენის გაყენების შეთანხმებას მოანერგა ხელი. ეს მილსადენი დღეში 560 ათას ბარელს გაატარებს. ყაზახეთის პრეზიდენტის, ნურსულთან ნაზარბაევის განცხადებით, „ყაზახური ნავთობის გარეშე აკცირითი ძირითადი საექსპორტო მილსადენი არ იქნება“, მაგრამ გაურკვეველი იყო გავიდა და თუ არა იგი ბაქო-ჯეიჰანი.

ბაქო-ჯეიჰანს დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს უშუალოდ თურქეთი, საქართველო და აზერბაიჯანი. ბაქო-ჯეიჰანი ის უდიდესი პროექტია, რომელიც თურქეთის მიერ მეტობრად აღიარებულ სახელმწიფოებს ერთმანეთს დააკავ-


შირებს. 1998 წლის ოქტომბრის ანკარას დეკლარაციის თანახმად თურქეთის, აზერბაიჯანის, აშშ-ის, საქართველოს, ყაზახეთისა და უზბეკეთის მთავრობები ბაქო-ჯეიჰანის ნავთობის მილსადენს ყველაზე უფასოთსო და პოლიტიკურად გამართლებულ მილსადენის მარშრუტად მიიჩნევენ.

საჭირო შეთანხმების ნავთობსადენის გაყენაში მონაწილე ქვეყნების მიერ უკვე ხელმოწერილია. ერთადერთი და ყველაზე სერიოზულ ხელისშემშლელი ფაქტორად ნავთობსადენის მშენებლობის სიძვირე მიიჩნეოდა, თუმცა ახლა ეს პრობლემაც დაძლეულია. აშშ-ის მთავრობის აქტიური ლობირების შედეგად პროექტი განხორციელდება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბაქო-ჯეიჰანის პარალელურად გაზსადენიც აშენდება. დასავლეთისა და თურქეთისათვის ბაქო-ჯეიჰანის მილსადენს პოლიტიკური და ფინანსოვანი აქვს. მილსადენმა ამ შემთხვევაში თურქეთისა და დასავლეთის ქვეყნები ერთ დიდ პროექტში უნდა გააერთიანოს, რომელიც ამ ქვეყნებს სტაბილურობასა და ეკონომიკურ კეთილდღეობას პირდება.

ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტზე საუბრისას გასათვალისწინებელია გეოპოლიტიკური ფაქტორებიც, რაც დასავლეთის მიერ მილსადენის ამ მარშრუტის მხარდაჭერისას ერთ-ერთი ძლიერი არგუმენტია. ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი გვერდს აუვლის ირანსა და რუსეთს, რაც ცენტრალური აზიისა და საზრეთ კავკასიის ქვეყნებზე რუსეთის გავლენის შეამცირებს განაპირობებს. შედეგად რეგიონში დასავლეთის, უფრო კონკრეტულად კი თურქეთის გავლენა უნდა გაიზარდოს, რომელიც ზურგს აშშ-ზე უტარებს.

თურქეთს ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობისთვის მკვეთრი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზები აქვს, მაგრამ ამასთანავე თურქული არგუმენტი, რომ სრუტეებში ტანკერების რეზულტადი გატარება მიუღებელ ეკოლოგიურ რისკს გამოიწვევს, საფუძველს არ არის მოკლებული. ბოსფორის სივრცეში კოლომეტრია, მაქსიმალური სიგანე 1,6 კმ, ხოლო მინიმალური მხოლოდ 700 მეტრია. სრუტე ძალიან არაპირდაპირია, გემმა ერთი ბოლოდან მეორეში რომ ჩააღწიოს, 12-ჯერ უნდა შეიცვალოს კურსი.

1994-95 წლებში მილსადენებზე დებატები ძირითადად მიმდინარეობდა აზერბაიჯანის „ადრეული ნავთობის“ მარშრუტის არჩევაზე, რომელიც დღეში 80 ათას ბარელს შეადგენდა, სანამ ნავთობის სრული წარმოება შემდგომ წლებში სრულ მასშტაბს მიაღწევდა. ამ კონტექსტში, თურქეთი ბაქო-სუფსას მილსადენს უჭერდა მხარს, რადგან იგი რუსეთის ტერიტორიის გვერდს



აუღლიდა და შესაძლოა ბაქო-ჯეიჰანის პროექტის განხორციელებისათვის წინაპირობა ყოფილიყო. 1995 წელს კონსორციუმის განცხადება, რომ „ადრეული ნავთობი“ ბაქო-სუფსასა და ბაქო-ნოვოროსისისკის მილსადენებით გაივლიდა, თურქეთის მცირე გამარჯვებულ მონაწილე. უკვე 1999 წლის ოქტომბერში კი, კონსორციუმის კომპანიებმა აშშ-ის მთავრობის ზენზორის შედეგად ბაქო-ჯეიჰანის პროექტსაც დაუჭირეს მხარი. „BP Amoco“-მ ასევე განაცხადა, რომ იგი კომპანიებსა და მთავრობებს აუცილებელი ფინანსების მოძიებაში დაეხმარებოდა.

ყაზახეთის გადაწყვეტილება ბაქო-ჯეიჰანის მშენებლობისათვის, როგორც ჩანს, გადამწყვეტი ფაქტორი იქნება. ეს პრობლემა ნაწილობრივ მოგვარდა 1999 წლის ნოემბერში ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ტექნოლოგების სამსახურს, როდესაც თურქეთის, საქართველოს, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის ლიდერებმა ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობაზე სამთავრობათაშორისო შეთანხმებას მოაწერეს ხელი. ამ ქვეყნის ლიდერები იმედოვნებენ, რომ მშენებლობა 2005 წლისათვის დასრულდება. ფინანსების მოძიება დასტრანზიტორ გარანტიები კვლავ მისაღწევია, მაგრამ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი ახლა უფრო ახლო რეალიზაციასთან, ვიდრე ადრე. მილსადენის მშენებლობის დაწყება უახლოეს თვეებში ნავარაუდევია.

**„ცისფერი ნაკადი“ და გაზსადენი.** რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში უმნიშვნელოვანეს როლს გაზის ასრულებს, რომელიც რეგიონში დიდი პოლიტიკური თამაშის ელემენტი გახდა. რუსული გაზის საკითხი უშუალოდ უკავშირდება იმ მილსადენების ბედს, რომელმაც აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიებზე უნდა გაიაროს. ამ მხრივ საყურადღებოა „ცისფერი ნაკადი“ მონათლული გაზსადენი, რომელმაც რუსეთის შავი ზღვისპირა პორტ ჯუზებიდან თურქულ პორტ სამსუნამდე უნდა გაიაროს და შემდეგ ანკარამდე გაგზავნილეს. გაზსადენის სიგრძე 750 მილია.

ამ პროექტზე საუბარი 1997 დეკემბერში დაიწყო. „ცისფერი ნაკადი“ წლიურად 3 მლრდ. კუბურ მეტრ გაზს გაატარებს, რომელიც 10 წლის განმავლობაში 16 მლრდ. კუბურ მეტრამდე გაიზრდება. მილსადენის სავარაუდო ღირებულება 2,5-3,3 მლრდ. ამერიკული დოლარია.

ამ პროექტის წარმატება უდიდეს დარტყმას მიაყენებს ამერიკულ ინტერესებს რეგიონში და მის მოკავშირეებს სამხრეთ კავკასიაში, საქართველოსა და აზერბაიჯანს. რუსეთის მთავრობამ „ცისფერი ნაკადის“ პროექტის განხორციელება პრიორიტეტად აქვს დასახული, რადგან მისგან გამომავალი შედეგები ეკონომიკურის მიღმა პოლიტიკურიცაა, რაც მსოკოვს ხელში ერთდროულად რამდენიმე ბერკეტს მოუპოვებს.

მილსადენი გაზრდის თურქეთის დამოკიდებულებას რუსულ გაზზე, დღევანდელი 66%-დან 80%-მდე. ამერიკული დიპლომატიები ანკარას აფრთხილებენ, რომ რუსეთი გაზსადენით თურქეთზე ზეწოლის ძლიერ ბერკეტს შეიძენს, რაც ამავე დროს, ფაქტობრივად, სერიოზულ პრობლემას შეუქმნის ტრანსკასპიურ გაზსადენის პროექტს, ამ უკანასკნელის განხორციელებაში საქართველოს უდიდესი ინტერესიც ძვეს.

თურქეთის ენერჯიმპრეზიდენტის 98% იმპორტზეა დამოკიდებული. 1980-იანი წლებიდან თურქეთში გაზზე მოთხოვნილება სულ უფრო იზრდება. უკვე დღეს თურქეთში იმპორტირებული გაზის 2/3 რუსეთიდან შემოდის, რაც თავისთავად ბევრის მტყველია. 2010 წლისათვის კი თურქეთის რუსულ გაზზე დამოკიდებულება კიდევ უფრო გაიზრდება. თურქეთის მხარე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამერიკის მთავრობას მხარს ტრანსკასპიურ გაზსადენს უჭერს, რომელიც თურქეთულ გაზს აშშ-სა და თურქეთის მეგობარი ქვეყნების აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით გაატარებს და რაც მთავარია გვერდს აუღლის რუსეთს.

ამერიკული წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსეთი აქტიურად ცდილობს თავისი გაიტანოს და „ცისფერი ნაკადის“ პროექტი რეალიზებად აქციოს, მიუხედავად ფინანსური და ტექნიკური პრობლემებისა. რუსულ-თურქულ პროექტს ყველაზე მტკიერი მხარდამჭერები მსოკოეში მოღვაწე თურქული კომპანიების სახით ჰყავთ. მათი განცხადებით, პროექტი ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობას გააღრმავებს. მათ თურქეთში მხარს უჭერს კოალიციური მთავრობის წევრი „დედასამშობლოს“ პარტია, რომელიც პრორუსული ლობის ავანგარდად მიიჩნევა. პროექტს ხელი სწორედ „დედასამშობლოს“ პარტიის ლიდერის მესუთ ილმაზის პრემიერ-მინისტრობისას მოეწერა. მთავრობის წევრმა წინააღმდეგობის მიუხედავად ილმაზმა და რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, ვიტორ ჩერნომირდინმა 1997 წლის 15 დეკემბერს ხელშეკრულებას ანკარაში დიდი ზარ-ზეიმით მოაწერეს ხელი.

თურქეთის ოფიციალური პრეტენზიების განცხადებით, ილმაზის ნაბიჯით სამხედროები და საგარეო საქმეთა სამინისტრო შიშობენ, რომ რუსულ გაზზე თურქეთის დამოკიდებულება გაიზრდება. ვაშინგტონი „ცისფერი ნაკადის“ პროექტს დიდ წინააღმდეგობას ღიად აღარ უწევდა, მაგრამ თურქეთის რუსეთზე ზედმეტად დამოკიდებულების გამო აფრთხილებდა. ვაშინგტონი ასევე აშკარად აცხადებს, რომ პროექტი სერიოზულ მუქარას შეუქმნის ტრანსკასპიურ გაზსადენს. 1999 წლის სექტემბერში ვაშინგტონში ვიზიტად მყოფ, უკვე ექსპრემიერ მესუთ ილმაზს ამერიკელმა დიპლომატებმა ღიად განუცხადეს, რომ მათ „ცისფერი ნაკადის“ პროექტი არ მოსწონდათ. თუმცა, ამას ილმაზის პრორუსულ

განწყობაზე დიდად არ უმოქმედია. ტრანსკასპიური გაზსადენის გაურკვეველი მომავალი და რუსეთის მიერ გაზსადენის მშენებლობის აქტიური პოლიტიკა ამერიკის მიერ მხარდაჭერილ მილსადენის პროექტებს პირდაპირ საფრთხეს უქმნის. „ცისფერი ნაკადის“ პროექტის განხორციელება, ფაქტობრივად, გახიზნავს ტრანსკასპიურ გაზსადენს, რაზეც საქართველო და აზერბაიჯანი დიდ იმედებს ამყარებენ. რუსეთს „ცისფერი ნაკადი“ თურქმენული და ყაზახური ნავთობის თურქეთსა და სამხრეთ ევროპაში ექსპორტიც შეუძლია, რაც რეგიონში რუსეთს ენერჯორესურსების ტრანსპორტირების ქსელზე კონტროლის მძლავრ მექანიზმებს მოუპოვებს.

თავად „ცისფერი ნაკადის“ პროექტს სერიოზული პრობლემები აქვს. ტექნიკური და ფინანსური სირთულეების გარდა, პროექტს სერიოზული პრობლემა თურქეთში შეექმნა. დედა სამშობლოს პარტიის წევრები ყველაზე აქტიურად უჭერდნენ მხარს „ცისფერი ნაკადის“ პროექტს და სწორედ მათი მმართველობისას მოეწერა აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელი. ზემოაღნიშნული პარტიის წევრები თურქეთის მხარეც კორუფციაში დაადასაშუალა, კერძოდ პარტიის წევრები შეეცადნენ, რომ გადამწყვეტილება „ცისფერი ნაკადის“ პროექტის სასარგებლოდ მიედოთ. პროექტის გაფორმებასთან დაკავშირებით აღმოჩენილ უკანონო ქმედებებს ახლა გამოიძევა სწავლობს. გადააყენეს ენერჯეტის მინისტრი, რომელიც „დედასამშობლოს“ პარტიის წევრი იყო. ილმაზის პარტიის წევრები მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით კონტრაქტების გაფორმებისას ფავორიტ ზმში ადანაშაულებენ. პროექტის ყველაზე რთული ნაწილი შავი ზღვის ფსკერზე მილსადენის გაყვანაა, რომელიც რეალიზაციის შემთხვევაში, მსოფლიოში ყველაზე ღრმად გამაღვლი მილსადენი იქნება.

„ცისფერი ნაკადი“ გაზის მიღების შემთხვევაშიც, ოფიციალური ანკარა აცხადებს, რომ მათ სხვა მილსადენებზეც ესაჭიროებათ. თურქეთში აცხადებენ, რომ ცალსახად რუსეთზე დამოკიდებულებით მსოკოე პოლიტიკური ზენზონის მექანიზმებს შეიძენს. ამის მაგალითი საქართველოა, როდესაც ზამთრის პერიოდში რუსეთის თვითრეგულირების გაზის ტექნოლოგია პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებს. რუსეთის არგუმენტები, რომ საქართველო გაზის სრულსაფარუს ვერ იხდის სრულსომართლეს შეეფერება, მაგრამ ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობის ფონზე, რუსეთის მსგავსი ნაბიჯი აშკარად პოლიტიკური ზენზონის შეფერილობას იძენს.


შეიძლება ითქვას, რომ „ცისფერი ნაკადის“ პროექტი ეკონომიკური მიზნების გარდა პოლიტიკურაც ისახავს. მისი განხორციელება

რუსეთის საშუალებას მისცემს ეკონომიკურად გაბატონდეს კასპიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში: თურქეთი თავისი გაზის ექსპორტის „ტყვედ“ აქციოს, რაც თურქეთს მუდმივად აიძულებს რუსეთთან გარკვეულ გარიგებებზე წავიდეს. საქართველოსა და აზერბაიჯანს კი ტრანსკასპიური გაზსადენით მისაღებ მოვლებზე დაუპირისუფლებს, რაც ამ ქვეყნებისათვის ეკონომიკურის გარდა, პოლიტიკურ დატვირთვასაც ატარებს.

„ცისფერი ნაკადის“ რეალიზებას დღეს გარკვეული პრობლემები აქვს. თურქეთში ამ პროექტთან დაკავშირებულმა ანტიკორუფციულმა გამოძიებებმა შეიძლება პროექტის განხორციელება ეჭვის ქვეშ დააყენოს, რაც საქართველოს ინტერესებშიც შედის. ოფიციალური თბილისი თავის ოპოზიციას პროექტის მიმართ აშკარად არ გამოხატავს, რადგან მისი გამოხველა ამ შემთხვევაში სრულიად ზედმეტი იქნება, როდესაც მას აშშ უწინააღმდეგება. თბილისი ამით მხოლოდ მოსკოვს თუ გაალიზიანებს. გარდა ამისა, თბილისისთვის იმ პროექტის წინააღმდეგ წასვლა, რომელიც თურქეთში მონაწილეობს, გარკვეულ უსრულებლასაც შექმნის.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არის კულტურული საუბრები „ცისფერი ნაკადის“ პროექტის მაგივრად საქართველოს გავლით გაზსადენის მშენებლობაზეც. ამ მილსადენმა აფხაზეთის ტერიტორიაზეც უნდა გაიაროს. ამ პროექტისთვის პოლიტიკური და ეკონომიკური პოლიუსტი და მისუნი აქვს, თუმცა მასზე სერიოზული საუბარი ჯერ არ დაწყებულა.

„ცისფერი ნაკადისაგან“ განსხვავებით, მეტი პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა აღმოჩნდა ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენს, რომლის განხორციელებაზეც სულ უფრო რეალური ხდება. 2002 წლის 14 მარტს საქართველოს მთავრობასა და ინვესტირების შორის ხელი მოეწერა ბაქო-თბილისი-ერზურუმის მილსადენის მშენებლობის შეთანხმებას. მილსადენის მშენებლობა 2002 წლის მის-ურულს დაიწყება და 2004 წლის ბოლოს დასრულდება. ვაშინგტონის პირველი გაზი აზერბაიჯანიდან თურქეთში 2005 წელს ჩავა. მილსადენის მუშაობის პირველ ორმოც წელიწადს, საქართველო ტრანსპორტირებული გაზის 5%-ს უფასოდ მიიღებს. ამ გაზსადენს უდიდესი ეკონომიკური და პოლიტიკური



მნიშვნელობა აქვს. ეკონომიკური სარგებელის გარდა, საქართველო ენერჯეტიკულ დამოუკიდებლობას მოიპოვებს. დღისათვის საქართველო გაზით მომარტებაზე რუსულ კომპანია „იტე-

რაზეა" დამოკიდებული, რაც რუსეთის მხრიდან პერმანენტულად პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტად გამოიყენება.

ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის გაყვანა საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულებას შეამცირებს. გარდა ამისა, საქართველო გაზსადენის პროექტის კავკასიაში მშენიანების განარსტად მიიჩნევს, თუმცა გაზსადენისა და ასევე ნავთობსადენების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს, ისევე როგორც თურქეთის სერიოზულად აწუხებს. მოსკოვს, ისევე როგორც სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებს, პროექტების ჩაშლის მიზნით საქართველოში უსაფრთხოების პრობლემების გამწვავება შეუძლია. რუსული სამხედრო ბაზები, საქართველოს სეპარატისტული რეგიონები და თბილისის მიერ არაკონტროლირებადი რეგიონები, ის ღია და თუ ფარული ნაღმებია, რომელსაც რუსეთის ნებისმიერ დროს შეუძლია ხელი დაატყოს.

აშშ-მა მკვეთრად დააფიქსირა საკუთარი პოზიცია და აზერბაიჯანზე, საქართველოსა და თურქეთზე გამავალი მილსადენებისა და საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების დაცვა პრიორიტეტად დასახა. ვაშინგტონმა მოსკოვს სერიოზული შეტყობინება გაუგზავნა და აგრძობდა ბინა, რომ საქართველოს და თურქეთზე გამავალი მილსადენები დაცული უნდა იყოს.

თუქმე-რუსეთის ურთიერთობა ლა საპარტეზალი - ზოპიფიფი აპაპტი

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში საქართველო 1993 წლის მიწურულს გამოჩნდა. ამ დროისათვის საქართველოს ოფიციალური ხელისუფლება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიას ველარ აკონტროლებდა. რუსეთის მიერ აფხაზეთ სეპარატისტების მხარდაჭერისა და ქვეყანაში სამოქალაქო ომის შემდგომი განვითარების ასაცილებლად საქართველოს მთავრობამ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლის გადამწყვეტილება მიიღო. საქართველომ რამდენიმე თვედაცვით და სამხედრო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც რუსეთის საქართველოსათვის სამხედრო დახმარება უნდა გაენია.

თუმცა, რეალურად რუსეთის პოლიტიკა საქართველოს დახმარებას არ ითვალისწინებდა



და იგი მთლიანად ანტიქართული იყო, რის გამოც ოფიციალურ თბილისში მოსკოვის მიმართ უნდობლობა იზრდებოდა. ამას მოსკოვის კავკასიური პოლიტიკით უკმაყოფილო ორ სამხრეთ კავკა-

სიურ სახელმწიფოს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის დაახლოება მოჰყვა. შემდგომში ბაქო-სუფსას მილსადენის ამოქმედებამ ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობა უფრო მაღალ დონეზე აიყვანა. გარდა ამისა, რუსეთის არამეგობრულმა პოლიტიკამ თბილისი აიძულა ანკარასთან დაახლოების გზები მოეძებნა.

1994 წლის იანვარში საქართველოს პრეზიდენტი ელუარდ შევარდნაძე ანკარაში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა. შევარდნაძემ და დემირელმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, სადაც დადასტურეს თავისი მხარდაჭერა დამოუკიდებლობის, მშვიდობის, სტაბილურობისა და დემოკრატიისადმი. გარდა ამისა, ხელი მოეწერა სავაჭრო და ეკონომიკური შეთანხმებების პაკეტს. თუმცა, სულ რაღაც ერთ თვეში, თებერვალში, საქართველო იძულებული გახდა ხელი მოეწერა რუსეთთან დიდ ჩარჩო ხელშეკრულებას მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. მხარეებმა ხელი მოაწერეს სხვა შეთანხმებებსაც, მათ შორის ერთ-ერთი რუსეთს საქართველოში სამხედრო ბაზების 25 წლით განთავსების უფლებას აძლევდა. მოგვიანებით, შევარდნაძემ თურქული გაზეთისათვის მიცემული ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოს, სხვა ალტერნატივად არ მქონდა და რუსეთთან ახლო კავშირები არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო თურქეთთან ურთიერთობას შეწყვეტს. იმ დროისათვის რუსეთის ძლიერი ზეწოლის შედეგად საქართველოს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთს არ შეეძლო თბილისისათვის მისაღები ალტერნატივის შეთავაზება.

საქართველოში მიმდინარე ეთნოკონფლიქტის პერიოდში თურქეთის მთავრობამ ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებაში შუამავლის ფუნქციის შესრულების სურვილი გამოთქვა. ანკარის მხრიდან მსგავსი ნაბიჯი, რეგიონში რუსეთის გავლენის შესუსტებას ისახავდა. კონფლიქტის დასრულების შემდეგ თურქეთმა მზაფერად გამოთქვა გაეროს სამშვიდობო ძალების ეგიდით საკუთარი სამხედრო კონტიგენტი გაეგზავნა, რომელიც ციციხის შეწყვეტის ზოლზე მინიტორინგს განახორციელებდა. თურქეთის შემოთავაზება რუსეთში აღიქვას, როგორც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში რუსეთის ხარჯზე გავლენის გაფართოების მცდელობა. რუსეთის პოზიციის გამო, თურქეთის ინიციატივა განუხორციელებელი დარჩა. მოსკოვი, რა თქმა უნდა, არ დაუშვებდა რეგიონში გავლენის მოპოვებაში მოზიარე გაეჩინა, რადგან თურქეთისათვის ეს სამხრეთ კავკასიაში რუსეთის პოზიციების შესუსტებისათვის დამატებითი ბერკეტი იქნებოდა. 1993-94 წლებში თურქეთს არ მქონდა იმის ძალა, რომ ამ საკითხის ლობირება თავის სახარგებლოდ მოეხდინა.

აფხაზეთში სამომარო მოქმედებების დასრულების შემდეგ რუსეთსა და საქართველოს შორის გაფორმებული შეთანხმებები რუსეთის მიერ საქართველოსათვის სამხედრო სფეროში დახმარებას ითვალისწინებდა. რუსეთის უწარგობისა და საქართველოსათვის სამხედრო დახმარების განხორციელების არქონის ფონზე კი, ოფიციალური თბილისი იძულებული გახდა დახმარება სხვაგან მოეძებნა. 1999 წლის 4 მარტს თურქეთმა და საქართველომ ხელი მოაწერეს სამხედრო დახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას. შეთანხმება საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის უახლოეს 5 წლის განმავლობაში ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას ითვალისწინებდა. ასევე, გათვალისწინებულია ქართველი ოფიცრების თურქეთში მომზადება.

2000 წლის იანვარში, თურქეთის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის საქართველოში ვიზიტის დროს ორ ქვეყანას შორის სამხედრო ნებართვის შეთანხმებასაც მოეწერა ხელი. პოლიტიკური წრეების განცხადებით, სამხედრო ურთიერთობები, საკარაულოდ, კიდევ უფრო გაღრმავდება. ექსპერტების აზრით, ამ შეთანხმებამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ისეთ სტრატეგიულ საკითხზე თანამშრომლობას, როგორცაა სამხედრო თავდაცვისათვის სისტემა.

აღსანიშნავია, რომ ქართული ჯარის გაწვრთნაში დახმარების ვალდებულება რუსეთმა ვალდებულება დატოვა, თუმცა ამ კუთხით რეალურად არაფერი გაკეთებულა. რუსეთის სამხედრო განსაკუთრებულ ქართველებში სწავლებას სადღიოდ წესდებდა, მაგრამ ეს უფრო მოჩვენებითი მხარდაჭერა იყო, ვიდრე რეალური. წლების განმავლობაში ქართველ სტუდენტებს გაგზავნა რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში მცირდებდა. სტუდენტების რუსეთში გაგზავნა საერთოდ შეჩერდა, როდესაც საქართველოს თავდაცვის მინისტრად რუსული ორიენტაციის ვირდიკო ნადიბაიძეს ნაცვლად, დასავლეთში განათლებამიძღვრებელი დავით თევზაძე დაინიშნა. რუსეთის მსგავსი პოზიციის ფონზე საქართველოს მიერ სხვაგან დახმარების ძიება ბუნებრივად გამოიყოფა. ფაქტობრივად, საქართველოს თურქეთთან დაახლოების ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი სწორედ რუსეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა იყო.

ორ ქვეყანას შორის სამხედრო სფეროში მხარდ თანამშრომლობის დასტურად 2000 წლის მარტში საქართველომ თურქეთის თავდაცვის მინისტრის, საბაჰათინ ჩაქაქოლუს ვიზიტი შეიძლება მივიჩნიოთ. ჩაქაქოლუს საქართველოში უმაღლეს სახელმწიფო პირებს შეხვდა. მინისტრის განცხადებით, თურქეთის საქართველოს დახმარება თავისი ჯარი ნატოს სტანდარტების შესაბამისად მოაწეს.

2001 წლის იანვარში თურქეთის საქართველოს პრეზიდენტი ესტუმრა. თურქეთში ახალი პრეზი-

დენტის არჩევის შემდეგ გაჩნდა ეჭვები, რომ აშშ-მ ნეკდეთ სეზერი სამხრეთ კავკასიაში ისეთი დიდი გავლენით ვერ ისარგებლებდა, როგორც დემირელი. თუმცა, შევარდნაძემ ვიზიტის დროს გამართულ პრეს კონფერენციაზე განაცხადა, რომ სეზერის პრეზიდენტობის დროს თურქეთის გავლენა კავკასიაში კიდევ უფრო გაიზარდება.

შევარდნაძე თურქეთში ვიზიტისას ასევე შეხვდა პრემიერ-მინისტრ ბულენთ ეჯევითს. ეჯევითთან შეხვედრისას განსაკუთრებული ყურადღება საზღვაო, საჰაერო და სამხედრო ტრანსპორტის განვითარებას მიაძქევს. როდესაც რუსეთთან სასაზღვრო რეგიონებში სეპარატისტული რეჟიმებისა და საავიზო სისტემის შემოღების შემდეგ საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობა შეზღუდულია, თურქეთთან ტრანსპორტო სისტემების განვითარება მნიშვნელოვანი ნაბიჯია. კომუნიკაციის უზრუნველყოფა ქვეყნებს შორის დაახლოების მთავარ ხელშეწყობა ფაქტორად მიიჩნევა.

თუმცა, ფართობს მუშაობის საკომუნიკაციო სისტემების ამოქმედებას ხელს უშლის ორივე ქვეყანაში არსებული ფინანსური პრობლემები. გარდა ამისა, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში თურქეთ-საქართველოს დამაკავშირებელი გზების მშენებლობა შეიძლება ეკონომიკური კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. რუსეთს შეუძლია სომხებით დასახლებულ რეგიონში ხელი შეუშალოს სატრანსპორტო პროექტების ხანგრძლივებას და ამით თურქეთ-საქართველოს შორის ეკონომიკური ურთიერთობის გააქტიურება შეაფერხოს. ახალქალაქის რუსული სამხედრო ბაზა ყოველთვის შეიძლება პროვოცირების ხელშეწყობის ფაქტორი გახდეს. ადგილობრივი სომხური მოსახლეობის ლობილური დამოკიდებულება სამხედრო ბაზისადმი მოსკოვმა შეიძლება ვითარების გასაუარესებლად გამოიყენოს, რაც საქართველოსა და თურქეთის დამაკავშირებელი ნებისმიერი ეკონომიკური პროექტის განხორციელებას საფრთხის შეუქმნის. თუმცა, 11 სექტემბრის ტერორის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. სამხრეთ კავკასიაში რუსეთ-თურქეთის გარდა, უკვე აქტიურ შემოსვლას იწყებს აშშ-ც. თუ დღევანდელი და განსაკუთრებით აშშ სამხრეთ კავკასიაში, ძირითადად საქართველოსა და აზერბაიჯანში, დასავლური ინტერესების გატარებას თურქეთს აკისრდება, დღეს უკვე აშშ უშუალოდ ჩაერთო პროცესებში, რაც რეგიონის პოლიტიკაში ახალი რალობის მახსყვებდა.

11 სექტემბრის ტერორის შემდეგ თურქეთის გააქტიურება საქართველოში შესაძლებელი გახდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2001 წლის ოქტომბერში აშშ-სა და თურქეთისათვის საჩუქრის სახით მიიღო რვა ვერტმფრენი, რომელიც მოზილური სამხედრო ჯარების ტრანსპორტირებისათვის გამოიყენება. 1998 წლიდან საქართველომ თურქეთისაგან სამხედრო დახმარების

სახით მთლიანობაში 28 მილიონი ამერიკული დოლარი მიიღო. თურქეთი 11-ებრიგადის ნატოს სტანდარტებზე განვრთნასაც ხელს უწყობს. თურქეთის მაღალმა სამხედრო ჩინოსნებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ ისინი დაეხმარებიან საქართველოს დასავლურ სტანდარტებზე ჯარის განვრთნაში. 2001 წელს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გეგმა ასი პროცენტით შესრულდა. თანამშრომლობის ახალ გეგმას კი ხელი 2002 წლის 20 თებერვალს მოეწერა. ამ გეგმის მიხედვით დაგეგმილია 22 ერთობლივი ღონისძიება, მათ შორის ოფიციალური ვიზიტები, წვრთნები და ინფორმაციის გაცვლა. თურქეთი ასევე მონაწილეობს მარნეულის სამხედრო აეროდრომის შეკეთებაში. თურქეთ-საქართველოს თანამშრომლობაში სამხედრო ელემენტის გააქტიურება თავის გავლენას თურქეთ-რუსეთის ურთიერთობაზეც ახდენს, რაც თავის ასახვას რეგიონში უსაფრთხოების პრობლემების გამწვანებაზე ვპოვებ.

რეპროდუქციული უსაფრთხოების პრობლემა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს გაუჩნდათ იმედი იმისა, რომ სამხრეთ კავკასიაში დასავლეთის ინტერესები გაიზრდებოდა, რუსეთისა კი შემცირდებოდა. დღეს ერთადერთი მძლავრი ფაქტორი, რაც დასავლეთის (ამ შემთხვევაში დასავლეთში მხოლოდ დასავლეთ ევროპა იგულისხმება) ზეგავლენას იმედი უტოვებს განაპირობებს კასპიის ზღვის ენერჯორესურსებია. დასავლეთის ეკონომიკური ინტერესების ფონზე სამხრეთ კავკასია პოლიტიკისა და უსაფრთხოების კუთხით დასავლეთის ინტერესების პერიფერიული ზოლშია მოქცეული. დღეს დასავლეთ ევროპას უფრო ან უხებეს ბალკანეთის უსაფრთხოება, ვიდრე კავკასიის, რადგან სამხრეთ კავკასია ევროპისათვის ჯერჯერობით ისეთ საფრთხის წყაროს არ წარმოადგენს, როგორც შუაგულ ევროპაში მდებარე ბალკანეთი. თუმცა, დასავლეთის სამყაროში უკვე შეიძლება გამოიყოს აშშ, რომელიც ანტიტერორისტულ კამპანიაში სამხრეთ კავკასიაზე, კერძოდ კი საქართველოზე ავრცელებს. მსგავსი აქტიურობით არ გამოირჩევა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც ევროპის გარეთ მიმდინარე პროცესებისადმი ყოველთვის ზედმეტ სიფრთხილს ავლენენ და მათი ინტერესები ძირითადად ეკონომიკის სფეროში აისახება. თურქეთი კი, რომელიც ორივე ამ რეგიონის უშუალო მეზობელია სამხრეთ კავკასიასაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. ცივი ომის დასრულების შემდეგ ანკარასათვის სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის მხარდაჭერა ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის ნაწილი გახდა.

სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობას თურქეთი თავისი უსაფრთხოებისათვის უმნიშვნელო-

ვანესად განიხილავს, ჯერ კიდევ თურქეთში სულიმან დემირელის პრეზიდენტობის დროს, 2000 წლის იანვარში ამ უკანასკნელის თბილისში ვიზიტისას, ანკარამ კავკასიის სტაბილურობის პაქტის იდეა წამოაყენა. პაქტის შექმნაში მონაწილეობა უნდა მიეღო რუსეთსაც. თურქეთის პოლიტიკური ელიტის ნაწილი მიიჩნევს, რომ სამხრეთ კავკასიაში რუსეთთან თანამშრომლობის გაგრძელება სტაბილურობის მიღწევა შეუძლებელი იქნება.

დემირელის საქართველოში ვიზიტამდე, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისმაილ ჯემმა კავკასიის რეგიონი თურქეთის ერთ-ერთ მთავარ საგარეოპოლიტიკურ პრიორიტეტად გამოაცხადა. თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ეს მნიშვნელოვანი ცვლილებაა. ანკარაში მიაჩნიათ, რომ უახლესი მომავალში კავკასია ჩაენაცვლება კვიპროსსა და თურქეთ-საბერძნეთის ურთიერთობის საკითხებს და თურქეთ-ევროპის კავშირის ურთიერთობის შემდეგ, მეორე უმთავრესი პრიორიტეტი გახდება. დემირელის აქტიური პოლიტიკადან წასვლის შემდეგ, იგი უკვე ექსპრეზიდენტის რანგში ლობირებს სტაბილურობის პაქტის იდეას, რის განხორციელებაშიც თურქეთ-რუსეთის ურთიერთობის გადამწყვეტი როლი ეკისრება. თუმცა, სამხრეთ კავკასიაში ბოლო პერიოდში განვითარებული მოკლევადიანადსტრუქტურებს, რომ რუსეთ-თურქეთის ღია და ფარული დაპირისპირების რეგიონში სხვა მონაწილეობაც გამოჩნდნენ, რაც რუსეთის პოზიციებს შესუსტებით ემუქრება.

საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყენების მტკიცებულება პროცესის ფონზე, სულ უფრო აშკარა ხდება საქართველოს სამხედრო სფეროში თურქეთის აქტიური მონაწილეობა. ამან, რუსეთის შეიძლება საერთაშორისოდ აღებული ვალდებულებების გადახედვისკენაც უბიძგოს. ამის სიმპტომი უკვე სახეზე გაქცა. რუსეთი თავისი ბაზების გაყენისათვის დამატებით 15 წლამდე ითხოვს, რასაც ოფიციალური თბილისი მიზანშეუწყონელად მიიჩნევს. განსაკუთრებით აქტუალურია ბათუმისა და ახალქალაქის ბაზები, რომლებიც თურქეთის მოსაზრებებზე რეგონებში მდებარეობს. რუსეთი საქართველოში დარჩენილი ბაზების გაყენაზე სერიოზულად არც ფიქრობს. ანკარა საქართველოს მხარს უჭერს რუსების მიერ ამ ბაზების დატოვების საკითხში, თუმცა თურქეთს მხარდაჭერის დეკლარირების დონეზე გამოკლებულ ნის მეთი, ამ ეტაპზე არ შეუძლია. ზედმეტად მკვეთრი პოზიცია შეიძლება სერიოზული კონფლიქტის საბაბი გახდეს. სომხეთში ისედაც ძლიერი რუსული სამხედრო ბაზაა, რასაც საქართველოს ხელისუფლებისადმი ნაკლებად კონტროლიზებულ ტერიტორიებზე განლაგებული რუსული ბაზებიც ემატება. რუსეთის სურვილის შემთხვევაში ეს ბაზები შეიძლება იმ დიდი დაპირისპირების კატალიზატორები გახდნენ, რომელიც რეგიონში

დიდარეულობას გამოიწვევს. სამხრეთ კავკასიაში არსებული დღევანდელი ვითარება ნათლად მიუთითებს იმ ალიანსებისა და ურთიერთობისა და კონფლიქტის არსებობაზე, რაც რეგიონში სტაბილურობის დამყარებას შორეულ პერსპექტივად აქცევს. თურქეთი და რუსეთი, რეგიონის ორი მნიშვნელოვანი მოთამაშეა, სამხრეთ კავკასიაში განვითარებულ მოვლენებში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ. თურქეთი რეგიონში ამერიკული ინტერესების მხარდაჭერაზე გვეუბრება, რაც თურქეთის კავკასიურ პოლიტიკას მეტ მნიშვნელობას ანიჭებს. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთსა და რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობა ვითარდება, მათ შორის რეგიონში პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე აშკარაა აზრთა სხვადასხვაობა. რუსეთი სამხრეთ კავკასიას თავის დომინანტ მოთამაშეს და თურქეთის რეგიონში შეღწევის სანაწილდევად ყველაზე ახლო ხედს მიმართავს. თუმცა, მოსკოვს იმდენი ძალა აღარ აქვს, რომ თურქეთის ამის გაკეთება დაუშალოს. თურქეთ-რუსეთის ურთიერთობის ქრილიშა უნდა განვიხილოთ აზერბაიჯანის გაბაღას სარადარო სისტემის რუსეთისათვის არსდობა, გადაცემის საკითხი. გაბაღას სარადარო სისტემა რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობაში დიდხანს იყო ვაჭრობის საგანი. ბაქოში ცდილობდა ამ დათმობის სანაცვლოდ ადეკვატური საზღაური მიეღო, როგორც ფინანსური ისე პოლიტიკური დათმობების სახით. საბოლოოდ, 2002 წლის 25 იანვარს, აღიკვეთა პუქტითან ხელი მოანერა გაბაღას სარადარო სისტემის სტატუსის შესახებ შეთანხმება. რუსეთი 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად იჯარის სახით 7 მილიონ ამერიკულ დოლარს გადაიხდის და ასევე ძველ საიჯარო ვალდებულებას დაფარავს. აზერბაიჯანში კარაულობენ, რომ გაბაღას სარადარო სისტემის რუსეთისათვის დათმობა მოსკოვს აზერბაიჯან-თურქეთის ურთიერთობის მიმართ უფრო ლობიალურს გახდის. თუმცა, აზერბაიჯან-თურქეთის სტრატეგიული თანამშრომლობაზე მტკიცად რუსეთი თავისი სატიკეობა საქართველოში გაუჩნდა, რომელიც თურქ და ამერიკულ სამხედროებთან აქტიური თანამშრომლობას იწყებს.

II სექტემბრის ტერაქტის შემდეგ რეგიონში ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რაც თავის ასახვას თურქეთ-რუსეთის ურთიერთობაზეც ვპოუვებს. ცენტრალურ აზიაში რუსეთთან თავისი გეოპოლიტიკური გავლენა დასავლეთთან გაიყო. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, რუსეთი უზად უფრო მზავსი რამ სამხრეთ კავკასიაშიც გააკეთოს. 2002 წლის თებერვლიდან საქართველოში ამერიკული სამხედრო ექსპერტებიც გამოჩნდნენ. რუსულ მედიასა და საკანონმდებლო ორგანოში ატეხილი ინტერესის შემდეგ, ვითარება ჩანს ენარდა და რუსეთის უზადლესი ხელმძღვანელობა საქართველოს ანტიტერორისტულ კამპანიაში მონა-

წილეობას „გაგებით“ მოეკიდა. რუსეთში მიაჩნიათ, რომ აშშ-მა და თურქეთმა ტერორიზთან ბრძოლა საქართველოში სამხედრო სფეროში გააქტიურებისთვის გამოიყენეს, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტი უკვე იძლეოდა მხოლოდ მისაღმოს პანკისის ხეობაში დაბანაკებული ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსკოვს საკუთარ განცხადებებთან დაპირისპირება მოუწევს, როდესაც რუსეთი საქართველოს პანკის ხეობაში მყოფი ტერორისტების წინააღმდეგ პასიურ პოზიციაში აღნაშნულებდა.

თურქეთის საქართველოსათვის დახმარება რუსეთის ადრე უფრო თვალში ხვდებოდა, რადგან რუსეთი თავის ძველ კოლონიაში უცხო ძალის გამოჩენას არ იყო შეწყვეული. საქართველოში ამერიკული სამხედრო ექსპერტების გამოჩენის შემდეგ კი, საქართველო-თურქეთის სამხედრო თანამშრომლობამ შედარებით უკანა პლანზე გადაინაცვალა, მიუხედავად იმისა, რომ ეს დახმარება უფრო გაძლიერდა.

უკანასკნელ პერიოდში თურქი და ამერიკელი სამხედროების ხშირი ვიზიტები თბილისში, მაშინ რაოდენსაც საქართველოში ჯერ კიდევ მცირად არის განლაგებული რუსული სამხედრო ბაზები, სამხრეთ კავკასიაში სერიოზული დაპირისპირების საფრთხეს ქმნის. რუსეთის შემოღობას განსაკუთრებით ახმოვანებს სომხეთი, რომელიც თავისი ისტორიული მტრის, თურქეთის საქართველოში მომძლავრებით შეგუთებულა. ალიანსებისა და დაპირისპირების პოლიტიკა, როგორც ჩანს, უახლოეს წლებში რეგიონის პოლიტიკის მახასიათებელი იქნება.

აშკარაა, რომ სამხრეთ კავკასიაში ორი რეგიონული ძალა, თურქეთისა და რუსეთის სახით, ახადასხვა ბანაკებში აღმოჩნდნენ. ერთ მხარეს, თურქეთი, საქართველო და აზერბაიჯანია, მეორე მხარეს კი რუსეთი და სომხეთი. სომხეთი თურქეთის მიერ აზერბაიჯანის სამხედრო დახმარების გაძლიერების პარალელურად რუსეთისაგან დამატებით შეიარაღების ითხოვს. შედეგად, რეგიონში გამაღებელი შეიარაღება მიმდინარეობს, რაც რეგიონში ორი აშკარად მტრულად განწყობილი ბანაკის ფორმირებაში გამოისახება.

სხვაგვარი პოლიტიკა შეიძლება მხოლოდ რუსეთის ინტერესებში შედოივან, რადგან სამხრეთ კავკასიაში თურქებისა და უკვე ამერიკელების აქტიური გამოჩენა, რუსეთის პოზიციებს შესუსტებით ემუქრება. მტრული ბანაკების არსებობა კი რეგიონში მუდმივი დაძაბულობის წყარო იქნება, რაც რუსეთის ინსტიტულ დასახმარებელს დასაულებლას მოსცემს მოსკოვს არასტაბილური ვითარების თავის სასარგებლოდ გამოყენებით სამხრეთ კავკასიაში კონტროლის შექნის მიზნით შეინარჩუნოს. თავად, თურქეთისა და რუსეთის შორის დაპირისპირება უარყოფითად აისახება სამხრეთ კავკასიაზე, სადაც დაკონსერვებული

კონფლიქტების, პოტენციური კონფლიქტის წყაროებისა და რუსული სამხედრო ბაზების გარდა, სუსტი სახელმწიფოები არიან, რომლებსაც კორუმპირებული ელიტები მართავენ. მათი სიციფხლისუნარიანობა მხოლოდ საგარეო დახმარებაზე დამოკიდებული, რომლის გარეშეც სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფო კვლავ რუსეთის პეკემონონის ქვეშ მოხედრისათვის არის განწირული.

2002 წელი რეგიონის პოლიტიკასა და თურქეთ-რუსეთის ურთიერთობაში ახალი შტრიხების გამოჩენას გვიჩვენებს. აშშ-მა სერიოზულად გადაწყვიტა, რომ სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების პრობლემები გადაწყვიტოს, განახორციელოს ენერგოპროექტები და საქართველო და მისი მეზობლების განვითარებაში დინამიზმი შეიტანოს. ამ ფონზე, თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა მეორე პლანზე იწევს. აშშ სხვა სახელმწიფოებს მანერირებისათვის ადგილს არ უტოვებს. სამხრეთ კავკასია უკვე რეალურად ენაცვლება ბალკანეთს, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მსოფლიო პოლიტიკის ცენტრი იყო. 2002 წლის დასაწყისში განვითარებული მოვლენები აჩვენებს, რომ სამხრეთ კავკასიაში გაჩაღებულ დიდ პოლიტიკურ თამაშში, რომელშიც აშშ აქტიურ ჩართვას იწყებს, თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა უკვე მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი შეიძლება იყოს და არა გადაწყვეტი ფაქტორი რეგიონული პროცესების განვითარებაში.

მნიშვნელოვანი თარიღები:

1552 წელი - ყაზანის თურქული ხაკანატისა და 1556 წელს ასტრახანის დაკავებით რუსეთის იმპერიის საზღვრები სულ უფრო უახლოვდება ჩრდილოეთ კავკასიას.

1724 წელი - სტამბოლში ოსმალებსა და რუსებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ორმა იმპერიამ დასუსტებული სპარსეთის კავკასიური სამფლობელოები გაიყო.

1774 წელი - ოსმალებმა ყირიმი დაკარგეს და სტრატეგიული მნიშვნელობის ნახევარკუნძული რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. ქუჩუქ-კაინარჯის ზავით რუსებმა ოსმალეთის ქრისტიანული უმცირესობების დაცვის უფლებაც მოიპოვეს. რუსეთის მთავრობა დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის უფლებას ცნობდა იმ პირობით, რომ ოსმალეთი უარს ამბობდა იმერეთის ხარკზე.

1806-12 წლები - რუსეთ-ოსმალეთის ომი. 1812 წლის ბუქარესტის საზავო ხელშეკრულებით, ოსმალებმა აღიარეს დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთება.

1828 წელი - რუსეთ-ირანის შეთანხმებით რუსეთის კავკასიაში ბატონობა განმტკიცდა.

შეთანხმებით დადგენილი საზღვრები დღემდე უცვლელია.

1829 წელი - ადრიანოპოლის შეთანხმებით ოსმალეთმა რუსეთს კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმო. მათ შორის შავი ზღვის ალმოსავლეთი სანაპირო აჭარის ჩრდილოეთ საზღვრებამდე, ქალაქები ცოტაი, ახალციხე, ახალქალაქი. ოსმალეთმა ცნო ქართლ-კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, ასევე ერევნისა და ნახიჩევანის სახანოების რუსეთთან შეერთება.

1870-იან წლები - ოსმალთა იმპერიაში კავკასიის მუსლიმი მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია მიმდინარეობდა.

1877-78 წლები - რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად ოსმალეთისგან განთავისუფლდა და რუსეთს შეუერთდა ჩრდილო-დასავლეთი კავკასია, დასავლეთ საქართველო, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და ოსმალეთის სომხეთის ჩრდილოეთი ნაწილი.

1920 წლის 23 დეკემბერი - გიუმრის შეთანხმებით, სომხები სეერის შეთანხმებით მათთვის გადაცემულ მიწებს თურქეთს უბრუნებენ, თურქეთი კი სომხების გიუმრის უბრუნებს.

1921 წლის 11 მარტი - თურქეთის ჯარები ბათუმს იკავებენ. უკვე 25 მარტს მენშევიკური მთავრობა საბჭოთა მთავრობას დაუზავდა. ორი დღის შემდეგ ბათუმი საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს.

1921 წელი - ბოლშევიკებმა სამხრეთ კავკასიის განთილება დაასრულეს.

1921 წლის 16 მარტი - მოსკოვში, თურქეთსა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის მეგობრობის ხელშეკრულება გაფორმდა.

1950-80-იანი წლები - თურქეთ-საბჭოთა კავშირის სამხრეთ კავკასიის საზღვართან სასაზღვრო კონტროლის მთელი კომპლექსია შექმნილი.

1991 წლის სექტემბერი - თურქეთის დიპლომატიური დელეგაცია ბაქოს, ერევანსა და თბილისს ესტუმრა.

1991 წლის მარტი - თურქეთისა და საბჭოთა კავშირის პრეზიდენტებმა, ოზალმა და გორბაჩოვმა მეგობრობისა და კეთილმეზობლობის შესახებ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

1992 წლის 20-22 იანვარი - თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პიქმეთ ჩეთინი მოსკოვს ესტუმრა, რამაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ახალი ეტაპის დაწყებას ჩაუყარა საფუძველი.

1992 წლის თებერვალი - რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი საპასუხო ვიზიტს ესტუმრა ანკარას.

1992 წლის 25 ივნისი - რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი სტამბოლში იმყოფება, სადაც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის პირველ სამიტში მიიღო მონაწილეობა.

1993 წლის 1 მარტი - თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პიქმეთ ჩეთინი კვლავ ესტუმრა

მოსკოვს.

1993 წლის 25-26 მაისი - თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი მოსკოვში ჩავიდა.

1993 წლის 8-9 სექტემბერი - თურქეთის პრემიერ-მინისტრი თანსუ ჩილერი რუსეთში ჩავიდა, სადაც სხვადასხვა სფეროში ორმხრივი სამუშაო ჯგუფების შექმნაზე შეთანხმდნენ.

1995 წლის თებერვალი - ორმა ქვეყანამ ხელი მოაწერა უსაფრთხოების პროტოკოლს ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაუვების წინააღმდეგ ბრძოლაში. ფაქტობრივად მხარეები თანხმდებოდნენ, რომ ისინი არ ჩაერეოდნენ ქურთულ ან ჩეჩენურ კონფლიქტში.

1995 წლის 9 მაისი - თურქეთის პრემიერ-მინისტრმა თანსუ ჩილერმა მონაწილეობა მიიღო მოსკოვში გამართულ ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დასრულების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ზეიმზე.

1996 წლის 14-18 ივლისი - თურქეთის დიდი ეროვნული კრების სპიკერი მუსტაფა ქალემლი მოსკოვში ჩავიდა, რამაც ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური კავშირები გამოაცოცხლა. ხელი მოეწერა ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს შორის თანამშრომლობის პროტოკოლს.

1996 წლის 25 ოქტომბერი - თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი მოსკოვში შავი

ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის მესამე სამიტზე ჩავიდა.

1996 წლის 17-19 დეკემბერი - თურქეთის ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი თანსუ ჩილერი მოსკოვში ჩავიდა, სადაც უმაღლესი რანგის სახელმწიფო პირებს შეხვდა.

1997 წლის 15-16 დეკემბერი - რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი პირველი ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა თურქეთში.

1997 წლის 15 დეკემბერი - ანკარაში თურქეთისა და რუსეთის პრემიერ-მინისტრებმა, მესუთ ილმაზმა და ვიქტორ ჩერნომირდინმა ხელი მოაწერს „ციხფერი ნაკადის“ მილსადენის გაყვანის შეთანხმებას.

1999 წლის 4-6 ნოემბერი - თურქეთის პრემიერ-მინისტრი ბულენთ ეჯევიტი მოსკოვს ეწვია.

2000 წლის 23-25 ოქტომბერი - რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი მიხეილ კასინოვი მაღალი რანგის წარმომადგენლობითი დელეგაციით ესტუმრა თურქეთს. თურქეთში ეს ვიზიტი შეაფასეს, როგორც ორი ქვეყნის ურთიერთობაში რუსეთის ახალი პოლიტიკური აზროვნების წარმომადგენლების გამოჩენა, რომლებიც ძველი საბჭოური ყაიდის ლიდერებისგან განსხვავდებოდნენ.

მამუკა კომახია

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. H. M. Hubey, Turkey's Foreign Policy in the Caucasus, Turkistan-Newsletter Volume 97, 23 June 1997;
2. Mehmet Tutuncu, Turkey's Foreign Policy in the Caucasus, Turkistan-Newsletter, Volume 97, 23 June 1997;
3. Dmitri Trenin, Russia and Turkey: A cure for schizophrenia, Perceptions, June-August 1997;
4. Stephen Blank, New Trends in Caucasian Security, Eurasian Studies, 13 Spring, 1998;
5. Huseyin Bagci, Agree to disagree: Ecevit's visit to Moscow, Turkish Daily News, 4 November 1999;
6. Nadir Devlet, Turkish Policy in the Caucasus: Between common identity and enery, Turkistan News, 28 June 1999;
7. Kemal Ilter, Klebanov offers to co-produce strategic weapons with Turkey, Turkish Daily News, 27 May 2000;
8. Turkish Daily News, Cakmakoglu discusses military cooperation in Georgia, 27 March 2000;
1996 წლის მაისში აშშ-ს და გაერო-ს ზენობის უზღუდვის ხელისუფლებამ მოსთხოვა ბენ ლადენსა და მის მომხრეებს დაეტოვებინათ ქვეყნის ტერიტორია. ისინი გადავიდნენ ავღანეთში მოქმედა თალიბანის კონტროლირებად ტერიტორიაზე, კერძოდ, ქ. ყანდაღარში, სადაც ალ-ქაიდას მიეცა საშუალება დაეარსებინა სამხედრო-სანვრთნელი ბანაკები ავღანეთის ტერიტორიაზე (კერძოდ, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე შეიქმნა 22 მსხვილი სანვრთნელი ბანაკი, სადაც 1996-2000 წლებში მომზადდა 8 ათასამდე მებრძოლი). ალ-ქაიდად, ავღანეთში თალიბების მმართველობის დროს, გააფრთოვა თავისი ქსელი და განაკეთარა რეზიდენტურები ისეთ რეგიონებში, როგორებიცაა: ცენტრალური აზია, კავკასია, ბალკანეთი, მდრიბი, აღმოსავლეთ აფრიკის სივრცე, ხოლო მისი ფინანსური საქმიანობა გაფართოვდა ისეთ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, აშშ და კანადა. სხვათა შორის ალ-ქაიდა ასევე ფინანსირდებოდა თალიბანის მოძრაობის მიერაც, რომელიც იყენებდა ორგანიზაციას საკუთარი ინტერესების და მიზნებისათვის, მაგალითად, გასასხენებლად თუნდაც 2001 წლის სექტემბერის დასაწყისში თალიბანის ოპოზიციურად განწყობილი ავღანეთის „ჩრდილოეთ ალიანსის“ შეიარაღებული ძალების სარდლის აჰმად შახ მასუდის

მკვლელობაც. თვით თალიბანის ფინანსურმა აქტივებმა ნარკოტიკების ნარმოებისა და რელიგიათა მხედვად დაახლოებით 90 მლრდ. აშშ დოლარს შეადგინა.

ბენ ლადენისა და ალ-ქაიდას საქმიანობის პიკად შეიძლება მივიჩნიოთ 1998 წლის თებერვალში შექმნილი საერთაშორისო გაერთიანება: „ბრადატის“ და „ჯვაროსნების“ წინააღმდეგ ისლამური მსოფლიო ფრონტი“. მასში გაერთიანდნენ შემდეგი ორგანიზაციები: „ალ-კაიდა“, „ალ-ჯამა ალ-ისლამი“ (ეგვიპტე), „ალ-ჯიჰადი“ (ეგვიპტე), „ხარაკატ ულ-ანსარი“ (კამბოჯა), „ჯიჰადი“ (ბანგლადეში), „რჩევა და რეფორმის“ სამხედრო ფრთა (ავღანეთი) და „ლეთისმასხურთა საზოგადოება“ (პაკისტანი). აღნიშნულმა ორგანიზაციებმა ფაქტურად მოახდინეს თავიანთი ურთიერთობების ლეგალიზაცია. „ფრონტის“ საქმიანობას ხელმძღვანელობს საბჭო (შურა) ბენ ლადენის თაოსნობით (მის მოადგილეა ითელუბიან აიმაზ-ალ-ჯაჰაჰირი და ჯუშა ნაჰაზანი). ყველა მართვის პრინციპით მას ემორჩილება „უსიტყველი“ „ფრონტის“ ეგიდით შექმნილი და მოქმედებს ენ. „ერთიანი საკოორდინაციო დაზვერვის ცენტრო-მუჰაბარატი“, როდის რეზიდენტურები მოქმედებენ აზიის, ჩრდილოეთ აფრიკის, ევროპის და ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში. სწორედ II სექტემბერს ტრაგედი შედგენა ალ-ქაიდას „ფრონტის“ დასავლეთ ევროპის და აშშ-ს რეზიდენტურების ერთობლივი საქმიანობისა. „ცენტრი“ იყენებს თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებსაც: ფაქსებს, ინტერნეტს, კოსმოსურ და ფიჭურ კავშირის საშუალებებს. „ფრონტის“ ძირითად მიზნებს შეადგენს: ა) აშშ-ს დემოკრატიზება იმდენად, რომ კერძო შეძლოს მუსულმანური ქვეყნების საშინაო საქმეების ჩარევა; ბ) სპარსეთის ყურის ქვეყნების, საუდის არაბეთის, ეგვიპტის მთავრობებზე ზემოქმედება პრიაში კულ პოლიტიკურ კურსზე უარის თქმის მიზნით; გ) ისლამური ორგანიზაციებისადმი მხარდაჭერის აღმოჩენა მათი ხელისუფლებანი მოყვანის მიზნით; დ) ავღანეთის, სუდანის და პაკისტანის ხელისუფლების მხარდაჭერა საკუთარი საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსის გატარების საქმეში; ე) ერთიანი ენ. „მწკანე ინტერნაციონალის“ დაარსება (ხელმძღვანელი ალიყრელი ისლამისტი ჰასან ალ-ტურაბი), საერთო „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნის მიზნის მიღწევით.

„ფრონტის“ მიერ განხორციელებული საერთო ლინისძიება იყო 1998 წლის 7 აგვისტოს დარ-ელ-ხალმის (ტანზანიის დედაქალაქი) და ნაირობიში (კენიის დედაქალაქი) აფეთქებების მოწყობა, რის შედეგადაც დაიღუპა 242 ადამიანი და 5 ათასი ადამიანი მიიღო დაზარალება. თუმცა მანამდე „ფრონტის“ მებრძოლებმა საუდის არაბეთში აფეთქეს აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა, რომელმაც იმსხვერაპლა 19 ამერიკელის სიცოცხლე და 300

კაცი დაიჭრა. ამიტომაც ავღანეთში განხორციელებული სამხედრო ოპერაცია - „უსაზღვრო სამართლიანობა“ მიმართულია სწორედ „ფრონტის“ და მის უკან მდგარი ძალების განადგურებისაკენ. აღნიშნული სამხედრო ოპერაცია მიმდინარეობს პრინციპით „სახელმწიფო გაერთიანების“ წინააღმდეგ კლასიკური ომის ჩარობის გამოყენებით, რაც ერთგვარ სახალხოდ შეიძლება ჩაითვალოს გეოსტრატეგიაში. „ფრონტის“ სამხედრო ბირთვს შეადგენს 15-20 ათასი მებრძოლი, ენ. „მუდმივი მზადყოფნის ძალები“. სამოპილიზაციო რეზერვები არსებობენ „ფრონტის“ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. სამხედრო ფორმირების პირობითად იყოფიან: ფრონტებად (სავარაუდოდ 5 000-10 000-ზე მეტი მებრძოლი), ბრიგადებად (2 000-2 500 მებრძოლი), ლეგიონებად (1 000 - 2 500 მებრძოლი), ბატალიონებად (საშუალოდ 3 00-500 მებრძოლი), რაზმებად (სავარაუდოდ 100-200 მებრძოლი), ოცულებად (20-30 ადამიანი) და ჯგუფებად (5-10 მებრძოლი). აღნიშნული ფორმირებანი ფუფუნებან მანევრის და მოტილიური შენაერთების პრინციპს და მოქმედებებს ძირითადად ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური საბრძოლო მოქმედებების საფუძველზე. სამხედრო წოდებებიც დაახლოებით შეესაბამება რელიგიური წოდებების პრინციპს: ამირა, ნაიბ ალ-ამირა, ემირი, შეიქა (თუმცა რელიგიური წოდებები აქ დაკვეთდებარებულია სამხედრო წოდებების ეიარაქისა).

კავკასიის რეგიონის „ფრონტის“ სადაზვერვო ცენტრის და რეგიაონური სტრუქტურის სისტემა შედგება სამი მთავარი ქვერეზიდენტურებისგან, რომელიც გაერთიანებულია ერთ რეზიდენტურაში, რომელსაც ხელმძღვანელობს საყოველთაოდ ცნობილი საუდელი საველე მეთაური, ბრიგადის გენერალი ახმედ შაბიბ აბდურახმან ხატაბი (მეტსახელი: „ახმედი“, „შავი არაბი“, „აბბასი“, რადიოგამომხილი „ჰაჯი“). დანარჩენი ქვერეზიდენტურებს მეთაურობენ: აბდულა მალეკი (ჩრდილო კავკასიის დასავლეთის მიმართულება), მუჰამედ შარიფი (ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთის მიმართულება) და სალემ ედ-დინი (სამხრეთ კავკასიის მიმართულება). აქედან გამომდინარე, იკვეთება ის ტენდენცია, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი შედის „ფრონტის“, მეთაურული ორგანიზაციის მიმართ და განიხილება დიდი ინტერესის მიმართ. ეს კი გასათვალისწინებელი ფაქტორია ქართული საზოგადოებისათვის.

აქვე საინტერესოა ალ-ქაიდას ქსელის მოქმედების მოკლე განხილვა სხვადასხვა ქვეყნების მაგალითებზე (ენ. „შეხვედრის ადგილის გარჩევის“ მეთოდოლოგიის ფარგლებში) განსაკუთრებით აშშ-ის მიერ ანტიტერორისტული კამპანიის განხორციელების კონტექსტში. განსაკუთრებული ყურადღება შეიძლება გამახვილდეს

ორ სახელმწიფოზე, რომლებიც შესული არიან აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შედგენილ „ტერორიზმის სპონსორი“ ქვეყნების ე.წ. „შავ სიაში“, კერძოდ, ესენია: სუდანი და სო-

სუდანი: ავღანეთში ჯერ კიდევ წარმატებით წარმოებული საომარი კამპანიის და თეთრი სახლის მიერ გაკეთებული განცხადების ფონზე, რომ ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ უფრო ფართომასშტაბიანი იქნება, იკვეთება ახალი ავანრადო სამიზნე ქვეყნების „სია“, სადაც აფრიკის კონტინენტის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სუდანის ლიდერობის ფაქტი შეიძლება რეალური გახდეს. სუდანი უკვე დიდი ხანია რაც აშშ-ის სახელმწიფო უწყებების ე.წ. „შავ სიაშია“ მოქცეული, და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1992-95 წ.წ. აქ იმყოფებოდა უსამა ბენ ლადენი. სუდანი მიჩნეულია ტერორისტული ქსელი - ალ-ჯიდას ერთ-ერთ ძირითად ფორმო-სტად. ამის საფუძველს კიდევსათვის ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია და რეალური ფაქტები იძლევა, რომლებიც შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს:

1990 წლიდან ქვეყანას მართავენ ისლამისტური ძალები - სუდანის ეროვნული ისლამის ფრონტის ხელმძღვანელობით. თუმცა 1994 წლის 1 იანვარს გენერალმა ჰასან ახმად ალ-ბაშირმა მოახდინა სამხედრო გადატრიალება და გახდა ქვეყნის პრეზიდენტი, მაგრამ რეალური სურათი არ შეცვლილა საერთოდ. პირიქით, ალ-ბაშირის რეჟიმი კიდევ უფრო აძლიერებს ისლამური ფუნდამენტალიზმის იდეების პოპულარიზაციას და განვითარებას. ამასთან, სუდანში საკმაოდ აქტიურად მოქმედებს საერთაშორისო ორგანიზაცია „ძებნი-მუსულისმანების“ ადგილობრივი ფილიალი;

1980 წლიდან მიმდინარეობს სისხლიანი შეტაკებები ქვეყნის მუსლიმანურ და ქრისტიანულ მოსახლეობას შორის, სადაც პირველი არიან ქვეყნის უმრავლესობა (დაახლოებით 70%), ხოლო უკანასკნელი კი უმცირესობას შეადგენენ (მხოლოდ 10%). თანაც აღნიშნული შეტაკებები წმინდა კონფესიური ხასიათისაა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სუდანის ისლამური ფუნდამენტალიზმისაკენ მიდრეკილებების იმიჯს. აქვე აღსანიშნავია, რომ ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მომხდარი საომარი მოქმედებები გადადის ეთნიკური წმენდა და გენოციდის ფორმებში, რასაც ადასტურებენ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებიც. მაგალითად, 1993 წელს „ამნტერნეტური ნი შეიქმნა“ დაადანაშაულა ოფიციალური ხარ-თუმი ეთნიკური წმენდის პოლიტიკის გატარებაში სამხრეთში მცხოვრები ნუბას ტომის მცხოვრებლების მიმართ, რომლებიც ქრისტიანები არიან. ასევე სუდანი დასახლდა სხვა ქვეყნებთან ერთად გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ შედგენილ 1994 წ. მოხსენებაში, როგორც ამ

უფლებათა დამრღვევი სახელმწიფო; ასეთი ბრალდებები კი ხელს უწყობს ქვეყნის წინააღმდეგ ანტი-ტერორისტული კამპანიის გამაგრებლებ ტერიტორიალ გამოცხადების საქმეს;

სუდანი გახდა სავით ცნობილი ტერორისტული ორგანიზაციების თავშესაფარი და პოლიტიკური თავშესაფარის მიმცემი ადგილი, როგორც რეგიცაა: „ფაქტის რეგულაციური საბჭო“ (აბუ ნიდალის ორგანიზაცია), „პუზოლაჰი“, „პალესტინის ისლამური ფრონტი“, „ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა“ (ჰამასი), „ისლამური გადარჩენის ფრონტი“ (ალჟირი), „ალ-გამაალ-ისლამია“ (ეგვიპტე). ქვეყნის მმართველი პარტია, ისლამური ფრონტის სახით, მხარს უჭერს ისლამური და ასევე არა ისლამური ორიენტაციის პარტიზანულ სეპარატისტულ მოძრაობებს (მაგალითად, უგანდელ ტუნისელ, ეთიოპულ, კენიურ სეპარატისტულ დაჯგუფებებს). სუდანის ხელისუფლება აქტიურად თანამშრომლობს ირანულ ორიენტაციაზე მდგარ ტერორისტულ სტრუქტურებთან და მოძრაობებთან. თვით დედაქალაქ ხართუმში კი ბიზნესს ეწეოდა თვით უსამა ბენ ლადენი (ამ ფაქტორის გამო აშშ-მა 1998 წლის აგვისტოში განახორციელა საჰაერო დარტყმები სუდანზე). არაოფიციალური ბრალდებების გარდა, სუდანს ნაყენებული აქვს ასევე ოფიციალური ბრალდება რეგიონულ დონეზე ტერორიზმის მფარველობაზე. საქმე ეხება 1995 წლის 26 ივნისს ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში ეკვიპტის პრეზიდენტ მოსნი მუბარაჩზე განხორციელებული შეიარაღებულ თავდასხმას, რომელიც განახორციელა ეკვიპტურმა ორგანიზაციამ „ისლამურმა დაჯგუფებამ“. ეთიოპიის ხელისუფლების თხოვნის მიუხედავად, გადაეცათ მათთვის სამი ექვმიტანილი, რომლებიც სუდანში იმყოფებოდნენ, ალ-ბაშირის ხელისუფლებამ უარი განაცხადა ამის გაკეთებაზე. სუდანის მთავრობაზე არ იმოქმედა ასევე აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის თხოვნამაც. მანამდე კი, 1995 წლის აპრილში მეზობელმა უგანდის ხელისუფლებამ განცვიტა დიპლომატიური ურთიერთობები სუდანთან, უგანდელი მეამბოხეების მხარდაჭერის მიზეზით. ამიტომაც სუდანი გამოცხადდა ტერორისტების მფარველ ქვეყნად.

სუდანის ძალზედ რთული ურთიერთობები გააჩნია აშშ-თან, ჯერ კიდევ 1993 წლიდან. აღნიშნული ურთიერთობები კიდევ უფრო გაართულდა 1995 წელს, როდესაც ნიუიორკში რამოდენიმე დიპლომატის ჩაბრუნების მცდელობის ბრალდებით დაკავებულ იქნა სუდანის მოქალაქე, რომელმაც აღიარა, რომ მას ამ საქმეში ეხმარებოდა გაეროსთან სუდანის მისიის ორი თანამშრომელი. 1996 წლის აპრილში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა ქვეყნიდან გააძევა სუდანელი დიპლომატი, ხოლო 1997 წელს კი დეპარტამენტმა გამოაცხადა სუდანის წინააღმდეგ ახალი უფრო მკაცრი ეკონომიკური სანქციების შემოღების შესახებ.

როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან

ჩანს, სუდანი მართლაც „ლირსეული კანდიდატი“ ანტიტერორისტული აქციის გაგრძელებისათვის, თანაც როდესაც დასტურდება ქვეყნის საერთაშორისო ტერორისტების ტრანზიტ ტერიტორიად გამოყენების ფაქტები. თუმცა სანქციების იქნება რაოდენ დასძლევს ამერიკული არმად 89 ათასიან სუდანის არმიას, ავღანეთის 120 ათასიანი თალიბანის ფორმირების დამარცხების შემდეგ.

სომალი: ანტიტერორისტული კამპანიის დაწყების წინ აშშ-ის ამჟამინდელმა ადმინისტრაციამ გამოკვება იმ ქვეყნების სავარაუდო სია, რომელთა წინააღმდეგ გამოიყენება სამხედრო ძალა თალიბანის დამარცხების შემდეგ. აღნიშნულ სიაში რამოდენიმე ცნობილი „ღირსშესანიშნავი“ ქვეყნები შევიდნენ, რომელთა შორის აღმოჩნდა ამ კონტქსტში ნაკლებად სანქტირესო სახელმწიფო - სომალის რესპუბლიკა. თუმცა, როგორც ასეთი ერთიანი ოსმალი აღარ არსებობს და ისევე როგორც ავღანეთი, სომალი გაყოფილია სამი პრობით დაე-ფაქტად არსებულ სახელმწიფო-ფორმირებულ გაერთიანებად. ფაქტობრივი მონაცემები ქვეყნის შესახებ წარმოადგენს შემდეგს.

სომალი. ტერიტორია (1996 წ.) 637, 539 კმ<sup>2</sup>, რომელიც უტოლდება საფრანგეთსა და ბელგიას ერთად აღებული. მდებარეობს აფრიკის კონტინენტის აღმოსავლეთ ნაწილში. ქვეყნის სანაპირო ზოლი ეფერება ნითულ ზღვას და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში კი ინდოეთის ოკეანეს მოსახლეობა (1996 წლიდან) 9,4 მლნ. ადამიანი (ძირითადად 99,8% სუნიტური ორიენტაციის მუსლიმანები). 1996 წელს 240 ათასმა სომალიელმა უძი-ხელი სოციალურ უკონტროლი პირების გამო განაღო ლტოლვილი და თავი შეაფარა ეთიოპიას, 150 ათასმა კენიას, 45 ათასმა იემენს და 20 ათასმა ჯი-ბუტის, ხოლო 250 ათასი შეიქმნა იძულებით გა-ადადგილებული პირი. 1992 წელს 50 ათას სომა-ლელი ვარდაიცვალა ქვეყანაში გამეფებული შიმ-შისიანგან, რამაც დაალოწია გაეროს ეგიდით სასწრაფო ჰუმანიტარული ოპერაციის ჩატარება, 50 000-100 000 დაიღუპა სამოქალაქო ომის შედეგად, რომელიც მძვირდებოდა 1989 წლიდან.

სომალი გახდა დამოუკიდებელი ქვეყანა 1960 წლის 1 ივლისს, როდესაც გაერთიანდა სომალია (ყოფილი იტალიის კოლონია) და ბრიტანული სომალილენდი. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის შიგნით არსებობს დაპირისპირება კლანურ და ტომობრივ დონეებზე (ყოფილ ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში ყველაზე გავლენიანი სახი ეთნიკური ისაკისი, შავეის და მარეჰანის კლანი), სომალილები, სხვა აფრიკული ხალხებთანაგან განსხვავებით, შეადგენენ ერთიან ერს. 1969 წლიდან ქვეყანაში არსებობდა დემოკრატიული შედარებით სტაბილური პოლიტიკური სისტემა. 1969 წელს საბჭოთა კავშირის მეშვეობით გენერალმა სიად ბარემ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება და მართავდა ქვეყანას, მისი იდეური ბელა-დის ლენინი ბრეტენევის მსგავსად 20 წლის

განმავლობაში. თუმცა სიად ბარემ მალევე უღალატა ძლიერამოსილ მოკავშირეს ეთიოპიაში მყოფი ოგადენის პროვინციის გამო (სადაც ეთნიკურ უმრავლესობას შეადგენენ სომალილები) ატეხილი ომის შედეგად. სომალი-მისილის მფარველი ომი ეთიოპიასთან წაავი, რადგანაც საბჭოთა კავშირმა და კუბამ მხარი უკანასკნელს დაუჭირეს და 1978 წლიდან სომალი გადავიდა აშშ-ის გავლენის სფეროში. თუმცა ცივი ომის დასრულების შემდეგ სომალიმ ყოველგვარი ინტერესი დაკარგა ამერიკელებისათვის, ხოლო ადის-აბებას და მოსკოვის მიერ გახლართული ინტერგების შემდეგ, ქვეყანამ თითქმის დაასრულა თავისი არსებობა. 1982 წ. მოსკოვის უშუალო მხარდაჭერით და ეთიოპური კომუნისტური რეჟიმის დახმარებით შეიქმნა სომალის ეროვნული მოძრაობა, რომელიც დევუძნა ძირითად წილს ისაკის კლანის წარმომადგენლებს. აღნიშნული მოძრაობა დაუპირისპირდა მარეჰანის კლანის ლიდერს სიად ბარეს (სწორედ ასეთი კლანური დაქაქის ნაცნობი ეთნოპოლიტიკური მეთოდით მოხდა ტყვედგავის და ჩვენთვის სამოქალაქო ომების გაღვივება). ქვეყანაში გაჩაღდა სამოქალაქო ომი, რომლის შედეგად იყო ორი კლანის შავეის და ოგადენის კლანების პოლიტიკურ-სამხედრო დაჯგუფებების წარმოქმნა და სიად ბარეს რეჟიმის დამხარა 1991 წლის 27 იანვარს მომხდარი სამხედრო გადატრიალების შედეგად. უკვე იმავე წლის მარტში დაიწყო საყოველთაო ქაოსი და მასში ჩრდილოეთ სომალის ხელისუფლებამ გამოაცხადა ქვეყნის გაანგარიშება და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შესახებ (ჩრდილოეთ სომალიში მდებარეობს ერთ-ერთი ყველაზე დიდი პორტი, რომლის მეშვეობითაც დღესაც სულდგმულობს ჩრდილოელები). მომდევნო წელს კი დაიწყო მასობრივი შიმშილობა, რომლის შედეგადაც აშშ-ს მთავრობის მონაცემებით დაიღუპა 350 ათასი ბავშვი. ამიტომაც გაეროს უშიშროების საბჭომ სასწრაფო ჰუმანიტარული ოპერაციის ჩატარების მიზნით მიიღო რეზოლუცია აშშ-ის საეკვიპიდციო კორპუსის გაგზავნის შესახებ. 28 ათასი აშშ-ს სამხედრო მოსამსახურე და 10 ათასი პაკისტანელი სამხედრო მოსამსახურე ჩაერთო ამ ოპერაციის განხორციელებაში. გაეროს მშვიდობის დამცველებს გამოუჩნდათ საშიში მტერი, შავეის კლანის წარმომადგენელი გენერალი აიდენი, რომლის 7 ათასიანმა სამხედრო ფორმირებამ მათ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. სხვათა შორის, აიდენის ფორმირებას, სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერა ალუთქეა უსამა ბენ ლადენმა და მისმა ორგანიზაცია „ალ-ჯიდადმა“, „სი-ენ-სი“ მიერ გადმოცემული რეპორტაჟის შემდეგ, სადაც ნაჩვენებია იყო თუ როგორ შეურაცხყოფდნენ ამერიკელთა გვამებს სომალის მოსახლეობა, აშშ-ის პრეზიდენტმა, ბილ კლინტონმა გასცა განკარგულება სომალიდან ამერიკული კონტინენტის გამოყვანის შესახებ, რაც კიდევაც განხორციელდა 1994

წლის 25 მარტს. ფაქტობრივად, გაეროს მიერ გაღებული 2 მლრდ. აშშ დოლარი ნაწილობრივ მოხმარდა რეალური მიზნების მიღწევას, მიუხედავად ამისა სომალის მდგომარეობა ამით არ გამოსწორებულა. ქვეყანა პოლიტიკურად დაიყო სამ ნაწილად: ჩრდილოეთით მდებარე ე.წ. „სომალი-ლენდის რესპუბლიკა“, რომელიც ითვლება დემოკრატიის ოპონენტად, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე ე.წ. „ცენტრალური სომალენდის“ თავისუფალი ტერიტორია; ქაოსურ მდგომარეობაში მყოფი თვით სომალის რესპუბლიკა დედაქალაქი მოგადიშოთი, რომელიც ყველაზე არასტაბილური წერტილია დღესაც. ამისთანა, არაკონტროლირებადი ტერიტორიაზე 1996 წლიდან მოქმედებს ალ-ქაიდას აფრიკული ქსელი, თავისი საწვრთნელი ბანაკებით და საბრძოლო აღჭურვილობით. არ არის გამოირცხული თვით უსამა ბენ ლადენის გამოჩენა სომალიში, ხოლო ამერიკელებისათვის კი სომალიში ახალი საბრძოლო ოპერაციის ჩატარება იქნება პრესტიჟის საკითხი.

სწორედ სუდანისა და განსაკუთრებით სომალის შემთხვევის წარმოჩენა იქნება კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება გამოიყენონ სხვადასხვა სახის ისლამისტურმა და რადიკალურმა განწყობილმა დაჯგუფებებმა თავიანთი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ე.წ. „არშემდეგარი ქვეყნების“ (Failed-States) უკონტროლო ტერიტორიები, რომელთა რიგებს აღნიშნული ქვეყნები წარმოადგენენ. ასეთი რეალური საფრთხე, ანუ ე.წ. „სომალიზაციის“ პროცესი სამუშაოებს შეიძლება განვითარდეს საქართველოშიც. ამის რეალურ დადასტურებად ჩაითვლება პანკისის ხეობაში დაჯგუფებული ანტიტერორისტული სამხედრო კამპანიის დაწყების შესაძლებლობა აშშ-ის შეიარაღებული ძალების მონაწილეობით.

**ავღანეთში ჩატარებული ანტიტერორისტული კამპანიის ანალიზი.**

ავღანეთის ტერიტორიაზე წარმოებულმა ანტიტერორისტულმა კამპანიამ, როგორც ჩანს, თავის კულმინაციას მიიღწა. ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში უკვე დიდი ხანია ოფიციალურად გახსნა აშშ-ის და რამოდენიმე დასავლეთეროპული სახელმწიფოს საულოებო, ჩამოყალიბდა დროებითი მთავრობის პუშტუნელ ჰამიდ კარზაის ხელმძღვანელობით, დაიწყო დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა, რეალურად აშშ-ის სამხედრო კონტინგენტის მიერ, რომლებიც თავის მხრივ შედიან ავღანეთის სტაბილიზაციის დამყარების საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტში, ავღანეთის დედაქალაქში დემონსტრაციულ მანქანაში აღმართული ქვეყნის 50 ვარსკვლავიანი წითელი-თეთრი დროშა, ფაქტობრივად წარმოადგენდა ავღანეთის ომში ამერიკელების გამარჯვების ერთგვარ სიმბოლოს. სხვათა შორის ანალოგიურ ვითარებაში

1979 წლის 27 დეკემბერს სამთავრობო რეჟიმდენცია ტაჯ-ბეკზე საბჭოთა სპეცდანიშნულების რაზმებმა აღმართეს წითელი დროშა, თუმცა შედეგი სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში გახდა ცნობილი. ავღანეთში საომარი მოქმედებანი მიმდინარეობს ყანდაგარის პროვინციაში, სადაც აღმოაჩინეს თალიბების ლიდერის მულა ომარის სამფლობელო, რომელიც იქ გამაგრებულია თავისი 500-მდე მომხრესთან ერთად. ჯერჯერობით უცნობია საერთაშორისო ტერორისტების უსამა ბენ ლადენის ადგილსამყოფელი. აშშ-მა აიღო რეჟანში იმ ტრავიკული შედეგების გამო, რაც გამოიწვიეს II სექტემბრის ტერაქტებმა. ბუშის ადმინისტრაციამ კარგად გამოიყენა ბრიტანული და საბჭოთა აგრესიის შედეგად დაგროვილი გამოცდილება (თუმცა ისიც ნაწილობრივ) სახელმძღვანელო.

კარგად იქნა გამოყენებული ტაქტიკა „დაყავი და იბატონე“, რაც გამოიხატება ავღანურ კუთხედოების შიგნით არსებული ეთნიკური, სუბეთნიკური, კლანური და კონფესიური უთანხმოებათა კიდევ უფრო გაღვივებაში და საერთო მიზნის გამოყენებაში, რასაც მოჰყვა თალიბანის დაშლა და ამერიკელებისათვის, დროებით, ჯერ კიდევ სასარგებლო პოლიტიკური ბალანსის შენარჩუნება (თუმცა ეს ნაკლებად ცნობილი პუშტუნი სავაედი მეთაურის ხამიდ კარზაის დროებითი მთავრობის თავმჯდომარედ დანიშვნა);

სამხედრო-სტრატეგიული უპირატესობის გამყენება სივრცესა და დროში. სამხედრო-სამაქრო ძალების საშუალებების მაქსიმალურად გამოყენება და შეზღუდული მასის სპეცოპერაციების შეთავსება ჩრდილოეთ ალიანსის ოპოზიციური დაჯგუფების საბრძოლო ოპერაციების განხორციელების პარალელურად, რამაც შედეგი გამოიღო დომინანტი პუშტუს ტომების პოზიციების უფროსი და ამით თალიბების რადიკალური ფრთის ნეიტრალიზებაში;

რთული გეოპოლიტიკური თამაშების ჩატარებაში, რომელსაც მოჰყვა პაკისტანის, რუსეთის ფედერაციის, ირანის, უზბეკეთის და ჩინეთის ინტერესების დაბალანსება და ნაკლები დანახარჯებით მაქსიმალური პოლიტიკური დივიდენდების მოპოვება, რასაც თან დაერთო აშშ-ის გეოსტრატეგიული ინტერესების დაცვა და თანდათანობით გაძლიერება ცენტრალური აზიის და კავკასიის რეგიონებში. ავღანეთში ამასთან დაკავშირებით განვითარდა „ბალკანური კოსოვოს“ სცენარი, როდესაც ამერიკელები შედიოდნენ ქაბულში, რუსეთის ხელმძღვანელობამ სასწრაფოდ საგანგებო სიტუაციის სპეცდანიშნულების ორიათასი დესანტი გადასხა ქალაქის მიდამოებში, რომლებმაც უშალ დაიკავეს ქაბულის აეროპორტი და ყოფილი საბჭოთა კავშირის საელჩოს შენობა. ამავე დროს, პირველად მოხდა ირანისა და აშშ-ის გეოპოლიტიკური ინტერესების ურთიერთგა-

დაკვეთის წერტილების მონახვა, რასაც შეიძლება მოჰყვეს ამ ორ ქვეყანას შორის საერთაშორისო დეტანტის განვითარება;

აშშ-მა მოახერხა ისეთი „არაფრის მქნელი“ და გაბიუროკრატიული საერთაშორისო რეგონიზაციის როგორც საერთაშორისო საზოგადოებისათვის ასაკეთი მმართველობით მოქმედება, როგორცაა ვაგრო, ჩართო რა ეს ორგანიზაცია ავღანური „ჰანდორის ყუთის გახსნაში“ რომში მიმდინარე მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების სახით. მასში ძირითადი აქცენტი კეთდება ყოფილი მონარქის ზახირ შაჰის პოლიტიკურ ავანცინება დასაბრუნებლად, ისე და ისე აშშ-ის ინტერესების გათვალისწინებით, რომელსაც არ სურს ავღანეთში რუსული ორიენტაციის მქონე ტაჯიკებისა და უზბეკების მოხვლა ხელისუფლებაში.

აქვე აღვნიშნავთ იმ „ნაკლოვანებებზე“, რომლებზეც განხილული კამპანიის წარმოებისას შეიძლება გარკვეული რაოდენობის, უფრო ფართომასშტაბიანი გამოწვევებისა და რისკების სახით:

ავღანური კამპანიის წარმოებისას განადგურდა ძირითადად თალიბანის მოძრაობა და აღნიშნული დესტრუქციული დარტყმა ნაკლებად შეეხო იატაკქვეშეთში მყოფი ისლამისტურ დაჯგუფებათა ქვეალ-ქაიდას (დღემდე ვერ გაირკვა თუ სად იმყოფება უსამა ბენ ლადენი, სავარაუდოდ ის შეიძლება პაკისტანში გადავიდეს, სადაც მას გაცილებით ბევრი მომხრე და გავლენიანი პოლიტიკური მხარდამჭერები ყავს); აღ კამპანიის პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა ალ-ქაიდას აქტიურობა (აშშ-ის ტერიტორიაზე განხორციელდა ბიოლოგიური ტერორისტული აქტები და ინდოეთის დედაქალაქ დელიში სამხედრო გადატრიალების მცდელობაც კი განხორციელდა, თუკი არ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ ახლო აღმოსავლეთში ისლამისტური ორგანიზაციების წყალობით უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია). აქედან გამომდინარე, სტრატეგიული მიზნები მხოლოდ ნაწილობრივ იქნა მიღწეული, ისიც ავღანური პრობლემის დარეგულირების ფარგლებში;

უახლოეს პერიოდში განხდებდა ახალი დილემა ავღანეთიდან ნარკოტიკული ნივთიერებების უკონტროლო ექსპორტის სახით, რადგან თალიბანის კონტროლირებადი ტერიტორიებზე ხორციელდებოდა ნარკოტიკული საშუალებების კონტროლირებადი ექსპორტის „რეჟიმის“ დანერგვა, რაც პირველ რიგში აწყოება დასავლეთის რეგიონური ტრადიციების მოთაყვანე თალიბები ოფიციალურად კრძალავდნენ ნარკოტიკების მოპოვებას და გასაღებებს, თუმცა არაოფიციალურად იყენებდნენ საკუთარი ფინანსების წყაროების მოსაპოვებლად, მაგრამ არა იმ მასშტაბებში, რაც ხორციელდებოდა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც საერთოდ უკონ-

ტროლო ტერიტორიებად ითვლებოდა ამ მხრივ. არაოფიციალურად საშუალო წლიური მოგება ჩრდილოეთის ხაზის გამოყენებით აღწევდა 100 მლრდ. დოლარს. თანაც მისი ტრანზიტი ხორციელდებოდა უკვე კარგად ათვისებულ და კორუფციის განთქმულ პოსტსაბჭოთა სივრცეზე. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ ავღანეთის ტერიტორიაზე დაიწყოს ახალი „ომების ომები“ ოღონდ სანაწილადეგო სცენარის ფარგლებში;

ავღანეთში ეთნო-პოლიტიკური ვითარების უცაბედმა ცვალებადობამ და ავღანეთის „ჩეჩენიზაციის“ პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის უკიდურესი „სომალიზაცია“, რაც გადაიზრდება ახალ მძლავრ ჰუმანიტარულ კრიზისში, რომლის მოგვარებაც ისევე და ისევე აშშ-მა უნდა იტვირდოს.

ავღანეთის პრობლემა ასე თუ ისე რეგულირდება, ხოლო ახალი ტალღის ქვეშ შეიძლება მოექცეს სხვა ქვეყნები. როგორც აშშ-ის თავდაცვის მინისტრის წარმომადგენელმა პაულ ვოლფოვიჩმა განაცხადა, ასეთივე შეიძლება ჩაითვალოს ირაკი, პაკისტანი, სომალი და იემენი, რაც ნაწილობრივ ეთანხმება აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ამა წლის მარტის თვეში II სექტემბრის ტრაგედიაში მიძღვნილ ერთ-ერთ ღონისძიებაზე გაკეთებულ მოსაზრებებს.

აქვე სასურველია გამოიყოს ისლამის ფუნდამენტალური მიმდინარეობის განსაზღვრული ეტიმოლოგიური ტერმინი „ინტეგრეზიზმი“ (ტერმინი შემოიღეს რუსმა ისლამის მკვლევარმა და პოლიტოლოგმა ალექსანდრე იგნატენკომ და აზერობიჯანელმა პოლიტოლოგმა ჯანგირ არასლიმ). ინტეგრეზიზმის ქვეშ იგულისხმება სხვადასხვა რადიკალური ისლამური დაჯგუფებების წარმომადგენლების ექსტრემისტული პოზიციების დაფიქსირება, რომლებიც მოითხოვენ ისლამის ნორმების ინტეგრალურ და სრულ ხორცშესხმას რეალურ ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, მათ უწოდებენ ინტეგრეზისტებს. ისლამურ ორიენტაციის პოლიტიკურ მოძრაობაში ისლამური ინტეგრეზიზმის ყველაზე გავრცელებულ ნაირსახეობას წარმოადგენს ეაჰაბიზმის დოქტრინა.

ისლამური ფუნდამენტალიზმი  
 („ინტეგრეზიზმი“) კავკასიაში და უახლოესი  
 მოსამხრეთის სახასიათაობა (1995-99 წ.წ.)

ისლამური ფუნდამენტალიზმი კავკასიაში 80-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო გავრცელებას, როცა მეტი უფლებები მიეცა მოქალაქებს და საზოგადოებრივი განხილვისთვის. ყოფილი სსრკ-ს ტრადიციულად ისლამურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ერთეულებში ძველი მეჩეთების და მედრესეების აღდგენა, ახლების აგება და საქადაგებლად იმსავლულების

მონვევა დაიწყო, რომლებმაც საზღვარგარეთ, ძირითადად, ეგვიპტეში და საუდის არაბეთში (როგორც სუნიტური ისლამის ცენტრებში) მიიღეს თეოლოგიური განათლება.

ამავდროს სწორედ საუდის არაბეთის ფაქტორმა განაპირობა ისიც, რომ სულ მალე ისლამის ისლამი და აღორძინებული ორთოდოქსალური ისლამის მომხრეებს ცენტრალურ აზიაში (უზბეკეთი, ტაჯიკეთი) და კავკასიაში ვაჰაბიტები უწოდეს, ვინაიდან საუდის არაბეთში განახლებული ისლამი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მცხოვრებ მუჰამად იბნ აბდულ-ვაჰაბის სწავლებას ეფუძნება.

ვაჰაბიტების დოხიე: სუნიტური ისლამის ერთერთი მიმდინარეობას, ახლოს მდგომ სკოლას იღებოდა, რომელსაც ჩვენი საზოგადოება იცნობს ვაჰაბიტების სახელწოდებით, XVIII საუკუნის შუა პერიოდში დღევანდელი საუდის არაბეთის ტერიტორიაზე მოღვაწე თეოლოგმა მუჰამად იბნ აბდულ-ვაჰაბმა დაწერა სათავე. მან და მისმა მიმდევრებმა უკიდურესობამდე განავითარეს XIV საუკუნის რელიგიური მოღვაწის, იბნ ტემივის იდეები ისლამის განმუხტვის და რეგულაციული განახლების შესახებ. არავითარი წმინდა ადგილები და წმინდანები, რიტუალების მაქსიმალური გაუმრავლდება და ძველი (მუჰამედის დროინდელი) ისლამური „უმათის“ წესებით ცხოვრება - ეს იყო მთავარი საფუძვლიანი აბდულ-ვაჰაბის ქადაგებისა, რომლის მიმდევრები თავის თავს სულაუც არ უწოდებენ „ვაჰაბიტებს“, არამედ - ჭეშმარიტ მუსლიმანებს, რწმენით გაერთიანებულებს („აღ-მუყაჰიდები“). ვაჰაბიტური იდეოლოგიის ძირითად ცნებებს წარმოადგენს პრინციპი ერთმორწმუნეობის შესახებ. მხოლოდ ალაჰი ღმერთია და მისივე ცემის და, აქედან გამომდინარე, არ არსებობენ წმინდა ადგილები და წმინდანები - ამტკიცებენ ვაჰაბიტები. ყურანი უნდა იყოს ყველა მუსლიმანისათვის ამოსავალი ნერტილი. ასევე უარყოფილი მუჰამედის კულტი, რადგანაც ხალხს და ღმერთს შორის არავითარი შუამავალი არ უნდა არსებობდეს. სამაგიეროდ ვაჰაბიტები აღიარებენ მხოლოდ ერთ-ღმერთს ანაჰს (ანუ „ტაჰიბიდ“-ს), რომლის მიხედვითაც მხოლოდ ალაჰი თავყანის-ცემის სიმბოლოა. „ტაჰიბიდის“ საფუძველია ცნება „ლა ილაჰა ილაჰალაჰი“, ანუ არავინ არსებობს ღმერთი თავყანისცემისა ალაჰის გარდა. ვაჰაბიტური ერთ-ერთი სალიტურატურო-სახელმძღვანელო წყაროს მიხედვით, რომელიც გავრცელდა ჩრდილოეთ კავკასიაში და წარმოადგენდა ამ რელიგიური მიმდევრებისათვის განკუთვნილ კონსპექტს. პირდაპირაა ალია-რეზული შემდეგი: „...მუსულმანმა უნდა მიიღოს ისლამის სწავლება, რომელიც ასახულია წმინდა ყურანში - ალაჰის სიტყვაში და სუნაში - წინასწარმეტყველ მუჰამედის გამონათქვამებში. ისლამი ყველა ამტკიცებელი და იმტკიცებელი კითხვებზე სცემს პასუხს. უზუნაესი ალაჰი არ

მიიღებს არცერთ სხვა რელიგიას და სხვა კონსტიტუციას შარიათის გარდა. მშვიდობა და დღევანდელი იმის, ვინც მისდევს ჭეშმარიტებს და და მისდევს წინასწარმეტყველის ქადაგებებს თითოეული მუსლიმანი ვალდებულია თავის ცხოვრება ანაჰს ყურანისა და სუნის მიხედვით. ისლამი მოუწოდებს თავის მქადაგებლებს მიიღონ ცოდნა და განათლება. ისლამი სცნობს სამართლიანობის გზით მოპოვებულ სიმდიდრეს. ისლამი სამართლიანობის რელიგიას. ალაჰს უყვარს სამართლიანი ხალხი. ისლამი ჯიჰადის და ცხოვრების რელიგიას. ისლამი მოუწოდებს ყველა მის მიმდევარს არ დაინანოს თავისი ქონება, ძალისხმევა და სიცოცხლეც კი ისლამის გამარჯვებისათვის. ისლამი უარყოფს პრედატორებს და იმ იდეების შემოტანას, რომლებიც ამბინჯებენ სინამდვილას და სილაბაზეს, კერძოდ სხვადასხვა სახის ბიდ'ეხს (სიხალეებს) და ცრუნებებს. ამ მხრივ, ვაჰაბიტები ეყრდნობიან მუჰამედის შემდეგ სიტყვებს: „ყოველი, ვინც შემოიტანს ჩვენში რაღაც ახალს და ჩვენივით მიუღებელს, განდევნილი იქნება ჩვენგან“ (ალ-ბუჰარა მუსლიმის ხადისი). და ასევე პრინციპს, რომ ყოველი ბიდ'ე რელიგიაში არის აკრძალული.

ვაჰაბიტების მიმდევრები მიიჩნევენ, რომ მუნაფიკები დიდ ზიანს აყენებენ ისლამს, რადგანაც მათ მიიჩნევენ ჭეშმარიტ მუსლიმანებად, თუმცა სინამდვილეში არიან ამ რელიგიის მტრები. ისინი გამოხატავენ მტრულ განწყობას ისლამის მიმართ სხვადასხვა ფორმებით, ხოლო არაკეთილსინდისიერი მუსულმანები აღნიშნულ ფორმებს დღებულად ცოდნისა და რეფორმების სახით. მუნაფიკის სხვა არსებობას: ალაჰის წარუზარებელი ცრუ შესაძლებლობა; სინასწარმეტყველი მუჰამედისადმი ზიზის გამოხატვა; სუნისადმი ზიზის გამოხატვა; ისლამის დაცემისადმი სიხარულის გამოხატვა; სუნის უგულვებელყოფა; შარიათისა და ისლამის დამარცხება.

ამავდროს ვაჰაბიტების ქვაკუთხედი დებულაა, „საღმერთო ომი“ ყველა ურჯულისა და „გზაჯდენილი მუსლიმანის“ წინააღმდეგ (მათი აზრით ჯიჰადი უ არის პირველი რიგში შერაღებულ ყოფილი ბრძოლა). თავის მხრივ ვაჰაბიტები ჯიჰადს ყოველ ოთხ ტიპად: „ჯიჰადი შაიჯანის წინააღმდეგ“, „ეს არცესი ხორციელდება ეშმაკის მიერ მოწოდებული ცდუნებებისაგან უარის თქმით; ჯიჰადი სულის (ანუ მტრის იდეოლოგიის) წინააღმდეგ; ჯიჰადი ურჯულოების წინააღმდეგ (კიაფირების); ჯიჰადი მუნაფიკების წინააღმდეგ. როგორც უკვე აღინიშნა, ვაჰაბიტების იდეოლოგია აღიარებს ჯიჰადს, როგორც ისლამის შეუქცევარი პრინციპს, წინა ხუთ აღიარებულ პრინციპთან ერთად: სარწმუნოება (შაჰადა), ლოცვა (სალიატი), მარხვა (საუმი), გადასახადი ტარიბი მუსლიმანებისათვის (ზაკატი) და მექაში სალოცავი ადგილების მოწაფეობა (ხაჯი). ვაჰაბიტები

სასტიკად კრძალავს ხაჯის ჩატარებას მუჰამედის საფლავთან, რადგანაც უარსთარეული მუსულმანებისათვის არსებობს მხოლოდ სამი წმინდა ადგილი: მექა, მედინა საუდის არაბეთში და ალაჰას მეჩეთი იერუსალიმში. რაც შეეხება მუჰამედის საფლავს, ის თითქოსდა არ არის აღნიშნული არც ყურანში და არც ხადისებში. ამამვე კონტრასტში უარყოფილ იქნა შიხა, წმინდანები, წმინდა ადგილები. ვაჰაბიტებმა რეალურად განახორციელეს წმინდა ადგილების დარბევები. ვაჰაბიტები 1808 წელს აიღეს ქ. მექა და დაარბიეს სალოცავები, არ შეეხებენ მხოლოდ ქაბას, სამაგიეროდ შეტილენს მედინაში აიშას ახალი, სადაც სამი დიდი ადამიანის განსაცენებელი იყო, სადაც ერთმანეთის გვერდით ესვენა მუჰამედი, აბუბაკრი, ომარი.

1745 წელს ერთ-ერთი საამიროს, კერძოდ, დირიას ემირმა მუჰამედ ბენ საუდმა საგანგებო პაქტიც კი გააფორმა მუჰამედ აბდულ-ვაჰაბთან. მისი იდეოლოგია ბენ საუდმა წარმოიტანა გამოიყენა საგარეო პოლიტიკაში; შემოერთებულ იქნა ნეჯდი და ჰიჯაბი (მხარეთი არაბეთის ნახევარკუნძულზე), დაარსდა საუდის არაბეთი, თავიდან იქნა აცილებული დიდი ბრიტანეთისადმი დამორჩილება. საუდინთან დინასტიამ შეინარჩუნა ქვეყნის დამოუკიდებლობა და მუჰამედ იბნ აბდულ-ვაჰაბის მიერ დაარსებული რელიგიური მიმდინარეობა სახელმწიფო იდეოლოგია გახდა. აბდულ-ვაჰაბის სხვა იდეოლოგიები, რომლებსაც ეწოდება ალინაშის ის გარემოება, რომ დღევანდელი ვაჰაბიტების დოგმატიკა ასევე აღიარებულია სახელმწიფო დონეზე გაერთიანებულ არაბთა სამიროში, კატარში, ბახრეინში, ნანილობრიც კუვეიტში და იორდანიაში.

ისლამური ფუნდამენტალიზმიც ავტომატურად ვაჰაბიტებთან გაიგივდა, რადგან ისინი ამ რეგიონებისათვის დამახასიათებელი ცენტრად იყვნენ და ადგილობრივი წეს-ჩვეულებებით და დათვებით უზად გაყვრებული ისლამის წინააღმდეგ გამოვიდნენ და ხელისუფლებასთან ერთად უკვე არსებულ სასულიერო სამმართველოებს დაუპირისპირდნენ.

ცენტრალურ აზიაში რადიკალურ ისლამს არ მიეცა ფართო გასაქანი. უზბეკეთის პრეზიდენტის ისლამ კარიერის მთავრობამ უმკაცროდ უარყოფილი მეთოდები გამოიყენა უზბეკ ვაჰაბიტების წინააღმდეგ, დახურა ყველაზე მნიშვნელოვანი არაოფიციალური მუსულმანური ცენტრები (მ.შ.

რამოდენიმე მთავარი ფუნდამენტალიზმი) და საერთოდ გააძევა ცნობილი მქადაგებლები („სულემები“). 1998 წლის 5-7 მაისს კი მოსკოვში ოფიციალური ვიზიტის შედეგად, კარიმოვა რუსეთთან ერთგვარი „თავდაცვითი ალიანსი“ შექმნა „ფუნდამენტალიზმის გავრცელების საფრთხესთან საბრძოლველად.“ ისლამ კარიმოვა და ბორის ელცინმა განაწესებულ ხელის მოქმედებას შეთანხმებისთვის, რომლის საფუძველზე რუსეთის, უზბეკეთის და ტაჯიკეთის „სამთა კავშირი“ შეიქმნებოდა. გაერთიანების ერთ-ერთი მთავარი მიზანი კი აგრესიული ნაციონალიზმის და ისლამური ფუნდამენტალიზმის საფრთხის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის წარმართვა იქნებოდა. ეს ნაბიჯი პირველ რიგში, ავღანეთში მოძრაობა თალიბანის გაძლიერებასთან და დსთ-ს სამხრეთ საზღვრებთან შესაძლო გააქტიურებასთან დაკავშირებით იყო გადადგმული.

ტაჯიკეთში საერთოდ გაურკვეველი სიტუაცია შეიქმნა ფუნდამენტალიზმთან დაკავშირებით, რადგან ისლამური ოპოზიციის სახით რასმოლოვის ხელისუფლებას წარჩინებული ფენის („იოკიბის“) - სუფიური ორდენების და სამშობლის წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ. ეს კი საერთოდ გამოიწვევა ტაჯიკი ისლამისტების ვაჰაბიტობას, რადგან ვაჰაბიტები სასტიკად ებრძვიან ყოველგვარ სხვა მიმდინარეობას. მ.შ. სუფიზმს, და ყველა არავაჰაბისტს ურჯულად („კულფარ“, „კიაფირ“) მიიჩნევენ. ტაჯიკური ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის მთავარი კაზი-კოლონის (სულიერი ლიდერი) მოკვი აქტარ ტურაჯონზოდას თქმით, ვაჰაბიტური ხელისუფლება შექმნილი სახელწოდებაა და მიერ მოწინააღმდეგება იქნა მოკონილი საბჭოთა „სუქ“-ის მიერ, თუმცა ვაჰაბიტური ჯამაათები ცენტრალურ აზიაში პირველად გამოჩნდნენ 1912 წელს ჯერ კიდევ ცარიტული რუსეთის პერიოდში.

სხვაგვარად წარმოართა ისლამიზაციის პროცესი ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ისლამის მთავარ ცენტრად და ბურჯად ისტორიულად დაღესტანი და, გარკვეულწილად, ჩეჩენეთი ითვლებოდა.

1990 წლიდან ჩეჩენეთში დუდაევის ხელისუფლების დამყარებამდე სოფელ ავტურიში ვინმე ადამ დენიევის მიერ ჩამოყალიბდა პირველი ე.წ. „ვაჰაბისტური თემი“ (ჯამაათი), რომლის საფუძველზეც იგივე დენიევის ხელმძღვანელობით აღორძინების ისლამური პარტია შეიქმნა. იმავე წელს ჩამოყალიბდა მსგავსი იდეოლოგიური ბაზის მქონე ისლამური ცენტრები ასტრახანში (ვინმე

<sup>1</sup> აღმნიშნის უფლებათა დაცველი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების („human rights“ და სხვ.) შეფასებით კარიოვის ხელისუფლების მიერ ისლამური ლიდერების წინააღმდეგ აღმრული საქმეების უზრუნველყოფა ვალდებულია. ზოგი მქადაგებელი (მაგ. აბდულაჰ კორის მემბეჩევა) მოიტყუებდა იქნა სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლების მიერ და მათი დედამდე გაურკვევლია. 1997 წლის დეკემბრის ნამდვიანის ოქმში ახლანდელი ორგანიზაცია „ვაჰაბისტის“ გავრცელების ბრალდებით, რის გამოც მრავალმა თეოლოგმა და რელიგიურმა ლიდერმა დატოვა უზბეკეთი და ემიგრაციაში წავიდა.

აიუბის მეთაურობით) და დაღესტანში - მახაჩყალაში (ისლამური ცენტრი „კავკასია“) და კიზილ-იურთში (ინაშე მოლა ბაჰაუდინ მაგომედის და მუჰამედ შაფიჯაჯანიშვილის მიერ).

1991 წლის ზაფხულში ჩეჩნეთში ჯოხარ დუდაევის ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ტრადიციული ისლამის სუფიური მიმართულების პარალელურად, გავრცელდა რელიგიური მოძრაობა, რომელსაც პირობითად „ვაჰაბიზმი“<sup>2</sup> ეწოდება. იმ დროს პირველი უცხოელი მქადაგებელი ჩეჩნეთში იორდანის პარლამენტის წევრი, იორდანელი უზუფეხი აბდულ ზაჰი იყი. მართალია იგი ვერ შეენყო დაედაევის ხელისუფლებას, მაგრამ ვაჰაბიზმს ჩეჩნეთში მან კარგი საფუძველი შეუქმნა.

შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, ვაჰაბიზმმა გარკვეული საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის ფორმის დატვირთვაც მიიღო, რადგან ამით რუსეთისაგან სუვერის პროცესის გაძლიერების შემთხვევაში არა მარტო ტრადიციული ისლამური ქვეყნებისაგან გახდებოდა შესაძლებელი სოლიდარობის და დახმარების მიღება, არამედ ფუნდამენტალური ისლამის გავრცელების ქვეყნებისგან და ისლამისტური მოძრაობებისგანაც, რომლებიც ამავე დროს ან მიმდართი ფინანსური შესაძლებლობებით, ან მობილური და ტარბი სამხედრო რესურსებით გამოირჩეოდნენ (საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, კატარი, სუდანი, ავღანეთი, გარკვეულწილად იორდანია და ქუვეიტის). დუდაევის ხელისუფლების მიერ ვაჰაბიზმის გავრცელებისათვის მზარის დაჭერა იმითაც აისხნებოდა, რომ ჩეჩნურ საზოგადოებას რუსეთთან მოსალოდნელი სამხედრო დაპირისპირების წინ გამაფრთხილებელი და შემკვერელი იდეოლოგია სჭირდებოდა<sup>3</sup>.

სწორედ ამ პერიოდში იწყება ე.წ. ვაჰაბიტების და ვაჰაბიზმის ფიგურირება კავკასიის, განსაკუთრებით კი ჩრდილო კავკასიის ალმო-

საკლეთ ნაწილთან მიმართებაში<sup>4</sup>. შუა აზიაში უზბეკეთის ხელისუფლების მიერ გატარებული რეპრესიებისა და ტაჯიკეთში მეტწილად შიდა სტაბილურობის დამყარების შემდეგ, რადიკალური ისლამის საფრთხემ დროებით დაკარგა თავისი სიმწვავე. მაგრამ დაღესტანში და, განსაკუთრებით, ჩეჩნეთში დაწყებული ეროვნული მოძრაობის და სამხედრო-პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად, ისლამური ფუნდამენტალიზმის როლი და მნიშვნელობა კავკასიის რეგიონში უფრო მეტად გაიზარდა.

ვაჰაბიზმის თემის გამწვავება განსაკუთრებით ჩეჩნეთის 1994-96 წ.წ. საომარი კამპანიისას დაიწყო. ამჯერად ვაჰაბიზმის იდეოლოგიურმა ცენტრებმა ჩეჩნეთის ფარგლებს გარეთ, დაღესტანში და ინგუშეთში გადაინაცვლეს, სადაც ისინი კვლავ განაგრძობდნენ თავის ფუნქციონირებას და შეთავსებით ჩეჩნეთის ხელისუფლების პროპაგანდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღის როლსაც ასრულებდნენ.

დუდაევის ხელისუფლებასა და რუსეთის შორის დაძაბულობის ზრდასთან ერთად სულ უფრო მატულობდა საზღვარგარეთიდან ჩამოსულთა რიცხვი, რომელთა დაყოფა პირობითად 4 კატეგორიად შეიძლება. ჩამოსულებმა შემდგომ ხელი შეუწყვეს ისლამური რადიკალიზმის პოპულარზაციას რესპუბლიკაში და მთლიანად რეგონზეც მოახდინეს ზეგავლენა:

1. საზღვარგარეთ ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენლები, რომელთაც თავისი წვლილის შეტანა სურდათ სამშობლოსთვის და მოუკიდებლობის მოპოვების საქმეში. მათი უმრავლესობა თურქეთის გარდა არაბული ქვეყნებიდან (სირია, იორდანია, ლიბანი და სხვ.) იყვნენ და ნაწილი უკვე იზიარებდა რადიკალური ისლამის სხვადასხვა მიმდინარეობებს, მ.შ. ვაჰაბიზმს.

2. საზღვარგარეთ, ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა თეოლოგიურ სასწავლებლებში (ეკვიპტე, საუდის არაბეთი, პაკისტანი) წასული ახალგა-

ზრდები, რომლებიც შემდეგ უკან დაბრუნდნენ და არაბეთში გავრცელებული ისლამისაგან მკვეთრად განსხვავებული, ისლამის ადგილობრივი სახეობას დაუპირისპირდნენ ჩეჩნეთსა და დაღესტანში.

3. უცხოელი თეოლოგები და მქადაგებლები, რომელთა დიდი ნაწილი უცხოელი სპეცსამსახურებზე მუშაობდა და რომელნიც ძალზედ ღრმად იყვნენ განსწავლულნი ისლამის თეორიაში. ამიტომაც მათი რიცხვი ძალზედ მცირე იყო და საომარ მოქმედებათა დაწყებასთან ერთად მინიმუმამდე დავიდა. ზოგი მათგანი დარჩა ჩეჩნეთში (მაგალითად, მუჰამად იუსეფ აბუ უმარი, ანვარ ახმად იუსეფ ბაქარ შიშანი, ჰამზატ შიშანი და სხვ.) და საქმიო ავტორიტეტი მოიპოვა, ზოგი კი მიმდებარე რესპუბლიკებში გადავიდა. დაღესტანში ესეთები იყვნენ სალაჰუდინ და მოჰამად შარიფი.

4. ახლო აღმოსავლეთის და სხვა ქვეყანათა სპეცსამსახურების წარმომადგენლები, რომლებიც კარგად იყვნენ იდეოლოგიურად მომზადებული. მათ ჩეჩნეთში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე სამშობლოდან მიღებული სახსრებით ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან ყველაზე უკეთ ეკვიპირებული და განვითარებული ჩამოყალიბების (ხაბაბი, ფატიხი, აბდულმალიქი და სხვ.). ასეთი რაზმების თითქმის ყველა წევრი (ძირითადად ახალგაზრდობა) ეზიარა „წმინდა ისლამს“ ე.წ. ვაჰაბიზმის სახით, რითაც მათ საქმიო მყარი დასაყრდენი შეუქმნეს უცხოელ ისლამისტებს ჩეჩნურ საზოგადოებაში და ხალხის დანარჩენ, ტრადიციული ისლამის მიმდევარ ნაწილსაც ჩაუღუნენ ოპორტიკიში.

ფუნდამენტალისტებთა რიგებში ჩადგომა განსაკუთრებით პოპულარული გახდა 1996 წლის აგვისტოში გროზნოს ალექსისა და საომარი კამპანიის შეწყვეტის შემდეგ, რაც რამოდენიმე ფაქტორით იყო გამოწვეული. საბრძოლო მოქმედებები რუსეთის ჯარების წინააღმდეგ ისლამური ლოზუნგების ქვეშ მიმდინარეობდა და გამარჯვებაც, ახალი ისლამის“ ძველ ტრადიციულ და კონფორმისტულ ისლამზე უპირატესობის მოპოვება უნდა ყოფილიყო.

ჩეჩნების დიდი ნაწილი (ისეთივე მუსულმანები, როგორც ბოვიკეები) რუსეთის ჯარების კონტროლ ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ცხოვრობდა და ნაკლებად აქტიურ მონაწილეობას იღებდა

საომარ მოქმედებებში, ხოლო აბსოლუტურად ყველა ჩეჩენი თუ უცხოელი ვაჰაბიტი განსაკუთრებული თავგანწირვით იბრძოდა რუსეთის ჯარების წინააღმდეგ.

გროზნოს ალექსის შემდეგ მებრძოლი ჩეჩნები მკვეთრად განასხვავდნენ თავის თავს დანარჩენებისაგან. მ.შ. ისლამის წესების უფრო მკაცრი დაცვითა და სხვებისაგან იცივს მოთხოვნითაც. ხშირად ამით იყო განპირობებული, რომ თავდაპირველად ჩეჩნთა უმრავლესობა მეტწილად ითმენდა ვაჰაბიტების სასტიკ დასჯეულ ღონისძიებებს წარიათის დამრღვევი გროზნოელების წინააღმდეგ ახლად აღებულ გროზნოს ქუჩებში<sup>5</sup>.

მაგრამ უკვე 1997 წლის თებერვალში ასლან მასხადოვის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ის ძირითადი როლი გამოიკვთა, რომელსაც ვაჰაბიზმი თამაშობს ჩეჩნეთის ოფიციალური ხელისუფლების პოზიციების დასუსტებაში, ვითარების დესტაბილიზაციაში, მთლიანობაში კი - ჩეჩნების შიდა დაპირისპირების და მუდმივი ვახლენის ხელშეწყობის საქმეში.

მასხადოვის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ჩეჩნების პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა ელცაში ბუნებრივი დაყოფა მოხდა პრეზიდენტის მომხრეებად და ოპოზიციონერებად. ზღლიშან იანფარბიევი (რესპუბლიკის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდენტი) და მოვლად უდულოვი (ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი), შამილ ბასაევეთან (ყოფილი პრემიერ-მინისტრი) და სალმან რადუევეთან ერთად ასლან მასხადოვს დაუპირისპირდა. თუ პირველი ორი პიროვნება უფრო იდეოლოგიურ დიდებობას ესწრაფვოდა, დანარჩენი ორი ოპოზიციის სამხედრო მზარეს წარმოადგენდნენ. ოპოზიციონერთა გაძლიერებას მათი ლიდერების და ისლამური ფორმირებების ხელმძღვანელების მჭიდრო კონტაქტებით უწყობდა ხელს.

თუ პრემიერ-მინისტრად ყოფნისას ბასაევი ერთდებოდა ისლამისტებთან თავისი მეგობრული ურთიერთობების ავიზირებას, უკვე 1998 წლის 3 ივლისს გადადგომისთანავე შამილ ბასაევეს მოვლადენ უდულოვთან ერთად ჩაატარა დაღესტნის და იჩქერიის ხალხთა კონგრესის ერობრივი სამშვიდობო ბაქტილიონ „კავკასიის“ (700-ზე მეტი მებრძოლი) სამხედრო სერთები,

<sup>2</sup> გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თეოლოგი და აღმს. დაღესტანის ახმედოვი ახტევეს (ხოუ კუდოღინ) შემდეგ განხრტება მოცა ვაჰაბიზმს „ეს ორლიყო, რომელიც ურეკო ხანაშენისისგან სოჯეკ ძალზედ განსხვავებულ ისლამურ დაჯგუფებას მოკერებდა. ე.წ. ვაჰაბიტების ჩრდილოეთ კავკასიაში წინამძღუდნი შეუძლება ყწოლად განსახილველნი“ ( სხვადასხვა ისტორიულ პერიოდების იმ რელიგიურ მოღვაწეთა კრებაში სახელად, რომლებიც მუროღებდნენ პირველად ისლამური თემის ცხოვრების წესების დამრუხებისკენ) ან ფუნდამენტალისტები“. მოუხდავად მრავალად გაეკეთებულ განმარტებებსა, ტერმინი „ვაჰაბიზმი“ მაინც დამკვიდრდა ჩრდილოკავკასიულ ისლამურ რადიკალისტთან მიმართებაში.  
<sup>3</sup> მოუხდავად იმისა, რომ ჩეჩნების უმრავლესობა ადიარებს ისლამს, ჩეჩნური საზოგადოება დაყოფილია მრავალ კლანებად - ტეკიებად და ტუკუმებად, რომელთა წარმომადგენლები თავის შხრავ მრავალ რელიგიურ (ისლამურ) ორდენებში და სამსოგებში - „ვირდებში“ არიან გაერთიანებული. ეს, ძირითადად, სუფიური ორდენებია, რომლის მიმდევრებიც გარკვეული რიტუალის შესრულებით ცდილობენ „ალაჰთან დაახლოებას და მის დეთაბრებ ბუნებასთან შეწყობას“. ხშირად მათ „ხეჩრისტებსაც“ უწოდებენ, რადგან მთავარ რიტუალს სარკადურ ცეკვა „ხეჩირ“ წარმოადგენს. ვირდის წევრები უსიტყვოდ უნდა დაქორთხდნენ თავის ლიდერებს - შეიტების და ბოლომდე თავისი ორდენის ერთგული უნდა დარჩნენ. ამას ვსაძერგს ჩეჩნებში მძღვარულ მოკიდებული ავათის წესიც, რომელიც ხშირად ისლამის ნორმებთან შედის წინააღმდეგობაში, რაც ასევე ასუსტებს გამართიანებელი იდეოლოგიის - ისლამის სიმტკიცეს ხალხში.

<sup>4</sup> 1989 წელს დაიწყო პირველი დაპირისპირება ისლამის მიმდევართა შორის დაღესტანში. კერძოდ შირწუნეთა ერთმა ჯგუფმა „ანტიმუსულმანური“ უწოდა ჩრდილოეთ კავკასიის მუსულმანთა სასულიერო საწარმოებელს დაიპყრობის 1991 წლის 13 ივნისს მახაჩყალაში შირწუნეთა დემონსტრაცია და მინისტრთა მჯდობის შედეგად მოხდა სასულიერო და მონაწილე აშის შედეგად 1991 წელს „თანიკური“ შეფერობის 12 ნაწილად (სამშობრივად) დაიშალა ჩრდილოეთ კავკასიის მუსულმანთა სასულიერო საწარმოელო.

<sup>5</sup> ხელ პირველად შარიათის ნორმების დარღვევისთვის (აღკაცებულ სახელად დაღვევ) გაროსკეთი იქნენ დახვდნი ყვენის რამდენიმე მაცხოვრებელი 1995 წელს. შემდეგ დასჯემა მასობრივი სახალი მთელი განსაკუთრებით ვაჰაბიტების შემდეგ დასჯა უწრ აჯად დაღესტნის ჩრდილოეთი ჩეჩნების შუგტი მ-ხ. აღსაკაცევი (80 დარტემა ჯოთი). იგივე სასჯელის შედეგად გარდაიცვალა ჩეჩნეთში გაჩენილი მომდევნო აჯერ დაღესტანელი, რამაც მოახლებების აღშუთება გათსწყია.

<sup>6</sup> ზღლიშან იანფარბიევი ყოველთვის გამთინუვდა ავათის სიმამოებთან ისლამური რადიკალისტებისა, რომლის ერთ-ერთი მიდევრდაც ჩამოყალიბდა პოსტკომუნისტურ პერიოდში. სწორედ მისი ინიციატივით იქნა მიღებული 1996 წელს ჩეჩნეთის ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც თითქმის იფიტურის სუბანში არსებულდასა და ძირითადი შარიათის კუფონია. იანფარბიევი ხელმძღვანელობს „კავკასიურ ხალხსაც“, რომლის მიზანი ძირითადად მუსულმანთა გაერთიანება კავკასიაში.

რაც შეეხება მოვლად უდულოვის იგი უკვე საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს ხელმძღვანელობდა საკუთარ შირობას „ისლამურ წესებს“, ხოლო 1997 წლის აგვისტოში - საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციას „ხელაფიკი უზან“ („უკან“). თემი, საზოგადოება, ერთობა, რომლის დაარსებამ ჩეჩნეთის და დაღესტნის 35-მდე ისლამურმა პარტიამ და მოძრაობამ მიიღო მინვალიება.

რომლის უშუალო ხელმძღვანელად საუდელი ვაჰაბისტი პატაბი დაინიშნა. რაც შეეხება სალმან რადუევს, მისი დამოკიდებულება ვაჰაბისტების მიმართ უფრო შექმნილი კონიუნქტურით განისაზღვრება, ვიდრე მდგრადი ჩამოყალიბებული პროცითი და დამოკიდებულებით. ერთ დროს მან თავის მოსახლე მტრადაც კი გამოაცხადა პატაბი, მაგრამ შაიხი ბასაევის მთავრობიდან წასვლისა და ასლან მასხადლოვთან დაპირისპირების შედეგად მისმა ანტივაჰაბისტურმა განწყობამ საგრძნობლად აცოკო.

დაპირისპირება მასხადლოვის მომხრეებსა და ოპოზიციას-ისლამისტებს შორის ფარულ, გამოუცხადებელ ომში გადაიზარდა, რასაც მთელი 1998 წლის გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეენიდა.

საგულისხმოა ერთი საინტერესო ფაქტიც, რომელიც უშუალოდ უკავშირდება საქართველოს.



ასეთი სახის სტრატეგია ადრე კარგად გამოსცადეს გვატემალაში, სლავადორსა და პონდურასში. ამავე დროს აშშ ცდილობდა აღნიშნულ ქვეყნებში შეექმნა შესაბამისი პოლიტიკური სხვა „ურჩი“ ქვეყნის სანინაღმდეგოდ. პირველ რიგში ეს ეხებოდა კუბასა და ნიკარაგუას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეცვლილია მხოლოდ „ისრის მიმართულება“, რადიკალ-მარქსისტებს რადიკალ-ისლამისტები ჩანაცვლენ. კონკრეტული სახელმწიფოების ნაცვლად კი განჩნდა ჩეჩნეთის სეპარატისტული ხელისუფლება, უფრო სწორად კი, მისი რადიკალურად განწყობილი ვაჰაბიტური დაჯგუფებები.

სხვათა შორის ამერიკული „სტარდ ფორცის“ და „რენდ კორპორეიშენის“ ანალიტიკოსები ასახელებენ შემდეგ სავარუდო მიზნებს საქართველოში ანტიტერორისტული მესამე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით:

- კავკასიის რეგიონში გეოპოლიტიკური სტატუს-ქვოს დამკვიდრება და სათანადო სამხედრო-პოლიტიკური პლაცდარმის გამაგრება იგივე თუნდაც ისლამისტებთან ბრძოლის საბაბით;
- კასპიის ენერჯორესურსების საერთაშორისო ბაზრებზე მინოდების მარშრუტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ნომინალური საბაზის გამოყენება;

• არასტაბილურ ევრაზიაში სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის შესაბამისი წინამოსამზადებელი პროცესის დაწყება. მით უფრო როდესაც, 2015 წლისათვის აშშ-ის ცენტრალური სადაზვერეო სამმართველოს ანალიტიკოსები ამ სივრცეს, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის მხრივ, მეტად „არასაიმედოდ“ ასახელებენ; უკვე ამ ეტაპზე, ოპერატიულ-ტაქტიკური ამოცანების განხორციელება, რაც გამოიხატება საქართველოს ტერიტორიის გამოყენებაში აშშ-ის ამჟამინდელი მონინაღმდეგე-სახელმწიფოების წინააღმდეგ. პირველ რიგში, ეს ეხება ვაშინგტონისათვის უკვე ქრონიკულ მტერს - ერასს, რომლის ხელისუფლება ასევე ეჭმიტანია უსამაბენ ლადენტან კავშირში და რომლის წინააღმდეგაც ვაშინგტონი აპირებს საომარი კამპანიის გაჩაღებას.

როგორც ჩანს, კავკასიაში მესამე ანტიტერორისტული ფრონტის გახსნით, ვაშინგტონი ახორციელებს უფრო დიდ სტრატეგიულ მიზანს - ანტიტერორისტული საერთაშორისო კამპანიის დაწყებას ბალდადის წინააღმდეგ, ავღანური „თალიბანის“ დაძლევის შემდეგ. ამ მიზნის მისაღწევად კი ვაშინგტონს ჰაეროვით ესაჭიროება არსებული სამხედრო-საჰაერო ბაზების გამოყენება, რადგანაც თურქეთ-ერასის სიახლოვეს

განლაგებული ინფრლიკის სამხედრო-საჰაერო ბაზა სრულმასშტაბიანი საომარი კამპანიის წარმართვის შემთხვევაში არასაკმარისი იქნება. ამასთან, გასათვალისწინებელია საქართველოს გეოგრაფიულ-ტერიტორიული სიახლოვე ერასთან, რაც აშშ-ის საჰაერო ძალებს უქმნის იდეალურ პირობებს. საქართველოსა და ერასს შორის არსებული მანძილი დაახლოებით შეადგენს 1000-1500 კმ-ს, ეს კი კარგი პირობებია საშტურმო-საფრონტო მომდამშენებისა და ტაქტიკური სარაკეტო სისტემების მოქმედებისათვის. ამიტომაც, გამოირიცხული არ არის პანკისის ხეობის სავარაუდო ოპერაცია იყოს ერთგვარი პრელუდია ვაშინგტონის დიდი სტრატეგიული თამაშების განხორციელების საქმეში.

ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს, შეიძლება დაეუმატოთ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რაც გასათვალისწინებელია როგორც ფსიქოლოგიური ფაქტორი, კერძოდ ის გარემოება, რომ „თალიბანის“ მხარეზე იბმოდნენ ჩეჩენი მეომრები. ვაშინგტონისათვის მნიშვნელოვან გარემოებას, სწორედ ეს ფაქტი შეადგენდა, მით უფრო როდესაც ჩეჩენები „თალიბანისა“ და აღქაიდას დამრტყმელ ძალებს წარმოადგენდნენ. ამიტომაც ამერიკელებისათვის პანკისის ოპერაცია იქნება ერთგვარი, „პრესტიჟის“ საქმე, რათა დაისაჯოს ის ძალები, რომლებიც ხელს უშლიდნენ მათ ისლამისტებთან ბრძოლებში.

\* \* \*

*საერთო ჯამში, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელებას კავკასიაში ე. „ვაჰაბიზმის“ სახით საქაოლ რეალური შანსები გააჩნია. ეს განპირობებულია იმიტაც, რომ ეს მოძრაობა ყველაზე მეტ მხარდაჭერას მოსახლეობის სოციალურად და ეკონომიკურად ყველაზე დაუცველ ფენებში პოულობს. განსაკუთრებით ეს ეხება სოფლის მოსახლეობას. ის გამოირიცხავს თემის ქონებრივ და სოციალურ დიფერენციაციას, ხელს უწყობს თემის და მის ნევრთა პარმონიულ და თანასწორ განვითარებას. ყველაზე წარმატებით ვაჰაბიზმის გავრცელება სოციალურ-ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ რეგიონებშია მოსალოდნელი. სწორედ ამიტომ, ისლამის ამ მიმდინარეობამ ჩეჩნეთსა და დაღესტანში<sup>11</sup> უფრო კმოვა მხარდაჭერა, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკებში. გარდა ამისა, სხვა რელიგიური მიმდინარეობებისაგან განსხვავებით, ვაჰაბიზმს მძლავრი გარე ფინანსური წყაროები გააჩნია, რაც ხელს უწყობს მის პოპულარიზაციას და ფენმო-*

*კიდებას ხალხში. იმის მიუხედავად, რომ აღნიშნულმა რელიგიურმა მიმდინარეობამ დროებით განიცადა დაღმავლობა გარკვეული გეოპოლიტიკური მოვლენების გათვალისწინებით, ის კვალავ წარმოადგენს ერთ-ერთ მძლავრ პოტენციალს, მოსტ-საბჭოთა სივრცეში პანტინგტონისეულ ცივილიზაციათა შეჯახების მოდელის განვითარების საქმეში, რომელსაც, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს უახლოესი დეკადის პერიოდში.*

*საქართველოში ვაჰაბიზმს ნაკლებად აქვს გავრცელების პერსპექტივა, თუმცა მისგან მომდინარე საფრთხე სასებებით რეალურია და გასათვალისწინებელი. ეს საფრთხე შეიძლება ემუქრებოდეს ქვეყანას ფარგლებს გარედან (ჩეჩნეთი, დაღესტანი) და შიგნიდანაც (ძირითადად, პანკისის ხეობა), თუმცა დროული პრევენტიული და წინასწარ გააზრებული ზომების მიღების შემთხვევაში, მისი მნიშვნელობა, შეიძლება, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.*

ვახტანგ მაისაია  
პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

<sup>11</sup> დაღესტანის რესპუბლიკური ბიუჯეტი თითქმის 80% დიტაციურია ფედერალური ცენტრიდან, ხოლო ჩეჩნეთის პოსტკონფლიქტური ეკონომიკა ტოტალურად არის მომდელი, რაც კატასტროფულად ზრდის ფენების პარენალიზაციას და ისლამისტების პოტენციურ მიმხრეთა რიცხს.

ღანარო XI

უსამა ბენ ლადენის ბიოგრაფია

უსამა ბენ მოჰამედ ბენ ლადენი დაიბადა საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადში 1957 წელს. წარმოშობით მისი ოჯახი იემენიდან იყო. ბენ ლადენის მამა დაუახლოვდა საუდის არაბეთის სამეფო ოჯახს და შესძლო სანავთობო და საამშენებლო ბიზნესის წყალობით დიდი კაპიტალის შეგროვება. მას ჰყავდა საკმარისი ბევრი შვილი. ბენ ლადენი მას შეეძინა უძველესი არაბული წარმომავლობიდან გამოსული ერთ-ერთი მუულისსკანან, რომელიც გამოირჩეოდა ისლამური ფანატიზმით. ბენ ლადენმა ქ. ჯიდადში დაამთავრა სამეფო სკოლა და უნივერსიტეტი. სწავლა გააგრძელა ინგლისის ერთ-ერთ უნივერსიტეტში სანიუნრო ფაკულტეტზე. სამშობლოში დაბრუნებისას მან სააამშენებლო საოჯახო ბიზნესში კვანკა 250 მლნ. დოლარი, მაგრამ მალევე დაანება ამ ხელობას თავი და მთლიანად გადავიდა პოლიტიკურ-რელიგიურ სარბიელზე.

1979-89 წ. არაბ დაქირავებულ მებრძოლ რაზმთან ერთად, რომელიც მისივე დაფინანსებით შეიქმნა, ბენ ლადენი ჩავიდა ავღანეთში საბჭოთა ჯარებთან საბრძოლველად. იმავე პერიოდში ის აქტიურად თანამშრომლობდა პაკისტანის და დასავლეთის სპეცსამსახურებთან (მ.შ. ამერიკულთანაც), რომლებიც მას იარაღითა და ფულით ამარაგებდნენ. როგორც ჩანს, მათივე დაავლებით 1985-86 წ. გამოჩნდა მშობლიურ ქვეყანა - სამხრეთ იემენში, სადაც სამოქალაქო ომის შედეგად დამბობილი იქნა პროსაბჭოთა რეჟიმი.

1989 წელს ბენ ლადენი დაბრუნდა საუდის არაბეთში და გააგრძელა თავისი ბიზნესი, რითაც საკუთარი შემოსავალი გაზარდა 2-დან 5 მლრდ. აშშ დოლარამდე. ამის შემდეგ 1991 წელს გამოჩნდა ფუნდამენტალისტურ სუდანში, სადაც ბიზნესთან ერთად, ეწეოდა ისლამისტურ რადიკალური ორიენტაციის ტერორისტული დაჯგუფებათა აქტიურ დაფინანსებას, ძირითადად მალრიბისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

მას შემდეგ რაც ამერიკელებმა განახორციელეს ზენოლა ერ-რიადის ხელისუფლებაზე, ბენ ლადენს ჩამოართვეს ქვეყნის მოქალაქეობა, გაუყინეს საბანკო აქტივების ნახევარი და ამის შემდეგ ის, თავისი ოჯახით, იძულებული შეიქმნა გადაბარებულიყო ავღანეთში. ბენ ლდენი შეიქმნა მოქალაქეობა „თალიბანის“ ერთ-ერთი ფინანსირის სპონსორი. ადგილსამყოფელად ქ. ყანდაერი შეარჩია, სადაც საკუთარი შტაბ-ბინა ალჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით (მაგალითად: თანამგზავრული სატელეკომუნიკაციო ქსელი და ა.შ.).

1994 წლიდან ბენ ლადენი გადავიდა აქტიურ ანტიამერიკულ მოზიციებზე. მის სახელს უკავშირებენ ისეთ ტერორისტულ აქტებს, როგორებიცაა ერ-რიადსა და ელ-შობარაში ჩატარებული აფეთქებები - მიმართული ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების სანიანაღმდეგოდ, ეგვიპტის საელჩოს აფეთქება ისლამაბადში, ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაკზე წარუმატებელი თავდასხმა და ბოლოს ნიუ-იორკის სავაჭრო ცენტრის აფეთქების ორგანიზება. მიუხედავად ასეთი ქმედებებისა ბენ ლადენთან კონფრონტაციას თავს არიდებენ პაკისტანის და საუდის არაბეთის ხელისუფალინი.

1997 წლის მაისში ბენ ლადენმა ამერიკელებს გამოუცხადა ჯიჰადი და რეალური ნაბიჯებიც გადადგა ამ მიმართულებით. კერძოდ, გასული წლის აგვისტოში კენიასა და ტანზანიაში განხორციელდა მძლავრი აფეთქებანი აშშ-ის საელჩოებში, რის შედეგადაც დაიღუპა რამოდენიმე ათეული ადამიანი (მ.შ. ამერიკელი მოქალაქეები). ამის საპასუხოდ აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა განახორციელეს სარაკეტო დარტყმები ბენ ლადენის სამხედრო და სამრეწველო ობიექტებზე ავღანეთსა და სუდანში. დადგინათვის ეს პროცენტბა მსოფლიო მასშტაბის ნომერ პირველ ტერორისტადაა გამოცხადებული. ბენ ლადენისა და მისი მომხრეების მიერ განხორციელებული ერთ-ერთი უკანასკნელი გახმაურებული ტერორისტული აქტია - ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში 2001 წლის 11 სექტემბერს დატრიალებული ტრაგედია.

ბოლო პერიოდში გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბენ ლადენს დაინტერესებს ზონაში შევიდა კავკასიის რეგიონიც. დაუზუსტებელი მონაცემებით, ის რამოდენიმეჯერ ეწვია ჩრდილოეთ კავკასიას (უფრო ზუსტად ჩეჩნეთს). მას გააჩნია საკმარისი სასწრაფო დოკუმენტი - დივერსიული ბაზები სამხრეთ ევროპის, საშუალო და ახლო აღმოსავლეთის და მალრიბის ქვეყნებში (მაგალითად: ალბანეთი, ავღანეთი, სუდანი, იემენი და ა.შ.). გამოირცხული არ არის, რომ მისი ემისიები და ინსტრუქტორები ახლო მომავალში გამოჩნდნენ სოფელ აეტურის ან დედენოს სანკრთელ ბაზებზე, რომლებიც შეიძლება გადაიქცეს დასაყრდენ ცენტრებად.

ღანარო X

„ალ-ქაიდას“ ტერორისტული აქციების ქრონიკა

1992 წ., იემენი - ლადენის მებრძოლები ახორციელებენ თავდასხმას ამერიკულ ტურისტებზე; 1992 წ., სომალი - თავდასხმის განხორციელება სომალიში მყოფ ამერიკელ მშვიდობის-დამცველებზე, რომლებიც ახორციელებდნენ ოპერაციას „იმდის დაბრუნება“;

1995 წ., ეთიოპია - „ალ-ქაიდას“ მებრძოლები ესმარებიან ეგვიპტელ ტერორისტებს განახორციელონ თავდასხმის მცდელობა ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაკზე;

1995 წ., პაკისტანი - ეგვიპტური ორგანიზაცია „ალ-ჯიჰადი“, „ალ-ქაიდასთან“ მჭიდრო თანამშრომლობით, ახორციელებს აფეთქებებს ეგვიპტის საელჩოსთან პაკისტანში. იღუპება 20 ადამიანი; 1995 წ., საუდის არაბეთი - „ალ-ქაიდას“ მებრძოლები ახორციელებენ დივერსიას ერ-რიადში განლაგებული აშშ-ის სამხედრო ცენტრის ნინაღმდეგ;

1996 წ., საუდის არაბეთი, დაპრანი - უკვე „ფრონტის“ ერთ-ერთი სამხედრო დაჯგუფება ახორციელებს აფეთქებას აშშ-ს სამხედრო ობიექტის სიახლოვეს;

1998 წლის თებერვალი - უსამა ბენ ლადენი აქვეყნებს ფეტვას (მიმართვას) თავის მომხრეებისადმი - მსოფლიოს ყველა მხარეში თავს დაესხან ამერიკულ სამხედროებსა და მოქალაქეებს;

1998 წ. - კენიასა და ტანზანიაში აშშ-ს სალჩოების ნინაღმდეგ ჩატარებული ტერაქტების შედეგად იღუპება ასეულობით ადამიანი;

2001 წლის 11 სექტემბერი - ტერორისტული აქტები ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში, რომლის შედეგადაც იღუპება 5 ათასზე მეტი ადამიანი.

ღანარო XI

1996-2001 წლებში ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში მოქმედი „ინტერისტული“ ისლამური სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფებების დახასიათება

„დალესტნის ჯიჰადის არმია.“ დალესტნის „კავაბიტური“ მოძრაობის ედიტორული გასამხედროებული ფორმირება, რომელიც ცნობილია როგორც „დალესტნის ჯიჰადის ისლამური არმია“, „კავაბიტური ისლამური არმია“, „დალესტნის ისლამური სამთავრობო ძალები“, სავარაუდოდ შედიოდა „იჩკერიის და დალესტნის ხალხთა კონგრესის“ შეიარაღებული ფორმირებების შემადგენლობაში. ეს შეიარაღებული ფორმირება დაარსდა 1997 წელს. სამხედრო-პოლიტიკური ლიდერები: ამირი ბაგაუტდინ მაგომედოვი (ყიზილიურტელი), სირაჯუტდინ რაბაზანოვი. საველე მეთაურები: მაგომედ ასლუტდინოვი, შამილ „გერგებელი“. პირადი შემადგენლობის რაოდენობა - 500-მდე მებრძოლი (დალესტნელები და აკინელი ჩეჩნები). რაოდენობრივი დანაკარგი განიცადა 1999 წლის აგვისტოში ცუშმადინისა და ბოტლიხის რაიონებში შეჭრისა და შემდგომში მორე ჩეჩნური კამპანიის წარმოებისას. ორგანიზაცია: 16 „ფრონტი“ (მათ რიცხვში ცენტრალური). ფორმირების ფარგლებში მოქმედებდა ცალკეული „ბატალიონი“ შექმნილი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე და რომელც თავის შირიკ შედიოდა „ჩრდილოეთ კავკასიის განმათავისუფლებელი არმიის შემადგენლობაში.“ ამავე ფორმირების ბაზაზე მოქმედებდა „სახელმწიფო უშიშროების სამსახური - მუხაბარათი.“ შეიარაღება: ძირითადად მსუბუქი ცეცხლსასროლი და ტანკსანიღმდეგო შეიარაღება (რაოდენობა და ტიპი გაურკვევლია). დალესტანში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების მიმდინარეობისას დაფიქსირდა 2 ჯგუფანტრანსპორტიორის ბტრ-60, ერთი 1100 მმ-იანი ტ-12 ტიპის ქვემეხი, სამხედრო ერთეული ზუ-23 ტიპის პაერსანიანაღმდეგო დანადგარი. მუდმივი საბაზო რაიონი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე: ავარულიებით დასახლებული პუნქტი კენიბი, დასახლებული პუნქტი - შატრი (შტაბი, საწყობები, სატელევიზიო ცენტრი თავისი გადაცემით). საოპერაციო რაიონები: ჩეჩნეთის აღმოსავლეთი ზონა - ურუშ-მარტანის რაიონი, დალესტნის ზონა - ყიზილურტის, ბოთლიხის, ცუშმადინის რაიონები. კადრების მომზადება: ხორციელდებოდა ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და პაკისტანში. მომზადების პრიორიტეტული მიმართულება - დივერსიული ოპერაციები. სასწავლო პროგრამებთან ერთად მებრძოლები გადაიღდნენ მორალურ-ფსიქოლოგიურ და რელიგიურ მომზადებას. კოორდინაცია და კონტაქტები: ჩეჩნურ და დალესტნურ ანალოგიურ შეიარაღებულ ფორმირებებთან და ასევე შეიარაღებულ ფორმირებებთან, აგენრალ დუდავეის არმიასთან.

ამჟამად ფორმირების სტატუსი ცნობილი არ არის. მებრძოლთა ცალკეული ჯგუფები დაფიქსირებული იყო 1999 წლის დეკემბრის გროზნიში ჩეჩნური ფორმირებების მიერ წარმოებული თავდაცვითი ოპერაციებისას („დალესტნური ჯამაატური დაჯგუფების“ სახელწოდებით). არსებული მონაცემებით

2000 წლის მარტის პირველი დეკადისათვის ჩეჩნეთისა და დაღესტნის ტერიტორიებზე მოქმედებდა 1300 მეტრძოლი. საბრძოლო დანაკარგები 1999 წლის ოქტომბერსა და 2000 წლის თებერვლის პერიოდში შეადგენდა 70 მოკლულ მოჯახედინს (მათ შორის 2საველე მეთაურს).

„ჩეჩნეთის ისლამური ჯამაათი.“ ჩეჩნეთის ისლამური ჯამაათის შეიარაღებული ფორმირება („ჯამა ალ-ისლამი“), რომელიც ცნობილია, როგორც „კავკასიის ისლამური არმია“, „მუსლიმანური კავკასიის არმია“, „ურუს-მარტანის ჯამაათი“, წარმოადგენს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე 1994-96 წ.წ. სამომარი მოქმედებების არსებული შეიარაღებული ფორმირებების კონგლომერატს, რომლებიც შედიოდნენ ვაშაბატური სამხედრო სარზმების გავალი კვეშ, მაგრამ არ იმყოფებოდნენ იჩქერიისა და დაღესტნის ხალხების კონგრესის სტრუქტურაში. ეს დაჯგუფება წარმოადგენდა არაკანონიერ შეიარაღებულ ფორმირებას და მოქმედებდა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ვერ აკონტროლებდნენ მასხადის მომხრე ოფიციალური სამხედრო ფორმირებები. „ჩეჩნეთის ისლამური ჯამაათი“ რიცხობრივად მნიშვნელოვან გაძლიერდა 1998 წლიდან, როდესაც ხელისუფლების მიერ დაშლილი იქნა სპეცდანიშნული დახმარების ისლამური პოლიც და შარიათის გვარდია. ძირითადი საველე მეთაურება: არბი ბარაევი (ჩეჩნეთის ისლამური რესპუბლიკის ამირი, რომელიც მოკლული იქნა 2001 წლის ოქტომბერში რუსეთის ფედერალური ნაწილების მიერ), აბდულ-მალეკ მუდიოვი (ამირას მოადგილე, ნაიბ ალ-ამირა), ზელიძან იანდაგბეი, არბი აბტაევი (ურუს-მარტანის ემირი), რამზან და უეის ახმადოევი, აბუსაიდ (ბატალიონის მეთაური), შეიხი აბდურაბმანი, შეიხი აბუ. ფორმირების საერთო რაოდენობა 1996 წლისთვის შეადგენდა 10000-ზე მეტ მეტრძოლს ძირითადი მუდმივი შემადგენლობიდან (500-კაცამდე ბარაევის ხელდევნილობით, 250 კაცი მეთაუროვის ხელმძღვანელობით, 400-500 კაცი მძებრი ახმადოევის მეთაურობით). მოხდელიზაციური პოტენციალი შედგენდა 5 ათასი მეტრძოლს (ამას თან ერთვოდა ჩეჩნეთის რესპუბლიკის ოფიციალური შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი ფარული მოხრეების რიცხვი). ამ ფორმირების ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ ისლამური სპეცდანიშნულების. პოლიცისა და შარიათული გვარდიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები, ოპოლი მოზარდები და 15-20 წლის ახალგაზრდები, რომლებიც გაიარეს სამხედრო და იდეოლოგიური კურსი „თალიბანის“ სისტემის მიხედვით. პირადად შემადგენლი შეიარაღების ძირითადი კატეგორიები: ცენტლასროლი, ტანკანინალმდეგო, ნაღმფეთქებადი იარაღის ტიპები. რაოდენობა უცნობია. ბაზები და საოპერაციო რაიონები: დასახლებული პუნქტები - ურუს-მარტანი, ალხანუროვი, სამაშვი, იშური, ჩერნორევი, ერმოლოვსკი, ახჩი-მარტან-ასინოვის სექტორი, ბაშუტი, ავტური, შუღკოვსკი, შატრი, მდინარე არგუნის ხეობა, ქ. გროზნოს სტაროპრომილოვსკის რაიონი. მთავარი ობიექტები: გორდალი - რელიგიური სკოლა, ქ. გროზნო - ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და 36-ე უბნის ტერიტორიაზე არსებული დაუღაცეული ობიექტები, რელიგიური სკოლა; გუდერმეხი - ითხამდე დაუღაცეული ხასიათის ობიექტი, აგრეთვე ქარხანი, კურსალია (განთავებული სამხედრო კომენდატორის შენობაში), მზერავ-დივერსანტებისა და აფეთქებულების მოსამზადებელი სასწავლო ცენტრი (საკუთარი პოლიგონითა და საწყობებით), ფორმირების პირადი შემადგენლობის რელიგიური მომზადების ისლამური უნივერსიტეტი (მოქმედებდა საშუალო სკოლის შენობაში); სერჯენ-ურტი - ფორმირების საბაზისობანაკი (გამოყენებოდა, იჩქერიისა და დაღესტნელი ხალხების კონგრესის“ შეიარაღებულ ფორმირებებთან ერთობლივად), რელიგიური სკოლა; ძეელი ატაევი - დაუღაცეული ობიექტი, რომელსაც აკონტროლებდა ზელიძან იანდაგბეი; ელისტანჯი - შარიათული გვარდიის ახალგაზრდობის მოსამზადებელი სასწავლო ცენტრი.

იჩქერიის და დაღესტნელ ხალხთა კონგრესი (იხვბ). ინტერრესტული მიმართულების უმსხვილესი გასამხედროებული რელიგიურ-პოლიტიკური ისლამური ორგანიზაცია „იჩქერიისა და დაღესტნელ ხალხთა კონგრესი“, რომელიც ძირითადად მოქმედებს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე, დაარსდა 1997 წლის ბოლოს. გაერთიანებას სამხედრო-პოლიტიკური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში დახმარებას უზენდენ ისლამური სამყაროს რიგი გავლენიანი ცენტრები. იდ.კ.ს პროგრამა გათვლილი იყო დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის და მოიცავდა პირველად და შემდგომ ეტაპების ამოცანებს. პირველი ეტაპზე იგეგმებოდა დაღესტნის რესპუბლიკის გამოსვლა რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობიდან (როგორც პოლიტიკური ასევე სამხედრო საშუალებებით) და მის ტერიტორიაზე სამხედრო-თეოკრატიული სახელმწიფოს დაარსება (დაღესტნის ისლამური ემირატი“ - ავღანური სცენარის მიხედვით), რომელიც უნდა განხორციელებულიყო XX საუკუნის კავკასიის ომის რეაინიცირაციის კონცეფციის ჩარჩოებში. შემდგომი ეტაპის ამოცანად ითვლებოდა ერთიანი სახელმწიფოს (იმამატის) შექმნა ჩრდილოეთ კავკასიის ისლამური თემის (უმა) სხვა ტერიტორიებზე (ინგუშეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ჩრდილოეთ ოსეთი - ალანია, ყარაჩაევო-ჩერკე-

ზეთი, ადიგა და აფხაზეთი). ყველა ეტაპზე გაერთიანების სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსიის მთავარ ბაზად მიჩნეული იყო ჩეჩნეთი. დაგეგმილი ამოცანების განსახორციელებელ საჭირო ძალას წარმოადგენდა კონგრესის შემადგენლობაში არსებული სამხედრო ფორმირებები.

მმართველი ორგანოები: კონგრესის მთავარ მმართველ ორგანოს შეადგენდა მეჯლის აშ-შურა (ისლამური საბჭო), რომელიც მოქმედებდა კოლგეალურ საფუძველზე და ორგანიზაციის წევრები იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების გავლენიანი პოლიტიკოსები და საველე მეთაურები, რომლებიც იზიარებდნენ იდ.კ.ს საპროგრამო ამოცანებს. 1999 წ. მეჯლისის შემადგენლობაში შედიოდნენ: აბალი მუსამედი (ალიევი) - თავმჯდომარის მოადგილე; ალიხაჯიევი ხაჯი; ანასოვ სოლტანოვა; ბაგაუტდინ უმარი (მაგომადიევი); შამილ ბასაევი - თავმჯდომარე; ასლბეკ ისლამიევი; ტოლგო მისალიევი; მუსა მუსაევი; აბდულა პარკუევი; მოველი უფეუევი; ისა უმაროვი - უშიშროების საბჭოს მდივანი; ახმედ ჰატაბი - შეიარაღებული ფორმირებათა შტაბის უფროსი; ნადირმაჰმადიევი; ზელიძან იანდაგბეი. იდ.კ.ს კოლექტიურ წევრებად ითვლებოდნენ: კონგრესი „ისლამური ნაცია“; ისლამური სოლიდარობის ორგანიზაცია „კავკასიური სახლი“; ერთიანი კავკასიის ისლამური ორგანიზაცია; დაღესტნის ისლამური მოძრაობა; კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია; მოძრაობა „ყაზი კომუხი“; რუსულ საერთოოვნიელ კულტურული ცენტრი „იამალი ოლი“; პარტიცა „ნახბატი“; პარტიცა „ჯამაათ ალ-მუსლიმი“; ორგანიზაცია „თავისუფალი სვანეთი“.

გაერთიანების მაკორდინირებელ ორგანოდ ითვლებოდა უშიშროების საბჭო. კონგრესის შემადგენლობაში ასევე შედიოდა სამხედრო საბჭო და „დაღესტნის განმათავისუფლებელი შტაბი“ (სტრუქტურა რომელიც კოორდინირებდა კავშირს ჩეჩნურ-აჩჩურ ორგანიზაციასთან). 1998 წ. დასაწყისში კონგრესის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა „დაღესტნის ისლამური შურა“, რომელიც ძირითადად აერთიანებდა ისლამური ინტეგრისტული მიმართულების მქონე ისლამური ჯამაათის წარმომადგენლებს და ასევე რამდენიმე ტრადიციული მიმართულების მქონე იმამებსა და აღიმებს. შურას შემადგენლობაში შედიოდა მასაჩკალის, ბუინაქსკის, ყიზილ-იურტის, ხასავიურტის და მთიანი დაღესტნის 15 რაიონის 40-ზე მეტი წარმომადგენელი (მათ რიცხვი ახვავის, ბუთლისის, ბუინაქსკის, კარაბუდატკენის, მოვოლაქსკის, უნცეუულსკის, ხუნძაკის, ცუმადინის რაიონები). ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო აბურაბმან მაგომადიევი. 1999 წ. აგვისტოს შურის საფუძველზე ჩამოყალიბდა დაღესტნის დროებითი ისლამური მთავრობა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: სირატჯედი რამაზანოვი (მთავრობის თავმჯდომარე, სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრი), ბაგაუტდინ მაგომადიევი, აბალი ალიევი, მაგომედ ტაგაევი (ინფორმაციის მინისტრი). კონგრესის იდეოლოგიურ მზარდაჭერას უზრუნველყოფდნენ აღიმების საბჭოს რელიგიური ავტორიტეტები - ბლიმ შვიშ აბდულა (პაკისტანი), შვიშ აბდულ ომარი, აბდულ რახმანი (საუდის არაბეთი), მძები ანვარ და ახმედ შიშანი და ხამზად შიშანი (იორდანია), ტაიფურ ალდარხანოვი (დაღესტანი).

შეიარაღებული ფორმირებების გენეზისი: 1997-2001 წ.წ. იდ.კ.ს შეიარაღებული ფორმირებანი მოქმედებდნენ სხვადასხვა სახელწოდებების ქვეშ, მ.შ. „ჩეჩენ და დაღესტნელ ხალხთა შურის შეიარაღებული ძალები“, „ისლამური სამშვიდობო არმია“ (11.08.1999 წლიდან), „დაღესტნელი მოჯახედების გაერთიანებული სარდლობა“, „ისლამური მმართველი ძალები გაერთიანებული სარდლობა“, „ჩეჩენი და დაღესტნელი ხალხის მეჯლისის სამშვიდობო ძალები“, „დაღესტნის ისლამური არმია“ შეიარაღებული ფორმირებების ბირთვს წარმოადგენდა ბატალიონი „ჯამაათ ალ-ისლამი“. ბატალიონი შეიქმნა ჩეჩნეთის რესპუბლიკა - იჩქერიის პრეზიდენტ დუდაევის ბრძანებით, რათა დაარსებულიყო კავკასიელი კამიკაძეების ფორმირება (ბრძანების №016, 1995 წლის 20 მარტი). ბატალიონის ფორმირება დამთავრდა 1995 წლის ბოლოს. საბაშო რაიონის წარმოადგენდა მაქსეტი „ხტევი-კოროვიურტის დასახლებულ პუნქტი. მის შემადგენლობაში შედიოდნენ ადგილობრივი ახალგაზრდობა, ავღანეთში მეტრძოლი არაბი ვეტერანები და სხვადასხვ ჩეჩნურ ფორმირებათა მეტრძოლები. ბატალიონის მეთაური იყო ჰაბიბ აბდულ რახმანი (ანუ იგივე ჰატაბი). ბატალიონის ფინანსურ-საოპერაციო ფას ახორციელებდა საერთაშორისო ისლამური ახმატების ცენტრი. 1996 წ. შემოდგომისთვის ბატალიონის შემადგენლობაში შედიოდა 500-მდე მეტრძოლი, მ.შ. 60 უცხოელი (25 არაბი, 7 თურქი და დანარჩენები პაკისტანელები და ავღანელები). ამასთან, 1995-96 წ.წ. ჩეჩნეთის ტერიტორიაზე შეიქმნა მონათესავე შეიარაღებული ფორმირებები, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა სამომარ მოქმედებებში. მათ რიცხვში შედიოდნენ: „ახალი რამზის მეტრძოლები“ (ძირითადად წარმოშობით იემენელები ექვემდებარებოდნენ უშუალოდ მასხადესს); „აბდულ-კადერის ძალები“ (ძირითადად ალბერელები, ექვემდებარებოდნენ ბასაევისს); „ავღანელი მოჯახედების ბატალიონი“ (ისლამური განთავისუფლების პარტიის შეიარაღებულ ფორმირებათა წევრები, მოქმედებდნენ რადუევის დაჯგუფებებთან ერთად).

1996 წლის გაზაფხულზე ჩეჩნეთის რესპუბლიკა - იჩქერიის ვიცე-პრეზიდენტ ინადირის ბრძანებით ჩერნორევიც დასახლებულ პუნქტებში: ალხან და ძველ სუნჯაში, შეიქმნა „ისლამური

სამხედრო ჯგუფები“, წარმოდგენილი 10-15 მებრძოლით. თითოეულ შენაერთში შედიოდნენ ჩეჩნები - ნაქშბანდისა და კადირიას სუფიტიური ორდენების მიურიდები. ყველა ჩამოთვლილი დაჯგუფება აგრძელებდა მოღვაწეობას საომარი მოქმედებების პირველი პერიოდის დამთავრების შემდეგ, 1996 წელს. შემდეგ პერიოდში მოხდა მათი რეორგანიზაცია და ისინი სტრუქტურულად შეუერთდნენ შამილ ბასაევის ფორმირებებს და 1998 წლიდან მიიღეს კონგრესის ოფიციალური ფორმირების სტატუსი.

ფინანსირება- უზრუნველყოფა: შეიარაღებულ ფორმირებათა ფინანსირებასა და ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფდნენ არასამთავრობო რელიგიურ-პოლიტიკური ორგანიზაციები, კერძო ფონდები და ცალკეული პირები (პოლიტიკური მოღვაწეები და მენარმეები), რომლებიც მოღვაწეობდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში (საუდის არაბეთი, კატარი, კუვეიტი, სირია, იორდანია, პაკისტანი, თურქეთი, ლიბია, ლიბანი, ალჟირი, მალაიზია). 1999 წლამდე დაფიქსირებული იყო რუსეთის ცალკეული ფინანსური ოლიგარქების მხარდაჭერა.

შეიარაღებულ ფორმირებათა დაფინანსებაზე მიდიოდა ზნაურის რაიონში კუსტარულად მოპოვებული ნავთობის რეალიზაციის მოგების 30%, რომლის ნაწილიც საქართველოში შემოდიოდა. სურსათით უზრუნველყოფა ხორციელდებოდა ადგილობრივი კომერციული სტრუქტურებიდან და მოსახლეობიდან შესყიდული პროდუქტების ხარჯზე. სანჯავ-საპოხი მასალაზე ლეგალიზაციის შეიარაღებული ფორმირებებიდან, რომლებიც ფინანსირდებოდა ჩეჩნეთის რესპუბლიკა - იჩქერიის ბიუჯეტიდან. კონგრესის შეიარაღებულ ფორმირებათა ზოგიერთი მებრძოლები თვითდაფინანსებაზე იმყოფებოდნენ ორგანიზაციულ დანაშაულებათა ჯგუფებში მონაწილეობის წყალობით (პროფილი - მძევლების აყვანა გამოსასყიდის მიზნით, რეკეტი და ა.შ.). ჩეჩნეთის რესპუბლიკა - იჩქერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები უზრუნველყოფდნენ უცხოელი მოხალისეების ლეგალიზაციას, გასცემდნენ რა მათზე ფალსიფიცირებულ პასპორტებს.

საგარეო კონტაქტები: ისდკ-ს შეიარაღებულ ფორმირებებს ძირითადად კონტაქტები ჰქონდათ ისლამურ სამყაროში მოქმედი საზღვარგარეთის არასამთავრობო და პოლიტიკურ გაერთიანებებთან. ამ ორგანიზაციების ფარული მოკავშირეები იყვნენ რიგი სპეცსამსახურების თანამშრომლები, მათ შორის თურქეთის სამხედრო დაზვერვა (MIT), პაკისტანის უწყებათა შორის დაზვერვა (ISI), კატარის სადაზვერვო სამსახური „მუხაბარატი“. ისდკ-ს სამოქმედო ტერიტორიები, ორგანიზაციული და საინფორმაციო პროპაგანდისტული სტრუქტურები გამოიყენებოდა საზღვარგარეთის ანალოგიური სტრუქტურების მიერ ჩრდილოეთ კავკასიის გარკვეულ რეგიონებში, რუსეთის ფედერაციის ვოლგისპირეთში (თათარსტანსა და ბაშკირეთში), ცენტრალურ აზიაში (ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი) მისიონერული საქმიანობის განსახორციელებლად. 1998 წლის ივნისსა და 1999 წლის აპრილში ისდკ-ს მიერ განხორციელდა მოსამზადებელი ღონისძიებანი „ისლამური სამშვიდობო ლეგიონის“ მებრძოლების გასაგზავნად კოსოვოში, რათა მათ მიეღოთ მონაწილეობა საომარ მოქმედებებში ალბანელი სეპარატისტების მხარდასაჭერად. უფრო ადრე, ისდკ-ს მოქმედ ობიექტებზე ასევე ხორციელდებოდა მებრძოლთა მომზადება ბოსნიაში, ტაჯიკეთსა და საქართველოში გასაგზავნად.

შეიარაღებულ ფორმირებებს ჰქონდათ არაოფიციალური კონტაქტები უკრაინის რადიკალური ორიენტაციის ორგანიზაციებთან.

ბამოყმნებული ლიტერატურა:

1. რუსუდან წიქაძე, „ისლამი (რელიგია: წარსული და თანამედროვეობა)“, გამომცემლობა „კანდელი“, თბილისი, 1998 წელი;
2. დათო ჩადუნელი „ვაჰაბიზმი ახალი კავკასიური დაბაბულობისათვის“, გაზეთი „ახალი 7 დღე“, 20-26 აგვისტო 1999 წელი;
3. ვახტანგ მაისია „ვაჰაბიზმის დოსიე“, გაზეთი „რეზონანსის“ ყოველკვირეული დამატება „ვერობა“, 25 სექტემბერი-1 ოქტომბერი, 1999 წელი;
4. ვახტანგ მაისია „ბაღკანური კოსოვოს სცენარი ავღანეთში“, გაზეთი „The Georgian Times“, 20-27 დეკემბერი, 2001 წელი;
5. შია პაპუნაშვილი „რთი ემუქრება ისლამური ფუნდამენტალიზმი მსოფლიოს და საქართველოს“, გაზეთი „ახალი 7 დღე“, 14-20 სექტემბერი 2001 წელი;
6. კახაბერ ძეგისაშვილი „ისლამური ფუნდამენტალიზმი ჩრდილოეთ კავკასიაში“ საინფორმაციო-ანალიტიკური ბიულეტენი №11, პრეზიდენტთან არსებული დღეს- და მშვიდობიანი კავკასიის საქმეთა სახელმწიფო ბიურო, 1999 წელი;
7. კ. გაჯიევი „კავკასიის გეოპოლიტიკა“ (რუსულ ენაზე), გამომცემლობა „საერთაშორისო ურთიერთობები“, მოსკოვი, 2001;
8. ა. მაღაშენკო „ჩრდილოეთ კავკასიის ისლამური ორიენტირები“ (რუსულ ენაზე), მოსკოვის კარნეგის ცენტრი, მოსკოვი, 2001 წელი;
9. სიმენიერო კრეგული „ისლამი პოსტსაბტოთა სიერცხეზე“ (რუსულ ენაზე), მოსკოვის კარნეგის ცენტრი, არტ-ბიზნესის გამომცემლობა, მოსკოვი, 2001 წელი;
10. ჯანგირ არასლი „შეიარაღებული კავკასია“ (I, II, III ტომები) (რუსულ ენაზე), დაბალი ინტენსივობის კონქულუქტების ცენტრი, ბაქო, 2000 წელი;
11. ე. კოჯუშკო „თანამედროვე ტერორიზმი: ძირითადი მიმართულებათა ანალიზი“ (რუსულ ენაზე), ხარეგსტის გამომცემლობა, მინსკი, 2000 წელი;
12. დ. ვახლიაევი „აღმოსავლეთის რელიგიების ისტორია“ (რუსულ ენაზე), გამომცემლობა „უნივერსიტეტი“, მოსკოვი, 1998 წელი;
13. ი. ტხიხრაევი „გეოპოლიტიკა“ (რუსულ ენაზე), ბიზნეს-სკოლა „ინტელ-სინტეზი“, მოსკოვი, 1998 წელი;
14. დ. ერუქევი „მუსულმანური აზროვნების ფილოსოფიური ასპექტები“ (რუსულ ენაზე), უურნალი „აზია და აფრიკა დღეს“ №5, მოსკოვი, 1991 წელი;
15. ა. ფანტენკო და ნ. უანთოი „ისლამი 21-ე საუკუნის მიჯნაზე“ (რუსულ ენაზე), გამომცემლობა „პოლიტიკური ლიტერატურა“, მოსკოვი, 1989 წელი;
16. Dr. Bassam Tibi „The Politicization of Religion“, The Executive Program in International and Security Affairs, George C. Marshall College of International and Security Studies, 2001;
17. Sachiko Murata and William C. Chittick „The Vision of Islam“, I.B. Tauris and Co Ltd, London, 2002;
18. The Holy Qur'an with English Translation, Third Edition, Istanbul, 2000;
19. Roy, Oliver „The Failure of Political Islam“, I.B. Tauris, London, 1994;
20. Huntington, Samuel „The Clash of Civilizations and the Remaking of the World Order“, Simon and Schuster, New York, 1996;
- Ahmed Rashid „Taliban: Islam, Oil and the New Great Game in Central Asia“, I.B. Tauris, New York, 2000.

# საინფორმაციო ბაზარი

➤ ამა წლის 12-13 თებერვალს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრში თბილისის სათემო ორგანიზაციებისათვის გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე

*„ორგანიზაციის საჭიროებათა გამოვლენა და სამომავლო სტრატეგიული დაგეგმვა“*

შეხვედრას უძღვებოდა „პარტნიორები - საქართველო“ არასამთავრობო ორგანიზაციიდან მოწვეული ექსპერტი. შეხვედრის მიზანი იყო მონაწილე სათემო ორგანიზაციებისათვის მომავალი ერთი წლის კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში დახმარების გაწევა. ასევე იმ სუსტი მხარეების გამოვლენა, რომლებშიც ხსენებულ ორგანიზაციებს პირველ რიგში სჭირდებათ დახმარება.

➤ გესურს გაგაცნოთ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის „გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსები და მდგრადი განვითარება“ - სამუშაო ჯგუფის

*პროექტის „მოქალაქეთა გარემოსდაცვითი უფლებების დაცვა“ შედეგები*

პროექტის ფარგლებში გამოიცა ილუსტრირებული ბუკლეტი, რომელშიც მარტივად და ნებისმიერი ადამიანისათვის გასაგებად განმარტა გარემოსდაცვითი სფეროში საქართველოს მოქალაქეებისათვის ორპუნის კონვენციით მინიჭებული უფლებები. ბუკლეტი დაურიგდათ მოსახლეობას (სათემო ორგანიზაციებს), მოსამართლეებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს.

ასევე, გარემოსდაცვით კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების მიზნით, მომზადდა საკანონმდებლო პაკეტი, რომელზეც აქამდე მიმდინარეობს კონსულტაციები პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტთან.

წარმოდგენილ პროექტში მონაწილე ადვოკატის კონსულტაციების საფუძველზე მომზადდა ხარჩელი, რომელიც შეტანილ იქნა ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში (მოპასუხეები: ქ. თბილისის მერია, ქ. თბილისის საკრებულო). სასამართლოში სარჩელი შეტანილ იქნა სათემო ორგანიზაცია „ლილოს“ მიერ და ეხებოდა ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე (ლილოს დასახლებასა და აეროპორტს შორის) განლაგებულ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ღია ტიპის ნაგავსაყრელს (ფართობი - 7,5 ჰა).

ლილოს ნაგავსაყრელმა რამდენიმე წლის წინ ამოწურა თავისი სიმძლავრე. იგი ძალზედ ახლოს მდებარეობს დასახლებული პუნქტიდან და ამჟამად არც ერთ სან-პიგიენურ ნორმას არ აკმაყოფილებს. ლილოს მცხოვრებთ აღნიშნული ნაგავსაყრელი სრულიად გაუსაძლის საარსებო პირობებს უქმნის. მიუხედავად ლილოს სათემო



ორგანიზაციის არაერთგზის მიმართვისა გარემოს დაცვის სამინისტროსა თუ მერიის გარემოს დაცვის კომიტეტში, ეს პრობლემა ვერ გადაწყდა.



საყურადღებოა, რომ სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა ზემოაღნიშნული სარჩელის ეკვლა მოთხოვნა. კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე პ. ნოზაძის მიერ ამა წლის 21 თებერვალს გამოტანილი გადაწყვეტილებით აღსრულების უზრუნველსაყოფად თბილისის მერიას დაევალა აწარმოოს ლილოს ნაგავსაყრელის დახურვის სახარჯთაღრიცხვო-საპროექტო სამუშაოები და ამ სამუშაოების წარმოება მოხდეს მერიის, საკრებულოსა და დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, ანუ თბილისის მთავრობამ გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი, რომლითაც შეიქმნება აღნიშნული კომისია.

ასევე, თბილისის საკრებულომ 2002 წლის ადგილობრივი ბიუჯეტში უნდა გაითვალისწინოს (დაამტკიცოს) ლილოს ნაგავსაყრელის დახურვის სამუშაოების ხარჯები და 2002 წლის თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ მთავრობამ გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი, რომლითაც შეიქმნება ზემოხსენებული კომისია.

➤ გესურს შეგატყობინოთ, რომ „ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკის“ სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში 2002 წლის 5 მარტს ჩატარდა მორიგი სემინარი შემდეგ თემებზე:

- ❖ ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი 1995-2000 წლებში (საგადასახადო შემოსავლების დინამიკა)
- ❖ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება თანამედროვე ეკონომიკური მეთოდოლოგიის გამოყენებით
- ❖ უმუშევრობის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები
- ❖ საქართველოს კავშირგაბმულობის მომსახურებათა ბაზრის ანალიზი და მისი სახელმწიფო რეგულირების თავისებურებები

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ცენტრის პოზიცია და რეკომენდაციები შეჯერდა სემინარზე გამოთქმულ წინადადებებთან. მათ საფუძველზე ცენტრის მიერ შემუშავებული მიმართვა დაეგზავნათ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

# საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი დაფუძნდა 1995 წლის ივლისში. ცენტრი წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების, პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევების ჩატარებისა და გადამწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა აქტიური ჩართვით, მათი ინტერესების ლობირებისა და სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერის გზით ხელს უწყობს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობას. ცენტრი ცდილობს მხარი დაუჭიროს საზოგადოების იმ ჯგუფებს და ცალკეულ პირებს, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ რეფორმებს და ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტური ინსტიტუტის ჩამოყალიბებას.

საზ. ყველა სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით და მჭიდრო თანამშრომლობის, თანასწორობისა და შემოქმედებითი მიდგომის პრინციპებზე დაყრდნობით ორგანიზაცია ცდილობს ინფორმირებული, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოების დამკვიდრებას, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების გარანტიაა.

## ცენტრის პირობითი მიმართულებები:

- სამოქალაქო განვითარება
- გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება
- საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება
- ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა

თითოეული ამ პრიორიტეტული მიმართულებით ჩამოყალიბებულია და მოქმედებს სამუშაო ჯგუფები.

## ცენტრის მუშაობის მიმართულებები:

- პრობლემის განსაზღვრა, გამოკვლევა და შესაბამისი ინფორმაციის და რეკომენდაციების მიწოდება მომხმარებლებისათვის;
- ეფექტური სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის პროგრამებისა და მიდგომების შემუშავება-განხორციელება;
- მოქალაქეთა და სამოქალაქო ჯგუფების სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერა, მათი გადამწყვეტილების მღების პროცესში აქტიური ჩართვა, რათა მოხდეს მათი უფლებების უფრო ეფექტური დაცვა და საზოგადოებასა და მთავრობას შორის ურთიერთანგარიშვალდებულების ზრდა;
- ლობირების მექანიზმის შემუშავება და მათი ეფექტური ამოქმედება;
- მაღალკვალიფიციურ ექსპერტთა ქსელთან მუშაობა;
- სამუშაო შეხვედრების, სემინარების, საჯარო განხილვების მოწყობა;

➢ ცენტრის რეგულარულ გამოცემებში/პიულებებში\* გამოკვლევების რეგულარული გამოქვეყნება;

➢ საზოგადოებაში დემოკრატიული და სამოქალაქო მიდგომების ხელშეწყობა მასმედიის საშუალებით.

\* - საქართველოს ძირითადი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემების ირგვლივ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით ცენტრი თავისი საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით რეგულარულად გამოსცემს პიულებებს და ლიფლეტებს, რომლებიც მიეწოდება სხვადასხვა სამთავრობო და სამეცნიერო უწყებებს, პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სტრუქტურების, მსხვილი კორპორაციების წარმომადგენლებს - გადანაწილების მიზნით.

## განხორციელებული და მიმდინარე პროექტები:

- კანონპროექტი საქართველოს გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ; კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- კანონპროექტი საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ; კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- საქართველოს ტერიტორიული მონაცემების კონცეფცია;
- ეკონომიკური რეფორმები საქართველოში;
- ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროექტი;
- თვითმმართველობა საზოგადოებრივ სამსახურში;
- სამუშაო ჯგუფი „საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება“;
- შავი ზღვის არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის კოორდინირება.
- ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების შემდგომი სამწლიანი პროექტის დაგეგმვისათვის შუალედური პერიოდი;
- შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის ფუნქციონირება და პოპულარიზაცია;
- ცენტრის ინსტიტუციური განვითარება.
- სამუშაო ჯგუფი „საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება“;
- სამუშაო ჯგუფი „ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა“;
- მოქალაქეთა გარემოსდაცვითი უფლებების დაცვა;
- საქართველოში სათემო მოძრაობის გაძლიერება.

## ცენტრის დონორი ორგანიზაციები

- NOVIB - ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარებისათვის;
- FES - ფრიდრიხ ებერტის ფონდი;
- მსოფლიო ბანკის მცირე გრანტების პროგრამა;
- ბრიტანეთის საელჩოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი;

## ცენტრის მხარდაჭერები

❖ ცენტრის ინდივიდუალური „მხარდაჭერი“ მიიღებს ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით.

❖ ცენტრის პარტნიორები, სპონსორები და მხარდაჭერები მიიღებენ ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. კომპანიის/ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის წარმომადგენელს უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, კომპანიის/ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით, გარდა ამისა:

❖ ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის „პარტნიორისა“, კომპანიის შესახებ ინფორმაციას დაეთმობა ერთი გვერდი ბიულეტენში და მცირე მონაკვეთი ლიფლეტში. ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის „პარტნიორი“.

❖ ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის სპონსორისა, ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის სპონსორი.

❖ ცალკეული ღონისძიებების სპონსორი კომპანია ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ღონისძიების „სპონსორი“ და მისი ლოგო წარმოდგენილი იქნება ღონისძიებებზე ცენტრის ლოგოსთან ერთად.

### საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდაჭერები

- ❖ კომპანია ზენიტ გამა ქონსალტინგი (Zenith Gamma Consulting)
- ❖ პროფესორი ალექსანდრე თვალჭრელიძე
- ❖ პროფესორი თეიმურაზ გოჩიაშვილი

**მხარდაჭერით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ შეავსოთ თანდართული გამოკითხვის ბარათი და მოგვანდოლოთ ორგანიზაციის მისამართზე**

**ცენტრის სამხიანოვით დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ.**

ქ.თბილისი 380094, გამსახურდიას ქ. №33, ბინა 22.  
 ტელ/ფაქსი: (995 32) 964124, 250711  
 ელექტრონული ფოსტა: csrdg@caucasus.net  
<http://www.csrdg.caucasus.net>

## ინდივიდუალური მხარდაჭერის გამოკითხვის ბარათი

მე მსურს გავხდე ცენტრის მხარდაჭერი და მზად ვარ გავიღო 100 ლარი, გთხოვთ, დამიკავშირდეთ.

გთხოვთ, გამომიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

მე არ ვარ დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დამიკავშირდებით.

ჩემი კოორდინატებია:

სახელი, გვარი, \_\_\_\_\_

სამუშაო ადგილი \_\_\_\_\_

თანამდებობა \_\_\_\_\_

მისამართი \_\_\_\_\_

ტელეფონი \_\_\_\_\_ ფაქსი \_\_\_\_\_



## კომპანიური მხარდაჭერის გამოკითხვის ბარათი

- ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის პარტნიორი და მზად არის გაიღოს 5000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.
- ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის სპონსორი და მზად არის გაიღოს 2000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.
- ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის მხარდაჭერი და მზად არის გაიღოს 280 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.
- ჩვენს კომპანიას სურს სპონსორობა გაუწიოს ცენტრის სხვადასხვა საჯარო ღონისძიებას, სემინარს ან კონფერენციას, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.
- გთხოვთ გამოგვიზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.
- ჩვენი კომპანია არ არის დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნულარ დაგვიკავშირდებით.

ჩვენი კომპანიის კოორდინატებია:

კომპანიის დასახელება \_\_\_\_\_

მისამართი \_\_\_\_\_

ტელეფონი \_\_\_\_\_ ფაქსი \_\_\_\_\_

საკონტაქტო პირი \_\_\_\_\_

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

ფ

დაიგეგმა შპს „კომუნიკაციები“  
მ. თბილისი, კრწანისის ქუჩა №3